საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა



... არიან ადამიანები, რომლებშიც თაობათა საუკეთესო თვისებები იყრის ხოლმე თავს ღვთის განგებით; ასეთები მუდამ ერის სამზერზე დგანან და ბევრი ჩვენგანის არსებობასაც ამართლებენ. ასეთ ადამიანზე გიამბობთ **ფერიდე ბიწაძე** ნარკვევში, რომელსაც მე-4 გვერდზე გთავაზობთ.

აეროპორტების საერთაშორისო გენერალური ანსამბლეა – „ასი-ევროპაში“ ოთხასი სხვადასხვა ფირმა და ავიაკომპანიაა გაერთიანებული და ფრიად ნიშანდობლივია, რომ მასში შემავალი ფირმის დირექტორებიდან ქალი ერთადერთია – ლაურა დაჭავა. მასზე და ფირმა „მთაწმინდის“ საქმიანობაზე **მარადი ანასაშვილის** მასალა იხილეთ მე-5 გვერდზე.

ფაქტების და ალქმის რეალობის, ანუ ფოთში დეპუტატობის კანდიდატის ხელახალი არჩევნების პერიპეტიების შესახებ II გვერდზე იხილეთ ფოთში «საქართველოს რესპუბლიკის» საკუთარი კორესპონდენტის ზაირა ჩომახაშვილის მასალა — «ცენტრალური საარჩევნო უბანი, ანუ არქიმედეს კანონი მოქმედებს».

... მერაბ კოსტავა სამშობლოს გამოღვიძებისთვის ის მოგუგუნე ზარი იყო, რომელსაც დადუმება არ უწერია. და თუმცა მისი სიცოცხლე მოულოდნელად და ტრაგიკულად შეწყდა, საქმენი და სწრაფვანი სულისა მისისა კვლავაც უპირველესი ზარის ხმით რეკენ...

გოგიტა მელიქიძის წერილი — „გამოგვეხმაურეთ, ქველმოქმედნო/“ იხილეთ მე-7 გვერდზე.

რა არ ხდება პურის რიგში, თურმე ასეთი გაჭირვების დროსაც არ უნდა დაკარგო ლამაზი ქალის შეგრძნების უნარი...

ვილენ მარდალეიშვილის მინიატურები რუბრიკით — „გზადაგზა ნაპოვნი სურათები“ — წაიკითხეთ მე—8 გვერდზე.

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 154-155 (701) შაბათი, 17 ივლისი, 1993 წელი. ფასი 40 კუპონი.

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობებს, რომ 16 ივლისს მთელი დღის განმავლობაში მოწინააღმდეგე მხარეები აგრძელებდნენ თავიანთი ძალების გადაჯგუფებას მდინარე გუმისთაზე განლაგებული ფრონტის მთელ ხაზზე, სადაც ძირითადად ავისმომასწავებელი სიწყნარე იყო შენარჩუნებული.

მართალია, აქტიური საბრძოლო მოქმედებები 15 ივლისს არ მიმდინარეობდა, მაგრამ ადგილი ჰქონდა პერიოდულ საარტილერიო დუელს. მოწინააღმდეგემ რამდენჯერმე სცადა საარტილერიო ცეცხლის გახსნა, მაგრამ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ყველა ამ შემთხვევაში დაუყოვნებლივ ჩაახშეს მათი მცდელობა და მოსპეს მოწინააღმდეგის რამდენიმე საცეცხლე წერტილი.

მოწინააღმდეგემ კი საპასუხოდ ჩვეულებისამებრ ისევ შეძლო, რომ რამდენიმე ჭურვი ესროლა ქ. სოხუმს და დააზიანა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი.

გასული დღე-ღამის განმავლობაში საქართველოს საზღვაო ძალები კვლავ აგრძელებდნენ პატრულირებას ზღვაზე.

16 ივლისს გამთენიისას საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს შეტევითი ოპერაციები მოწინააღმდეგის პოზიციებისაკენ შრომა-ახალშენის მიდამოებში.

შეტევა მიმდინარეობს რამდენიმე მიმართულებით და ვითარდება გეგმის მიხედვით. მოწინააღმდეგე განიცდის დანაკარგებს და უკან იხევს.

იოსებ ბობეჩია

• • •

თბილისი. ყარყარაშვილის ქუჩაზე, თავის საცხოვრებელ ბინაში იპოვეს 1920 წელს დაბადებული მარიამ ელიზბედაშვილის გვამი. გვამს ძალადობის ნიშნები ეტყობოდა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

• • •

თბილისი. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს, რომ დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა გაქურდეს რესტორანი „მწვანე ველი“, საიდანაც წაღებულია დიდძალი შამპანური და არაყი.

მიმდინარეობს გამოძიება.

დასახული პროგრამის რეალიზაციის მიზნით

მარცვლეულის, საადრეო კარტოფილის, ბოსტნეულის მოსავლის აღება და ჩვენი რესპუბლიკისთვის ახლა, გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, ამ საარსებო მნიშვნელობის პრობლემათა მთელი კომპლექსის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები იყო 15 ივლისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან — სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან გამართული თათბირის პრინციპული, მომკითხველი განხილვის საგანი. თათბირში მონაწილეობდნენ პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, მინისტრები და მთელი რიგი უწყებების, მსხვილი საწარმოებისა და მეურნეობების ხელმძღვანელები, აგრეთვე რესპუბლიკის წამყვანი სასოფლო-სამეურნეო რაიონების გამგეობათა თავმჯდომარეები.

ბუნებრივია, რომ თათბირის ყურადღების ცენტრში იყო მარცვლეულის მოსავლის აღების დაწყებისთანავე წამოჭრილ სიძნელეთა დაძლევის გზების ძიება. როგორც სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის გიორგი კვესიტაძის ინფორმაცია მოწმობდა, თავდაპირველად თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლიანობას კარგი პირი უჩანდა. წლეულს ეს კულტურები დაითესა 144 ათას ჰექტარ ფართობზე, რომელთაგან ხორბალს დაეთმო 90 ათასი ჰექტარი და მოველოდით, რომ საშუალოდ ჰექტარზე სულ ცოტა 27-30 ცენტნერ მარცვლეულს, ზოგიერთ რაიონში და მეურნეობაში კი უფრო მეტსაც მოვიწევდით. მაგრამ ძლიერმა სეტყვამ, რომელიც ივნისის შუა რიცხვებში, შემდეგ კი თვის დამლევს მოვიდა, უმოწყალოდ გაანადგურა მარცვლეულის ნათესები კახეთისა და ქართლის რაიონებში.

და მაინც, როგორც თათბირზე ითქვა, თუ სათანადო პირობები შეიქმნება, რესპუბლიკამ შეიძლება მიიღოს დაახლოებით 70 ათასი ტონა სასაქონლო მარცვლეული, იმის გათვალისწინებით კი, რომ კიდევ 80 ათასი ტონა მოსახლეობისაგან უნდა შევისყიდოთ, ეს უზრუნველყოფს სახელმწიფო შეკვეთით გათვალისწინებული 88,5 ათასი ტონა ხორბლის დამზადებას. ამ პროგრამის შესრულება, რა თქმა უნდა, ვერ გადაჭრის პურზე, მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პრობლემას. როგორც ხორბლის, ისე ენერგომატარებლების შესასყიდად ჯერჯერობით კვლავინდებურად მოგვიწევს საქართველოს მიერ მიღებული კრედიტების მეტი ნაწილის გამოყოფა, მაგრამ მარცვლეულის საკუთარი წარმოების გაზრდა, გარკვეულწილად, შეანელებს დაძაბულობას პირველი საჭიროების ამ პროდუქტით ადამიანთა მომარაგებაში. ამიტომ, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, ცენტრშიც და ადგილებზეც, რაიონებში, უშუალოდ მეურნეობებში უნდა განხორციელდეს დასახული პროგრამის რეალიზაციის ყველა ღონისძიება.

მაინც როგორ მიდის დღეს საქმეები? გააანალიზეს რა რესპუბლიკაში ალოობის დაწყების მიმდინარეობა, გამოსულებმა აღნიშნეს, რომ სჯობდა აღების ტემპიც და მოსავლიანობაც უკეთესი ყოფილიყო. 15 ივლისისთვის თავთავიანები მხოლოდ 18 ათას ჰექტარზე, ანუ მათი საერთო ფართობის 13 პროცენტზეა აღებული. ამავე დროს, ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ სულ 16,6 ცენტნერი შეადგინა. სულ კი ამ დროისათვის წარმოებულია 30 ათასი ტონა მარცვლეული, რომელთაგან მხოლოდ 8 ათასი ტონაა ხორბალი. ჯერჯერობით ასევე რიგზე ვერ არის საადრეო კარტოფილის დამზადების საქმეც, სადაც პროგნოზირებული 16-17 ათასი ტონიდან აღებულია სულ ორი ათას ტონამდე კარტოფილი. უამინდობის გამო მეურნეობებში დღემდე არ დაუწყიათ კომბოსტოს, პამიდვრის, ბოსტნეულის მასობრივი აღება. ამასთან, როგორც თათბირზე ითქვა, იმ პირობებში, როგორშიც ახლა ჩვენი რესპუბლიკაა, მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფის პრობლემა იძენს არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ ხასიათსაც, რასაც შეიძლება სოციალური აფეთქება მოჰყვეს.

ამასთან დაკავშირებით სჯა-ბაასი მიმდინარეობდა შემჭიდროებულ ვადებში და, რაც მთავარია, უდანაკარგოდ მოსავლის აღების დიდ მნიშვნელობაზე. ითქვა, რომ აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მთელი მოსავლის აღების კონვეიერის მუშაობის ზუსტ ორგანიზაციას, კონტროლს ტექნიკის მდგომარეობისა და სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფისადმი, საწვავ-საპოხი მასალების დროული მიტანისა და რაციონალური გამოყენებისადმი. მოიყვანეს მაგალითები, როცა დიდი გაჭირვებით შეძენილი და რაიონებისათვის მიწოდებული ბენზინი და დიზელის სათბობი ვერ აღწევს კონკრეტულ მისამართამდე, ან მიდის, მაგრამ არა გათვალისწინებული მოცულობით, ზოგჯერ კი არადანიშნულებისამებრ არის გამოყენებული. ბევრი რამ უნდა გააკეთონ სამართალდამცველმა ორგანოებმა და საბაჟო სამსახურმა, რათა აღიკვეთოს მოსავლის დატაცება და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მისი გატანა. შეშფოთებით ილაპარაკეს, რომ დღემდე განსაზღვრული არ არის მარცვლეულის შესასყიდი ფასები, ბოლომდე არ არის დამუშავებული პროდუქციის მწარმოებლებთან დამამზადებლების ანგარიშსწორების მექანიზმი. გამოთქვეს რა კონკრეტული წინადადებანი ამ მნიშვნელოვანი მექანიზმის სრულყოფის შესახებ, ორატორები ითვალისწინებდნენ ამჟამად რესპუბლიკაში არსებულ რეალურ შესაძლებლობებს. წამოყენებული იყო სხვადასხვაგვარი ვარიანტები, სიძნელეთა დაძლევის სხვადასხვაგვარი გზები, მაგრამ მთავარში თათბირის მონაწილენი ერთსულოვანნი იყვნენ: ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა არ დაუშვან ეკონომიკის სრული კრახი.

სწორედ ამას მიაპყრო ყურადღება თავის გამოსვლაში სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. შეაჯამა რა თათბირის შედეგები, მან ხაზი გაუსვა, რომ ალოობას ახლა განსაკუთრებული ტემპი სჭირდება, საჭიროა მისი დაჩქარება. მოსავლის აღების კონვეიერის თითოეულ უბანზე, თითოეულ რგოლში ადამიანები უნდა განიმსჭვალონ წესრიგის დამყარების, სამუშაოთა დროული და ხარისხიანი განხორციელების, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, მოსავლის შენარჩუნებისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით.

თათბირზე კონკრეტული დავალებანი მიეცათ მთავრობას, მინისტრებს, უწყებებისა და რაიონული რგოლების ხელმძღვანელებს.

ნატოს პოლიტიკურმა კომიტეტმა განიხილა აფხაზეთში შექმნილი ვითარება

როგორც ევროგაერთიანებასთან საქართველოს დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელმა ბ-მა ზურაბ აბაშიძემ აცნობა საქინფორმის კორესპონდენტს, 16 ივლისს ნატო-ს პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე განიხილეს აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც აფხაზეთის პრობლემა ცალკე საკითხად იქნა განხილული ამ ორგანიზაციის მიერ.

ევროგაერთიანებასთან საქართველოს დიპლომატიურმა მისიამ, რომელიც ასევე აკრედიტებულია ნატო-ში, გააკეთა სხდომაზე ინფორმაცია აფხაზეთის კონფლიქტის ისტორიის, მისი შედეგებისა და დღევანდელი ვითარების შესახებ. სხდომაზე გავრცელდა შესაბამისი მასალები და ფაქტობრივი მონაცემები.

სხდომის მონაწილეებმა, კერძოდ აშშ-ს, უკრაინის, გერმანიის, ნიდერლანდებისა და ჩეხეთის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად უკიდურესად რთული სიტუაციისა, ბოლო ხანს გაჩნდა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გარკვეული იმედები და პერსპექტივები. ამასთან დაკავშირებით, დაუჭირეს რა მხარი საქართველოს ტერიტორიალურ მთლიანობასა და აფხაზეთისათვის ავტონომიური სტატუსის შენარჩუნებას, მათ დადებითი შეფასება მისცეს გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ 9 ივლისს მიღებულ რეზოლუციას და გამოთქვეს რწმენა, რომ კონფლიქტში მონაწილე მხარეები ხელს შეუწყობენ ამ რეზოლუციის პრაქტიკულ განხორციელებას.

ასეთივე პოზიციებიდან გამოვიდა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელიც, რომელმაც ამასთანავე ეჭვი გამოთქვა აფხაზი სეპარატისტების მიერ ბოლო ხანს წამოყენებული მოთხოვნების კონსტრუქციულობის თაობაზე.

გამოითქვა საერთო აზრი, რომ ნატოს ყურადღების ცენტრში უნდა იყოს აფხაზეთში და მთლიანად საქართველოში მიმდინარე პროცესები, რადგან კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია რეალურ საფრთხეს უქმნის კავკასიის რეგიონს.

განიხილეს საკითხი საქართველოში ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს საინფორმაციო ცენტრის დაარსებისა და თბილისში ამ ორგანიზაციის ეგიდით საერთაშორისო შეხვედრის ჩატარების შესახებ.

შეიქმნა სახელმწიფო საკოორდინაციო კომისია

საქართველოსა და გერმანიის სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებების თანახმად ინვესტიციების და კრედიტების მოზიდვის, მისი რეალიზაციის ხელშეწყობისა და ამის საფუძველზე ქვეყნის ეკონომიკაში სტაბილიზაციის მიღწევის მიზნით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით შეიქმნა სახელმწიფო საკოორდინაციო კომისია, რომლის თავმჯდომარეა საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრი თენგიზ გელეიშვილი. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები, სახელმწიფოს მეთაურის აპარატის სახელმწიფო მრჩევლები.

სახელმწიფო საკოორდინაციო კომისიას ძირითად ფუნქციად განესაზღვრა სახელმწიფო და კერძო სამეურნეო სტრუქტურების პროგრამებისა და პროექტების, რომელთა განხორციელება ნავარაუდევია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ინვესტიციებით, მოზიდვა, განხილვა და მათგან პრიორიტეტული, ეკონომიკის სტაბილიზაციის დამჩქარებელი ღონისძიებების შერჩევა, შესაბამისი დასკვნების მომზადება და სახელმწიფოს მეთაურთან არსებული ეკონომიკური საბჭოსათვის განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენა, მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის ხელშეწყობა.

კომისიას ნება დაერთო მოითხოვოს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებისაგან კომისიის მუშაობისათვის აუცილებელი ინფორმაციები და მასალები.

დამტკიცდა კომისიის დებულება, რომელიც იბეჭდება მეორე გვერდზე.

შეხვედრა რუსულ თემთა კონგრესის თავმჯდომარესთან

15 ივლისს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე** შეხვდა რუსულ თემთა კონგრესის თავმჯდომარეს დიმიტრი როგოზინს. ამ არაოფიციალური ორგანიზაციის ამოცანაა დაიცვას რუსეთის ფარგლებს გარეთ, სსრ კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილ სუვერენულ სახელმწიფოებში მცხოვრები 25 მილიონი რუსი მოქალაქის უფლებები.

დიმიტრი როგოზინმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საქართველოში არ არის რუსი ეროვნების წარმომადგენელთა დისკრიმინაციის არცერთი შემთხვევა. სახელმწიფოს მეთაურთან საუბრის დროს განიხილეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში რუსულ თემთა კონგრესის დახმარების გზები. გამოითქვა იმედი, რომ ეს ორგანიზაცია თავისი არსების მეშვეობით შეძლებს შეუწყოს ხელი მხარეთა შერიგებას.

შეხვედრაში მონაწილეობდა ჯაბა იოსელიანი.

ბორის პასტუხოვი: „მე ოპტიმიზმს არ ვკარგავ“

16 ივლისს თბილისში, კრწანისის სამთავრობო აგარაკზე გაიმართა რუსეთის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის **ბორის პასტუხოვისა** და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის—სახელმწიფოს მეთაურის პირადი წარმომადგენლის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და საერთაშორისო ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის **სანდრო კავსაძის** მოლაპარაკება.

საქინფორმის კორესპონდენტის მიხეილ ჯინჯიხაშვილისათვის მიცემულ ინტერვიუში ბორის პასტუხოვმა გამოთქვა აღშფოთება „ოსტანკინოს“ ტელეკომპანიის მიერ გუდაუთიდან გადმოცემული ინფორმაციის გამო.

— ჩვენ დაძაბული მუშაობა გვაქვს, ვამუშავებთ აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისადმი კონტროლის მექანიზმს, — აღნიშნა მან. — ეს რთული და დაძაბული პროცესია. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ იგი დაჩქარდეს, შეწყდეს სისხლისღვრა. მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალება კი, თითქოს განზრახ, ცდილობს გაართულოს იგი თავისი ინსინუაციებით. აბა, სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ „ოსტანკინოს“ კორესპონდენტის ინფორმაციას, რომელიც დღეს მან გადმოსცა გუდაუთიდან. არავის არა აქვს უფლება აჰყვეს მითქმა-მოთქმას, მითუმეტეს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომელთა თითოეული სიტყვა, როცა საქმე ეხება სისხლისმღვრელ კონფლიქტებს, განსაკუთრებით უნდა იყოს შემოწმებული და დაზუსტებული.

რაც შეეხება თვით მოლაპარაკებას, მე ოპტიმიზმს არ ვკარგავ. ოპტიმიზმს არც სანდრო კავსაძე კარგავს.

— მოლაპარაკების შედეგებზე ლაპარაკი, — თქვა მან, — ჯერჯერობით ნაადრევია. არ ვკარგავ იმედს, რომ იგი წარმატებით დასრულდება.

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი

16 ივლისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნი. ელჩმა მას გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბილ კლინტონის ორი წერილი.

ედუარდ შევარდნაძემ ელჩს სთხოვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს გულწრფელი მადლობა მოახსენოს გაწეული დახმარებისათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს რომ არა, საქართველოში სიტუაცია კიდევ უფრო მძიმე იქნებოდა.

მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ,

უდიდესი სიამოვნებით აღვიქვი თქვენი გულთბილი მოლოცვა დამოუკიდებლობის დღის 217-ე წლისთავის აღსანიშნავად.

ამ დღეს ჩვენ აღვნიშნავთ იმ იდეალების ზეიმს, რომლებზეც აღმოცენდა ჩვენი ერი. ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს ერთგულებას არა მარტო ჩვენი, არამედ მსოფლიოს ყველა ხალხის სიცოცხლისადმი, თავისუფლებისადმი და ბედნიერებისაკენ სწრაფვისადმი. საუკეთესო სურვილებით,

გულწრფელად თქვენი
უილიამ ჯ. კლინტონი.

მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს

ძვირფასო ბატონო თავმჯდომარევ,

დიდი ინტერესით და თანაგრძნობით წავიკითხე თქვენს მიერ 2 ივლისს გამოგზავნილი წერილი, სადაც დეტალურად მოგვითხრობთ იმ უამრავ სიძნელეებზე, რომელთა წინაშეც დგას საქართველო. ასეთ პირობებში თქვენი სიმამაცე და ძალისხმევა დემოკრატიისათვის, თავისუფლებისა და საბაზრო ეკონომიკის რეფორმებისათვის, მართლაც რომ აღნიშვნის ღირსია. ჩვენ ყოველნაირად დაგიჭერთ მხარს ამ კომპლექსური პრობლემების გადაჭრაში.

თქვენმა წერილმა დიდი დისკუსია გამოიწვია „შვიდეულის“ გასული კვირის შეხვედრებზე. მე და „დიდი შვიდეულის“ ჩემმა კოლეგებმა დაწვრილებით ვისაუბრეთ, თუ რა საუკეთესო გზები შეგვიძლია გამოვნახოთ საქართველოსათვის დახმარების გასაწევად. ჩვენ შევთანხმდით, რომ ყოველი ქვეყანა ცალ-ცალკე თვითონ გადაწყვეტს, თუ რითი შეძლებს საქართველოს დახმარებას. დამატებით, თუ ეს თქვენთვის სასარგებლო იქნება, მე მივიღებ თქვენს წინადადებას და უახლოეს მომავალში გამოვგზავნი რეგიონის და ეკონომიკის რამდენიმე მაღალი კვალიფიკაციის ექსპერტს, რათა თქვენს სპეციალისტებთან ერთად გამოიკვლიონ, თუ რით შეუძლია საერთაშორისო საზოგადოებრიობას დაეხმაროს საქართველოს. გულწრფელად რომ გითხრათ, ძნელი იქნება დავაკმაყოფილოთ თქვენი მოთხოვნა საქართველოსათვის არსებითი მაკროეკონომიკური დახმარების თაობაზე, თუ თქვენ არ დაიწყებთ ფუნდამენტურ რეფორმებს. მაგრამ, შესაძლოა ამასობაში გამოინახოს დახმარების სხვა გზები. არის იმის შესაძლებლობაც, რომ „დიდი შვიდეულის“ სხვა სახელმწიფოებიც შეუერთდნენ ზემოთხსენებულ დელეგაციას.

როგორც იცით, ჩვენ დავიწყეთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სპეციალური პროგრამის განხორციელება, რათა დაგეხმაროთ იმ მნიშვნელოვანი კვების პროდუქტების დეფიციტის შევსების საქმეში, რომელსაც საქართველო განიცდის. ეს პროგრამა ხორბლის და რძის პროდუქტების მნიშვნელოვანი რაოდენობით მომარაგებს ივლისსა და აგვისტოში საქართველოს სოციალურად ყველაზე ნაკლებად დაცულ ფენებს. დამატებითი დახმარების თაობაზე თქვენი მოთხოვნის საპასუხოდ მე ამ პროგრამას აგრეთვე დავუმატე 30 მილიონი დოლარი ზაფხულის დამლევისათვის უფრო მეტი ხორბლის შესაძენად და მისი ტრანსპორტირებისათვის.

10 ივლისს რუსეთის პრეზიდენტ ელცინთან ერთად ორმხრივი შეხვედრის დროს მე ასევე გამოვხატე ჩემი შეშფოთება საქართველოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. მე გამოვხატე ჩემი ძლიერი მხარდაჭერა საქართველოს დამოუკიდებლობისა და პირადად თქვენი ხელმძღვანელობისადმი.

პრეზიდენტი ელცინი დამეთანხმა, რომ სტაბილურობა საქართველოში მეტად მნიშვნელოვანია და რომ ჩვენ ერთად უნდა ვილვაწოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რათა მივაღწიოთ აფხაზეთში ცეცხლის იმგვარ შეწყვეტას, რომელიც კონტროლს იქნება დაქვემდებარებული. მან ასევე აღნიშნა თქვენდამი თავისი პირადი პატივისცემა.

რაც შეეხება თქვენს მიერ წამოყენებულ უფრო ფართო გეოპოლიტიკურ საკითხებს, მე, რა თქმა უნდა, გეთანხმებით, რომ სტაბილურობა როგორც რუსეთში, ისე დანარჩენ ახლადწარმოქმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მთელი რეგიონის მომავალს.

გარწმუნებთ, ჩვენ დიდი ყურადღებით ვადევნებთ თვალს მოვლენების განვითარებას ელჩ ბრაუნის მეშვეობით და გვსურს კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი.

გულწრფელად თქვენი
უილიამ ჯ. კლინტონი.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წერილი იბეჭდება შემოკლებით.

• • •

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კლინტონის წერილი — პასუხი მისი და „დიდ შვიდეულში“ შემავალი მისი კოლეგებისადმი ჩემს მიმართვაზე, რომელიც გავგზავნე ტოკიოს შეხვედრის წინ — თავისთავად მრავლისმთქმელია. მას არ სჭირდება რაიმე ახსნა-განმარტებანი. და მაინც, ამ წერილმა აღმიძრა სურვილი რამდენიმე სიტყვით მივმართო ჩემს თანამემამულეებს.

ჩვენ მარტონი როდი ვართ მსოფლიოში. ჩვენ გვყავს მრავალი მეგობარი, მათ შორის ისეთი ძლიერი, ძლევამოსილი და გულუხვი, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატები.

მოდით გავიხსენოთ, რამდენმა სახელმწიფომ გამოგვიწოდა დახმარების ხელი — იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ჰუმანური დახმარება. ამ თვალსაზრისით სანიმუშოა ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი. ამ ქვეყნის ხელმძღვანელთა ძალისხმევით საქართველოს გამოუგზავნეს ჯერ 100 ათასი, შემდეგ კი — 250 ათასი ტონა მარცვლეული. ახლა ჩვენ გამოგვიყოფენ 30 მილიონ დოლარს ხორბლის შესაძენად, ეს თანხა კი აღემატება საქართველოს წლიურ ბიუჯეტს. დაგვპირდნენ სხვა სახის დახმარებასაც, რომელიც მოგვცემს საშუალებას გავძლოთ სასტიკი ეკონომიკური კრიზისის პირობებში.

მწამს, რომ ჩვენ გავძლებთ და გავიმარჯვებთ, და მეგობრები დაგვეხმარებიან ამაში. ამას ვახმარ კვლავ მთელ ძალისხმევას, მაგრამ, ამავე დროს, ძირითადად ჩვენი ხალხის იმედი მაქვს. უწინარეს ყოვლისა ჩვენზეა დამოკიდებული ჩვენი აღორძინება, ჩვენი გამარჯვება. თუ არ გადავუხვევთ დემოკრატიულ გარდაქმნათა გზიდან — ჩვენს ძალისხმევას კიდევ უფრო ფართოდ დაუჭერენ მხარს ცივილიზებულ სამყაროში.

ნება მიბოძეთ, თქვენი სახელით გულითადი მადლობა გადავუხადო პრეზიდენტ კლინტონსა და ყველას, ვინც არ გვტოვებს ამ ძნელბედობის ჟამს.

ედუარდ შევარდნაძე.

ის, რაც „დიპლომატიის სამზარეულოს“ განეკუთვნება, საქვეყნოდ სამსჯელო არ არის

აცხადებს ბატონი ალექსანდრე ჩიკვაიძე

საზოგადოებრიობის არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა გაზეთ „რეზონანსის“ 1993 წლის 15-16 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჩიკვაიძის ინტერვიუს ერთობ „დამაინტრიგებელი“ სათაურით „ჩიკვაიძეს რუსეთის ელჩისთვის დედა არ უგინებია, ისე კი ყველაფერი უთხრა“. ამასთან დაკავშირებით „საქართველოს რესპუბლიკის“ გუშინდელ, 16 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა რეპლიკა: გაზეთი „რეზონანსი“ გვამშვიდებს: „ჩიკვაიძეს რუსეთის ელჩისთვის დედა არ უგინებია“.

გუშინვე ჩვენს რედაქციაში დარეკა ბატონმა მინისტრმა და შეხვედრა ითხოვა საქმის არსის განმარტებისთვის. „საქართველოს რესპუბლიკის“ წარმომადგენელს მან განუცხადა:

თავიდანვე შეთანხმებული ვიყავით, რომ „რეზონანსს“ ინტერვიუს მივცემდი ძირითადად თურქეთში სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტის გადადების ირგვლივ. რაც შეეხება რუსეთის ელჩის სამინისტროში მოწვევას და საუბარს, რომელიც რუსეთის მხრიდან აფხაზ სეპარატისტებისთვის იარაღისა და ტექნიკის დიდი პარტიის მორიგი გადაცემისა და სოხუმის ასევე მორიგი დაბომბვის შემდეგ მოხდა, მაშინ ბატონ ვ. ზემსკის მართლაც დაუფარავად ვამცნე ჩვენი დამოკიდებულება თავის ქვეყნის მოქმედების მიმართ. ამ შეხვედრის ერთი ფრაგმენტი ჩემს კაბინეტში შეყვანებულმა ტელეოპერატორმა გადაიღო და შემდეგ ეთერში გავიდა.

რუსეთის ელჩთან იმ შეხვედრის გახსენებას კორესპონდენტთან კერძო საუბრის ხასიათი ჰქონდა და მისი გამოქვეყნება, თანაც ერთობ თავისუფალი ინტერპრეტაციით (ამას ხაზგასმით აღვნიშნავ!), მართებულად არ მიმაჩნია.

ასეთი გზით იაფი პოპულარობის მოპოვება ჩემი ხელწერა არასოდეს ყოფილა და სრულიადაც არ მეამაყება. მინისტრისა და ელჩის შეხვედრისას შეიძლება საუბარი იმგვარად წარიმართოს, რაც, ასე ვთქვათ, „დიპლომატიის სამზარეულოს“ განეკუთვნება და მისი საჯაროდ გამოტანა სასურველი არ არის, თუნდაც რომელიმე მომენტში საუბარს ზედმეტად ემოციური დატვირთვაც ჰქონდეს და თემის კონტექსტშიც ჯდებოდეს.

მე მესმის ინფორმაციის საშუალებათა სურვილისა — „დაიჭირონ“ ასეთი მომენტები, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ასეთი დივიდენდები არ მჭირდება და არც საერთო საქმეს რგებს.

რაც შეეხება ბატონ ვლადიმერ ზემსკის, იგი კარგი პროფესიონალია, ძალ-ღონეს არ იშურებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დაბალანსებისთვის, მიმაჩნია, რომ კეთილსინდისიერად ასრულებს ელჩის ვალდებულებებს.

ჩემთვის გაუგებარია, ისეთმა სოლიდურმა გაზეთმა, როგორიც „საქართველოს რესპუბლიკაა“, რატომ არ გამოიჩინა საჭირო ტაქტი და რეპლიკის დაბეჭდვამდე არ შეიტყო ჩემი დამოკიდებულება „რეზონანსის“ პუბლიკაციის მიმართ.

დაბოლოს, ჩემი დაბეჯითებული თხოვნაა: დღეს, როდესაც საქართველო გარეშე ძალების ზეწოლას განიცდის და საგარეო პოლიტიკა უაღრესად დაძაბული, დამუხტულია, რომელიმე მომენტის მოუზომავმა და აუწონავმა ინტერპრეტაციამ შეიძლება გართულებებისკენ გვიბიძგოს ორმხრივ და მრავალმხრივ სახელმწიფოებრივ ურთიერთობაში. პრესის ყველა მუშაკს მოვუწოდებ უფრო აქტიურად ითანამშრომლონ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ამა თუ იმ პოლიტიკური მოვლენის შეფასებისას.

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს რესპუბლიკის“
და საქინფორმის
კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

„ცენტრალური საარჩევნო უბანი",

ანუ არქიმედეს კანონი მოქმედებს

ზაირა ჩომახაშვილი, „სრ" საკ. კორესპონდენტი.

ცოტა რამ ფენომენოლოგიაზე. წერს ესპანელი ფილოსოფოსი გასეტი და ილუსტრაციისათვის ერთ ასეთ მაგალითს მოიტანს: სახელგანთქმული კაცი კვდება. სულთმობრძავის სარეცელთან ოთხი ადამიანია — ცოლი, ექიმი, ჟურნალისტი და მხატვარი. ცოლი ცნობამიხდილია მწუხარებისაგან, ის ამ პროცესის მონაწილეა, უფრო მეტიც, ის თავად პროცესშია და სხვაგვარად განიცდის მეუღლის სიკვდილს. ექიმი ისე არ გრძნობს სიტუაციას, როგორც ცოლი, უფრო მშვიდია, მაგრამ მაინც ღელავს, რადგან ეს მის პროფესიულ პრესტიჟსა და პასუხისმგებლობას უკავშირდება. პროფესიულმა ინტერესმა მოიყვანა აქ ჟურნალისტიც, ოღონდ ეს ფაქტი მის პრესტიჟსა და პასუხისმგებლობას არ უკავშირდება. მისი ვალი სხვა არის — გული აუჩუყოს მკითხველს; მხატვარი, რომელსაც არავითარი ინტერესი, ერთის გარდა, არა აქვს — აინტერესებს და აკვირდება...

ეს ვრცელი შესავალი კი ერთი კონკრეტული მტკიცების გასაძლიერებლად დამჭირდა: ფაქტი ერთია, აღქმის რეალობა კი იმდენი, რამდენი მხარეც არსებობს...

ფაქტი ერთია...

27 ივნისს ფოთში გაიმართა პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატის არჩევნები. მასში მონაწილეობდნენ: ორი დამოუკიდებელი დეპუტატი — ბაკურ გულუა და თემურ ფაჩულია და ერთი კანდიდატი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაგან — დავით კვარაცხელია. არჩევნები მაშინ მოიგო ბაკურ გულუამ. შემდგომ კი გაირკვა, რომ 7 საარჩევნო უბანში დაირღვა წესი: წესის თანახმად სააღრიცხვო ბიულეტენები ჩაწყობილი უნდა ყოფილიყო პაკეტებში და დალუქულიყო. კომისიას კი ჩაბარდა დაულუქავი ბიულეტენები, რაც საარჩევნო დებულების თანახმად, დარღვევაა. ამიტომ შვიდ საარჩევნო უბანში შედეგები ბათილად ცნეს. ამის შემდეგაც ბაკურ გულუა 244 ხმით უსწრებდა დავით კვარაცხელიას.

ამ უბნებში წესის თანახმად არჩევნები ხელმეორედ მოეწყო.

რეალობა კი იმდენია...

რამდენი მხარეც არსებობს: ზემოთ მოყვანილი მაგალითის დარად, ყოველთვის არსებობს როლები „ცოლისათვის", „ქმრისათვის", „ჟურნალისტისათვის" მათ შორის, არჩევნებშიც. აქ დეპუტატობის კანდიდატთა ინტერესები გასაგებია, გასაგებია მათი ნდობით აღჭურვილი პირების თუ მეთაურთა ნებაც — მათ სუბიექტური მიზნები აქვთ. ისინი არიან ჩართული პროცესში და თითქმის ისევე განიცდიან მოსალოდნელ შედეგებს, როგორც თავად დეპუტატობის კანდიდატები. მეორე მხარეა საარჩევნო კომისიები, რომლებიც ისე არ ღელავენ, როგორც წინამორბედნი. მაგრამ შედეგებზე ეკისრებათ პასუხისმგებლობა და ეს სიმშვიდის უფლებას არ აძლევთ; ცალკე მხარეა ამომრჩეველი, „ვისთვისაც" და „ვისი სახელითაც" ხდება ყოველივე და ვისი ნებაც განმსაზღვრელია (წესით!). ამიტომაც საბოლოო ანგარიშით, ყველა ცდილობს ამომრჩევლის ნებაზე იმოქმედოს — ამას ემსახურება რეკლამა, წინასაარჩევნო კამპანიები თუ პროგრამები, სხვა ტრადიციული თუ არატრადიციული მეთოდები...

დაბოლოს, კანდიდატიც და ამომრჩეველიც ფოთის სინამდვილეა, მოქმედება ხდება ფოთში (და ფოთისათვის!) და, ბუნებრივია, ერთი მხარე ისიც არის, ვინც ფოთის სიმშვიდისთვის აგებს პასუხს...

ყოველ მხარეს თავისი რეალობა და, შესაბამისად, ერთმანეთის მიმართ პრეტენზიებიც აქვს. დაძაბულობა თავიდან კანონიდან მომდინარეობდა, რადგან იგი, როგორც იტყვიან, ზოგისთვის დედაა და ზოგისთვის დედინაცვალი. კანონი არათანაბარ პირობებში აყენებდა დეპუტატობის კანდიდატებს. დებულების თანახმად დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატის ინტერესებს იცავენ მისი ნდობით აღჭურვილი პირნი და მეთვალყურენი; მაშინ, როცა პარტიის მიერ წარმოდგენილი დეპუტატის ინტერესებს დამატებით იცავს პარტიაც. ბუნებრივია ედპ-ს წარმომადგენლის დავით კვარაცხელიას ინტერესებს მეტი (და აქტიური) დამცველი ჰყავდა. თითქმის ერთი კვირით ადრე ჩამოვიდნენ თბილისიდან ფოთში აღნიშნული პარტიის წარმომადგენლები (თანაც, ბევრნი), ასევე დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონული ორგანიზაციის წევრები. დათო კვარაცხელიას ნდობით აღჭურვილი პირებისა და მეთვალყურეების დიდი ნაწილი სწორედ ჩამოსული ადამიანები იყვნენ. უნდა ითქვას, მისმა ამგვარმა მხარდაჭერამ „გარედან" გააღიზიანა ფოთელები, რადგან ეს აღიქვეს როგორც „ზეწოლა" და... სითხეში ჩაშვებულ ყოველ სხეულზე მოქმედებს ამომგდები ძალა, რომელიც მიმართულია ზემოთ და უდრის სხეულის მიერ გამოდევნილი სითხის წონას... ანუ ამოქმედდა არქიმედეს ცნობილი კანონი — წინააღმდეგობაც ისეთი გამოვიდა, როგორიც დაწოლა.

პოლიტიკურ პარტიას აქვს თავისი ინტერესები

ცხადია, ეს ინტერესები აქვს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასაც. მათი მხრივ აბსოლუტურად გასაგებია. სურვილი — მოეპოვებინათ კიდევ ერთი მანდატი პარლამენტში და კიდევ უფრო გაძლიერებულიყვნენ. საამისოდ აქტიურად იბრძოდნენ (რა პარტიაა, რომელიც ამისთვის არ იბრძვის), რამაც სიმპათიებიც კი შეიძლება დაიმსახუროს, რომ არა ასეთი ფაქტები: მაგალითად, № 16 საარჩევნო უბანზე საარჩევნო კომისიის წევრს მარიკა ალასანიას, რომელიც, როგორც თავად ამბობს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ინტერესების დამცველია, ექვსი გაკეცილი სუფთა ბიულეტენი უპოვეს. თუმცა ისიც სათქმელია, რომ პირველ ტურში, სხვა უბანზე, სადაც იგი კომისიის მდივანი იყო, არავითარი დარღვევა არ დაფიქსირებულა, წარმატება დავით კვარაცხელიას ხვდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისადმი ფოთელების დამოკიდებულება მაინცდამაინც სიმპათიური არ არის. ეს არჩევნების ორივე ტურის შედეგებმა ნათლად ასახა, რაც უფრო მეტად აქტიურობდა პარტია, მით მეტად გაღიზიანდა მოსახლეობა, ანუ ისევ მოქმედებდა სითხისა და სტატიკის ცნობილი არქიმედეს კანონი.

ისიც რეალობაა, რომ საკმაოდ მოკლე პერიოდში საქართველოში არჩევნების დიდი პრაქტიკა და მასში ვარირების არცთუ სასურველი გამოცდილებაც დაგროვდა. ამის მტკიცება თუმცა ძნელია, მაგრამ არსებობს ბარომეტრი — ხალხის გუმანი. ჩვენ ასეთი გამოცდილებაც გვაქვს: ჩამოდიოდნენ უცხოელი დამკვირვებლები, ექსპერტები — ყველაფერი რიგზე იყო. ხალხს კი მაინც ჰქონდა ეჭვი... ეჭვის თვალით გამოიხედა მან ამჯერადაც, როცა არჩევნების პირველი ტურის შემდეგ შეიტყო, რომ თურმე ბიულეტენები პაკეტებში ჩაწყობილი და დალუქული იყო.

— „რაის „სურგუჩი" არ ჰქონდათ"? — იკითხა მან, ხალხმა, ირონიულად და არჩევნების პირველი ტურის ჩაშლაში ობიექტურ მიზეზებზე მეტად სუბიექტური დაინტერესება დაინახა, ისევ იეჭვა და გაღიზიანდა. ესეც არის არჩევნებისადმი ინტერესის განელების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი.

— თქვენ რა, მართლა გეგონათ, რომ ზვიად გამსახურდია ოთხმოცდაშვიდმა პროცენტმა აირჩია? — კითხვაზე კითხვით მომიგო იმ ცნობილი არჩევნების შემდეგ ფსიქოლოგმა, პროფესორმა ნოდარ სარჯველაძემ. მოსახლეობის 87 პროცენტს არ შესწევს უნარი აირჩიოს. არჩევანის გაკეთება მხოლოდ თავისუფალ პიროვნებებს შეუძლიათ. ეს ნიშნავს, რომ ზვიადმა 87 პროცენტს აარჩევინა თავი. ეს ამჯერად ედპ-ს თბილისის დიდუბის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის ზურაბ ჭავჭანიძის სიტყვებმა გამახსენა: არჩევნები ვერ იქნება ობიექტური, რადგან თავად ამომრჩეველი არ არის ობიექტურიო. მე პიროვნებას ვერ ვუწოდებ იმ კაცს, რომელმაც ხმა მისცა და მერე განაცხადა, ძალით მიმაცემინესო. ის პიროვნება კი არა, უბრალოდ, ტიკინაა.

აქ აქცენტის გაკეთება შეიძლება, ოღონდ ამ აქცენტსაც ყველა სუბიექტურად აკეთებს. აქ დასკვნის გაკეთებაც შეიძლება, ვისაც ხელს აძლევს, ასეთისაც: ხალხმა არ იცის, რა უნდა. ხალხმა არ იცის? სამაგიეროდ „ჩვენ" ვიცით!

ამომრჩეველი შესაძლოა ამდენს ვერ მიხვდა, მაგრამ ისევ იგუმანა, თუ როგორ ცდილობს „დაითრიოს" მისი ნება ხან ერთმა მხარემ, ხან — მეორემ და... ის გულგატეხილია, დაღლილია, პასიურია. ამას ბევრი მიზეზი აქვს პროსტრაციისა და პროტესტი გამოხატა, როგორც შეძლო, ისე: ზოგმა არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა, ზოგმაც პირიქით, თავისი ნება გამოხატა — ხმამაღლა, ყველას გასაგონად განაცხადა: მაცალეთ, ბატონო, სჯობს მე შემეშალოს, ვიდრე ჩემს მაგივრად თქვენ შეგეშალოთ!

თუმცა ამასაც მოეძებნება სხვაგვარი კონსტატაცია. მაგალითად, ასეთი: არჩევნები ცუდად არის რეკლამირებული და იმიტომ არ მოდის ამომრჩეველი, მიზეზი კი ის არის, რომ ადგილობრივი ხელისუფლება გაკოტრდა, ვერ გაამართლა. სასწრაფოდ უნდა გაიმართოს ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნები — ჯერ კიდევ არჩევნებზე, უკვე მომავალი არჩევნების აუცილებლობაზე მესაუბრებოდა ედპ-ს თბილისის ბიუროს წევრი, ბატონი სოსო ქარქაშაძე, სხვაგან კი დასძენენ: უნდა გაძლიერდეს ცენტრალური ხელისუფლება ადგილობრივ ორგანოებზე თავისი მაკონტროლებელი ფუნქციით... და თითქოს ყველა გზა რომში მიდისო, ისევ შეეჯახა ერთმანეთს ორი ინტერესი: ცენტრი და ადგილობრივი ხელისუფლება.

აქ ჯერჯერობით კედელია, აქ შევჩერდეთ...

დავბრუნდეთ:

იყო ბრალდება — არჩევნებში უხეშად ერევა ქალაქის მერია. ასეთი იყო ბრალდება ეროვნულ-დემოკრატების მხრივ. მათ შეადგინეს და საოლქო საარჩევნო კომისიას წარუდგინეს სათანადო აქტები იმის თაობაზე, რომ ქალაქის მერი, მერის მოადგილე ბატონი ირაკლი მოწერელია, პოლიციის უფროსი ბატონი გოგი შერგელაშვილი შედიოდნენ საარჩევნო უბნებში, რაც დებულების დარღვევაა.

იყო პასუხიც: მეც ვარ ბრალდებული? — იკითხა მერის მოადგილემ გურამ დოლბაიამ და არც უარყვია ფაქტი: მე მართლაც ვიყავი ყველა უბანზე, მივესალმე და მოვიკითხე ხალხი, აი ასე:

— გამარჯობათ, როგორა ხართ? ხომ არ ჩხუბობთ? „სურგუჩი" გაქვთ?

იყო ექსცესებიც: ეროვნულ-დემოკრატებმა გამოიყვანეს ავტობუსები, რათა ამომრჩეველი იოლად მისულიყო საარჩევნო პუნქტებში, ქალაქის პოლიციამ დააკავა ეს ავტობუსები, რადგან მძღოლებს არ ჰქონდათ სათანადო საგზურები...

იყო კონფლიქტიც: უკვე ეროვნულ-დემოკრატებსა და ქალაქის მერს შორის, ქუჩაში. ისევ შედგა აქტი. ისევ ერთია ფაქტი, კონსტატაციაა სხვადასხვაგვარი: ა) ეროვნული დემოკრატები: მერის მოქმედება ყოველგვარ ზღვარს სცილდება; ბ) ფოთელები: მერს შანტაჟი მოუწყვეს...

ყველაფერი ეს კი მოკლედაც შეიძლებოდა თქმულიყო. აი, ასე: ფოთში გაიმართა არჩევნები ორ ტურად, მონაწილეობდა სამი დეპუტატობის კანდიდატი: ბაკურ გულუა — იცნობენ ფოთში, იგი კომუნისტური რეჟიმის დროს აქ საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო; დავით კვარაცხელია — იცნობენ ფოთში. ის პედიატრია, ასპირანტი. პოლიტიკური ბიოგრაფია — ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამეგრელოს რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე; თემურ ფაჩულია — იცნობენ ფოთში. ფოთის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის რექტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი.

„მე ხმას არ მივცემ გუშინდელს, სჯობს ხვალინდელი", — ზოგადად თვალსაზრისი გამოთქვა ედპ-ს ერთ-ერთმა წევრმა. ეს მისი ნება იყო. ხალხმა კი „გუშინდელი" აირჩია დღევანდელობის უარყოფის საფუძველზე, ისევე, როგორც თავის დროზე ამავე მიზეზის გამო მკაცრად აქცია ზურგი კომუნისტებს... დავით კვარაცხელიამ წააგო არჩევნები ხმაურით, თემურ ფაჩულიამ — მშვიდად...

„ცენტრალური საარჩევნო უბანი" ანუ ფოთში ეძებენ დრამატურგს...

შემოქმედება რუტინას ვერ იტანს, თორემ ვნებათაღელვა, ნერვიულობა, დაძაბულობა ის გარემოა, სადაც მხოლოდ მუხტი იბადება: მე დავდგამ სპექტაკლს „ცენტრალური საარჩევნო უბანი" — მითხრა ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორმა, სამხატვრო ხელმძღვანელმა ბატონმა ალექსანდრე ჯანელიძემ, თუკი მომეხმარებით: მე ვეძებ დრამატურგს, რომელიც დაწერს პიესას სპექტაკლისათვის „ცენტრალური საარჩევნო უბანი"...

ფოთის ბატალიონი აფხაზეთში გასამგზავრებლად მზად იყო, თუმცა არჩევნების გამო ომში წასვლა რამდენიმე დღით გადაიდო...

— მაგას ომში წასვლა არ უნდოდეს... — ასეთი აზრი გამოითქვა კაცზე, რომელიც უკვე იბრძოდა აფხაზეთში ფოთის ბატალიონის წევრებთან ერთად და თან ახლდა სიძე და 16 წლის ვაჟიშვილი...

ახლა, როცა ეს სტრიქონები იბეჭდება, ფოთის ბატალიონი მერთან ერთად აფხაზეთში იბრძვის...

ქ. ფოთი.

ნოდარ ნუცუბიძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

სათქმელი უნდა ითქვას

გვიყვარს კი საქართველო?!

არ შეიძლება დღეს განზე გადგე და უცადო, როგორ განვითარდება მოვლენები, როგორ გადაწყდება შინაური თუ საგარეო პრობლემები.

ქართველი ერი დგას უმძიმესი განსაცდელის წინაშე, როდესაც ერთმანეთს უფრო ადვილად ვიმეტებთ, ვიდრე ჩვენს მტრებს, ერთმანეთს არაფერს ვუთმობთ და ამავე დროს, ნებით თუ უნებლიედ ვთმობთ საერთო ქართულ საქმეს. ერის მთლიანობას, ჩვენს მიწა-საკვიდროს, რომელიც ათასეული წლების მანძილზე სიცოცხლის ფასად გვქონდა და მემკვიდრეობით გადმოგვეცემოდა მამებიდან შვილებს.

რა არის მიზეზი ჩვენი ასე დაცემისა? იქნებ, ჩვენი ავბედითი წარსული, გამუდმებული ომები და შემდეგ — ორასწლიანი „სხვისი მმართველობის" ქვეშ ყოფნა? „დაცემას" რომ ვახსენებ, გული მიკვდება, მაგრამ ყველაფერს ხომ თავისი სახელი უნდა დაერქვას, თუ გვინდა, რომ დროზე მოვეგოთ, თავს დატეხილი უბედურების ყოველი ნიუანსი კარგად გავიაზროთ და სათანადო დასკვნებიც გამოვიტანოთ.

ყველაზე დიდი უბედურება, დღეს რომ გვჭირს, ქვეყანაში წესრიგის მოშლაა, ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს თავის მოვალეობად თითქოს არ მიაჩნია ძალ-ღონის დაუზოგავად შრომა, დაკისრებული საქმის უთუო შესრულება. ქართველ კაცში თითქოს ჩაკვდა მიწის ის დიდი სიყვარული, საუკუნეების მანძილზე ძვალ-რბილში რომ ჰქონდა გამჯდარი, როცა უდიდესი ძალისხმევით მოჰყავდა თავის ნაკვეთზე უხვი მოსავალი, რითაც თავის მოთხოვნილებასაც იკმაყოფილებდა და ქვეყანასაც ამარაგებდა. რასაკვირველია, ქალაქმა ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი სოფელს ტექნიკით, მასალით, სასუქით თუ შხამ-ქიმიკატებით და სხვა. მაგრამ დღეს რომელიმე მხარემ რომ დაიჩივლოს, ჯერ უზრუნველმყავი და მერე ვიმუშავებ და უკეთესად გიპასუხებო, ეს ქვეყნის ღალატი იქნება. თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარ სამუშაო ადგილზე ის უნდა გავაკეთოთ, რაც შეგვიძლია და — კიდევ იმაზე მეტიც.

მეორე დიდი ჭირი საერთო საქმის უგულებელყოფაა, ანუ „სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირიო". წესრიგის უქონლობა ქუჩაში, დაწესებულებაში, საზოგადოებრივ სათავსოებსა და სავაჭროებში. საბაზრო ეკონომიკის გადაქცევა თვალთმაქცობის ობიექტად, როდესაც ყველა ცდილობს ნაკლები ენერგიის დახარჯვით, თითქმის უშრომელად, რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღოს ეკონომიკურად დაუცველი მოსახლეობის ხარჯზე. აქიდან — ცუდი მაგალითი ახალგაზრდობას: რომ, თურმე უშრომელად, უსწავლელად, ყოველგვარი პროფესიონალიზმის გარეშე შეიძლება მიაღწიო წარმატებას! რომ კარგად ცხოვრება შეიძლება ქურდობით, ბანდიტობით, რეკეტით და სხვა ათასგვარი ხრიკებით, ცხადია, ამას ქვეყანაში ქაოსი და განუკითხაობა მოსდევს. ნადგურდება ყოველივე, რაც წლობით შენდებოდა, და ავად თუ კარგად, გარკვეულ კონდიციამდე იყო მიყვანილი. ტრანსპორტი, სახელმწიფო დაწესებულებები, ელექტრომომსახურების ობიექტები, ტელე-რადიო თუ ტელეფონის ქსელები და მათი სამსახურები. იძარცვება ფერადი ლითონებისაგან ყველა ზემოთ დასახელებული თუ არდასახელებული ობიექტი, მათ შორის — სასიქადულო მწერლების ძეგლები. ტერორიზმი, მატერიალური თუ იდეოლოგიური დივერსია ძირს უთხრის საქართველოს. მაგრამ საკმარისია ერთი-ორი მკაცრი ღონისძიების გატარება, რომ ატყდება ვაი-უშველებელი — არიქა, დემოკრატია ითელებაო. მაგრამ დემოკრატიული წყობა ხომ კარგად გააზრებული კანონების ზედმიწევნით დაცვას ეფუძნება. საზოგადოება, რომელიც თავის კანონებს არ იცავს და მის მიხედვით არ ცხოვრობს, საზოგადოებად არც შეიძლება ჩაითვალოს!

ახლა დიდი კამათია იარაღის ტარების დაკანონებაზე, მოსახლეობისათვის მის მიყიდვაზე და ვინც ამის მომხრეა, ის არ ითვალისწინებს, რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს იარაღის შეძენის საშუალება არ გააჩნია. მაშ, ვინ უნდა დაიცვას მოსახლეობის 70-80 პროცენტი თუ არა სახელმწიფო ორგანოებმა?

ამჟამად მოსახლეობაში არსებული იარაღის უმეტესი ნაწილი ძირითადად კრიმინალური სამყაროს ხელშია. ნუ შევქმნით აჟიოტაჟს იმის თაობაზე, თითქოს მათგან იარაღის ამოღება შეუძლებელია. თუ სახელმწიფომ მოინდომა, ამ პრობლემას მოევლება. კაცი იარაღს სახლიდან თუ ვერ გამოიტანს, ვერც იხმარს. ქუჩაში შინაგანი ჯარისა და მილიციის სხვა ფორმირებებს უნდა ჰქონდეს მხოლოდ იარაღის ტარების უფლება, სხვა შემთხვევაში იარაღი ყაზარმებში უნდა რჩებოდეს. ეს დებულება მთელი სისასტიკით უნდა გატარდეს, თუნდაც დრაკონული წესის გატარება დაგვჭირდეს!

დაფიქრება გვმართებს ამნისტიის გამოცხადების დროსაც, ნუ გამოვიჩენთ ზედმეტ ლმობიერებას კრიმინალური სამყაროსადმი მშვიდობიანი, მშრომელი მოსახლეობის საზარალოდ.

სახელმწიფო უნდა ეცადოს უპირველესად პურით, საწვავით, წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგება მოაწესრიგოს ქვეყანაში, თუ უნდა, რომ დანარჩენი სიცოცხლისათვის აუცილებელი რესურსებიც ჰქონდეს მოსახლეობას. არ შეიძლება, ეს ყოველივე ხელში ჩავუგდოთ მხოლოდ ქორვაჭრებს.

თბილისის იერსახე დაამახინჯა ამდენმა ჯიხურმა, ამდენმა სავაჭრო წერტმა, ისინი სათანადო მოგებას ვერ მისცემენ ვერც მოსახლეობას, ვერც საკუთარ პატრონს, თუ ამჟამად არსებული სახელმწიფო მაღაზიების პრივატიზება არ მოხდა. მაღაზიების ნუსხას აცხადებენ, მაგრამ პრივატიზებულები ჯერჯერობით არ ჩანან. არადა, დიდ მაღაზიებს, ფირმებს ბევრად მეტი საშუალებები გაუჩნდებათ და, საბოლოოდ, საღი კონკურენციის საფუძველზე, საქონლის დიდი პარტიების შეძენა-გაყიდვის მეშვეობით მათაც მოგება და მოსახლეობას მეტი შეღავათი იქნება. ეს საქმე რაც შეიძლება უნდა დაჩქარდეს.

ძნელია, რაიმეს მოწესრიგებაზე ლაპარაკი მაშინ, როცა ქვეყანაში ვანდალიზმია ფესვგადგმული. სხვა რა ვუწოდოთ იმას, რომ საკუთარ ქვეყანაში ვანგრევთ ხიდებს, გზებს, ვწვავთ სკოლებს, არაფერს ვინდობთ პოლიტიკური ამბიციებისათვის და გვავიწყდება ყველაზე მთავარი, რომ ამით შიგ გულში ვუმიზნებთ საქართველოს მომავალს, მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიძლიერეს. არც ერთ ქვეყანაში არ აზიანებენ და ანგრევენ აშენებულს, რა მოგვივიდა, ნუთუ ჩვენ ყველაზე შეუგნებლები ვართ?!

სრულიად მიუღებელია ერის გაყოფა ექსპრეზიდენტის და ახლანდელი მთავრობის მომხრეებად. ჩვენ იმდენი შინაური თუ გარეშე მტერი გვახვევია, რომ შიდა დაპირისპირება აშკარად დამღუპველია. შეიძლება იკამათო, საკუთარი აზრი გამოთქვა, იბრძოლო პოლიტიკურად, მაგრამ იარაღით დაპირისპირებაზე ფიქრიც კი მკრეხელობაა. ახლა საქართველოს მხოლოდ ერთიანობა გადაარჩენს და ამისათვის უნდა დავივიწყოთ ამბიციები, პარტიული ინტერესები.

მთავრობა ერს სჭირდება მისი ეროვნული ინტერესების დაცვისათვის, მისი შეცვლა ტრაგედია არ უნდა გახდეს. თუმცა საუკეთესომ უნდა იმსახუროს დიდხანს, მთავარია, სახელმწიფო მმართველობის აპარატი შეიქმნას მაღალპროფესიული და, შეიძლება ითქვას, თითქმის მუდმივი, მთავრობა კი შეიძლება ზოგჯერ თვეობითაც არ გაჰყავდეს, მაგრამ ქვეყანას ეს არ უნდა დაეტყოს, როგორც ეს ხდება საფრანგეთში, გერმანიაში თუ სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში.

მძიმე მდგომარეობაა ამჟამად კრიმინოგენული თვალსაზრისით. ბანდიტიზმი და კაცისკვლა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამ სიტუაციაში ნამდვილად გასაკვირია პარლამენტის წევრთა მაღალფარდოვანი გამოსვლები სიკვდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნით, მაგრამ ამის გაუქმება მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა ცხოვრება დაწყნარდება, ბანდიტიზმი და კაცისკვლა იშვიათობად იქცევა. მანამდე კი სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე ოცნებაც არ შეიძლება, ამით მკვლელს ხელფეხს გავუხსნით პატიოსანი მოქალაქის საზიანოდ და დასათრგუნავად.

აი ახლა გვმართებს მეტი კონსოლიდაცია, და თანხმობა ჩვენი ქვეყნის მესვეურთა შორის. ზოგჯერ გაოცებული უყურებ, რა ხდება პარლამენტში, როგორ იქცევა ზოგიერთი მისი წევრი. საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვს, მაგრამ სად გაქრა ქართული ზრდილობა, ტაქტი, თავდაჭერილობა, ლოგიკური აზროვნების უნარი... პოლიტიკოსი, ჩემი აზრით, მოჭადრაკეს ჰგავს, ერთიც და მეორეც მოვლენათა, სვლათა გათვლის უნარით შეფასდება, რაც უფრო მეტი გათვლის უნარი აქვს პოლიტიკოსს თუ მოჭადრაკეს, მით უფრო მაღალი რანგისაა ის. ასე რომ, პოლიტიკაში, ისევე როგორც ჭადრაკში, მოყვარულის დონეზე ნუ მოვიქცევით, ჩვენი ქვეყნის მოქალაქე თუ ზოგ შემთხვევაში — პარლამენტარიც. ნუ დავიბრალებთ იმას, რისი უნარიც არ გაგვაჩნია, ჯერ კვალიფიკაცია ავიმაღლოთ და შემდეგ მივიღოთ მონაწილეობა იმ ურთულეს და პასუხსაგებ „თამაშში", რომელსაც პოლიტიკა ჰქვია!

მე მწამდა, რომ მსოფლიო ერებს შორის ჩვენი ერთ-ერთი მოწინავე კულტურული და განათლებული ერი იყო. ვაი, რომ ვცდებოდი. როგორც კი გაჭირვება დაგვატყდა, თავი კი არ ჩავლუნეთ (გერმანელებივით ან იაპონელებივით) და შრომაში დღე-ღამეს კი არ ვასწორებთ, არამედ ვძარცვავთ და ვყიდით ქვეყნისას თუ საკუთარს, თვით საკუთარ სხეულსაც კი, რომ რაღაც ჭინჭებით დავიფაროთ და იმაზე არავინ ფიქრობს, რომ წამხდარი სულის დამალვა არ შეიძლება, შეუძლებელია...

აკი ამიტომაც გამოვთქვამ ჩემი წერილის სათაურში ეჭვს, რომ ქართველების საკმაოდ დიდ ნაწილს არ უყვარს საქართველო.

გთხოვთ, ჰონორარი გადარიცხოთ თავდაცვის ფონდში.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტში

მთავარია დიდი პროფესიონალიზმი

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმის პრაქტიკულად არც ერთი სხდომა არ გამართულა ისე, რომ სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად საკადრო საკითხებიც არ განეხილათ. და ეს ბუნებრივია, განსაკუთრებით ახლა, რესპუბლიკაში მმართველობის თვისებრივად ახალი სტრუქტურების ფორმირება-დამკვიდრების, მათი ხელმძღვანელობის განმტკიცების პერიოდში. მაგრამ, ძნელად თუ გავიხსენებთ ისეთ შემთხვევას, როცა ამა თუ იმ თანამდებობის პირის განთავისუფლების შესახებ დადგენილების პროექტს გამოეწვიოს ისეთი ცხარე კამათი, როგორც ეს მოხდა 14 ივლისს რესპუბლიკის მთავრობის მორიგ სხდომაზე, რომელსაც პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა თავმჯდომარეობდა.

საქმე ის არის, რომ შოთა ადამიამ, რომელიც აი უკვე ნახევარ წელიწადზე მეტია ხელმძღვანელობს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს, გადაწყვიტა ახალი ადამიანებით შეეცვალა თავისი ოთხი მოადგილე. და ამაში, თავდაპირველად, თითქოს არაფერი არ იყო საკვირველი, ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი გარემოება რომ არა. შესთავაზა რა მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმს დაემტკიცებინა დაკავებული თანამდებობიდან მისი პირველი მოადგილის — თავისი საქმის მცოდნე სპეციალისტის ვასილ მიქაშავიძის განთავისუფლებისა და სამინისტროს აპარატში, ხელფასის შენარჩუნებით, სხვა სამუშაოზე გადაყვანის შესახებ ბრძანების დამტკიცება, მინისტრმა ვერ შესძლო დაესაბუთებინა თავისი გადაწყვეტილება. უფრო მეტიც, მან თვითონ დაახასიათა მიქაშავიძე როგორც დიდი პროფესიონალი და უნარიანი ორგანიზატორი, მაგრამ, ამასთან, თავისი გადაწყვეტილება მხოლოდ იმით ახსნა, რომ მათი შეხედულებანი არ ემთხვევა ერთმანეთს იმ პოლიტიკის თაობაზე, რომლის განხორციელებასაც აპირებს სამინისტრო. როგორც მინისტრმა განაცხადა, „ეს არის კადრების შეცვლა, და არა პროფესიონალიზმისადმი წაყენებული პრეტენზია" და იგი ამ ნაბიჯს დგამს თავისი გუნდის შექმნისათვის მისთვის მინიჭებული უფლების თანახმად.

ცხადია, რომ ამას ვერ დაეთანხმებოდნენ ვერც თვით ვასილ მიქაშავიძე, კაცი, რომელიც სამართლიანად სარგებლობს მაღალკვალიფიციური მუშაკის რეპუტაციით, და ვერც მინისტრთა კაბინეტის წევრები, რომლებმაც მინისტრის ბრძანება დაუსაბუთებლად და გაუმართლებლად მიიჩნიეს როგორც იურიდიული, ისე მორალური თვალსაზრისით. მით უმეტეს, რომ გარემოს დაცვის სისტემაში გამოცდილი სპეციალისტის ნაცვლად, რომელმაც გარემოს დაცვის სისტემაში მეოთხედი საუკუნე იმუშავა, შემოთავაზებული იყო სრულიად არაიდენტური კანდიდატურა. ჰოდა, სწორედ ამიტომ ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება არ დაემტკიცებინათ მინისტრის ბრძანება მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან ვასილ მიქაშავიძის განთავისუფლების შესახებ.

რაც შეეხება გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან თემურ ვეკუას განთავისუფლებასა და ამ თანამდებობაზე ამავე სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილის მერაბ შარაბიძის დანიშვნას, პრეზიდიუმმა დაამტკიცა მინისტრის ეს გადაწყვეტილება. სხვათა შორის, ამ სხდომაზე განიხილეს აგრეთვე სხვა საკადრო საკითხები. კერძოდ, ჯაბა იოსელიანის წარდგინებით საქართველოს რესპუბლიკის ამ ცოტა ხნის წინათ შექმნილი მაშველთა კორპუსის თავმჯდომარედ დანიშნეს გიორგი გელაშვილი, რომელიც მუშაობდა ბორჯომის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ. იმის მიუხედავად, რომ თვით გელაშვილი არ ესწრებოდა სხდომას — იგი ამჟამად იმყოფება აფხაზეთში საომარი მოქმედების ზონაში — მის კანდიდატურას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი.

მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა 1993 წელს პირველი ეტაპის მესამე რიგის საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხა. მათ რიცხვში შედის 860-ზე მეტი საწარმო, დაუსრულებელი შენობა და ნაგებობა, მაღაზია, კაფე და რესტორანი, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა ობიექტები რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში. ამ ობიექტთა პრივატიზაციის ორგანიზება დაევალათ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და მის ტერიტორიულ ორგანოებს.

სხდომაზე განიხილეს მიმდინარე წლის მარტში მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული 1993-1995 წლებში რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის კრიზისიდან გამოყვანის პროგრამის შესრულებისათვის ქალაქ წყალტუბოს ზონის და ქალაქ გორისა და გორის რაიონის გამგეობების მიერ გაწეული მუშაობის საკითხი. ცნობად მიიღო რა წარმოდგენილი ინფორმაცია, პრეზიდიუმმა დაავალა ორივე გამგეობას განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და ამ პროგრამის განხორციელებისათვის. ამასთან დაკავშირებით, კონკრეტული დავალებები მიეცათ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე სხვა რაიონების გამგეობებს, რომლებმაც მიმდინარე წლის 25 ივლისამდე საფუძვლიანად უნდა განიხილონ რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის კრიზისიდან გამოყვანის პროგრამის განხორციელების მიმდინარეობა, რათა უზრუნველყონ მისი უთუო შესრულება.

იუსტიციის სამინისტროს წარდგინებით პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციის შესახებ, რომელიც გადაწყდა დასამტკიცებლად წარუდგინონ პარლამენტს. პროექტის თანახმად, ეს კანონი ვრცელდება საქართველოს ყველა იმ მოქალაქეზე, რომლებიც განიცდიდნენ პოლიტიკურ რეპრესიებს საქართველოს ტერიტორიაზე 1921 წლის 25 თებერვლიდან. თანაც, იმ პირებთან ერთად, რომელთა მიმართაც უშუალოდ განხორციელდა იძულების ღონისძიებანი, პოლიტიკური რეპრესიების შედეგად დაზარალებულად ითვლებიან ბავშვებიც, რომლებიც მშობლებთან ერთად იმყოფებოდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გადასახლებაში, სპეცდასახლებებში. ნავარაუდევია, ეს კანონი სამოქმედოდ შემოიღონ 1994 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვისა და რეალიზაციის ხელშემწყობი სახელმწიფო საკოორდინაციო კომისიის

დებულება

ზოგადი დებულებები

1. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვისა და რეალიზაციის ხელშემწყობი სახელმწიფო საკოორდინაციო კომისია (შემდგომში კომისია), რომელიც შექმნილია საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის ივლისის №.. განკარგულებით, არის სათათბირო-სარეკომენდაციო ორგანო და მიზნად ისახავს საქართველოსა და გერმანიის სახელმწიფოებს შორის მიღწეული ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების განხორციელებაში ხელშეწყობას გერმანული ინვესტიციებისა და კრედიტების ქვეყნის ეკონომიკაში მოზიდვისა და რეალიზაციის სფეროში.

2. კომისია, საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური ინტერესების უზენაესობიდან გამომდინარე, თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოსა და გერმანიის სახელმწიფოებს შორის დადებულ ხელშეკრულებებში ჩამოყალიბებული დებულებებითა და პრინციპებით, ქვეყნის ეკონომიკაში რაციონალური სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების საფუძველზე სტაბილიზაციის მიღწევისა და მისი შემდგომი აღმავლობის, სახელმწიფო და კერძო სამეურნეო სტრუქტურების თანაბარუფლებიანი განვითარებისათვის ხელშეწყობის ამოცანებით.

3. კომისია ორგანიზაციას უკეთებს სახელმწიფო და კერძო სამეურნეო სტრუქტურების მიერ შემუშავებული გერმანული ინვესტიციებისა და კრედიტების ხარჯზე განსახორციელებელი პროგრამებისა და პროექტების მიღებას, იხილავს მათ, შეარჩევს მათგან პრიორიტეტული ეკონომიკის სტაბილიზაციის დამაჩქარებელ ღონისძიებებს და განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან არსებულ ეკონომიკურ საბჭოს, ახორციელებს ღონისძიებებს მიღებულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკული რეალიზაციისათვის.

კომისიის საქმიანობის ამოცანები და მიმართულებები

1. კომისიის საქმიანობის ძირითად ამოცანას შეადგენს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვისა და რეალიზაციისათვის ხელშეწყობა.

2. ამ ამოცანის შესრულების აუცილებლობიდან გამომდინარე, კომისიის საქმიანობის მიმართულებებს შეადგენს:

— სახელმწიფო და კერძო სამეურნეო სტრუქტურებისაგან პროგრამებისა და პროექტების მიღება და განხილვა, მათგან პრიორიტეტულების შერჩევა, შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება და სახელმწიფოს მეთაურთან არსებული ეკონომიკური საბჭოს განსახილველად წარდგენა;

— სახელმწიფოს მეთაურთან არსებული ეკონომიკური საბჭოს მიერ მოწონებული პროგრამებისა და პროექტების გერმანიის მხარისათვის მიწოდების ორგანიზაცია, მათი განხორციელებისათვის ხელშეწყობა;

— საქართველოსა და გერმანიის მეურნე სუბიექტებს შორის კავშირების დამყარებისათვის ხელშეწყობა;

— გერმანული ინვესტიციებისა და კრედიტების ქვეყნის ეკონომიკაში დაბანდების პრიორიტეტების განსაზღვრა;

— კერძო მეწარმეობის განვითარებისათვის სახელმწიფოებრივი ხელშეწყობის მიზნით ამ სფეროს მეურნე სუბიექტებისათვის რეკომენდაციებისა და რჩევების მიცემა ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვისა და რეალიზაციის საკითხებში;

— გერმანიის ფირმებთან და სხვა სტრუქტურებთან კავშირების დამყარება, მათი წინადადებების მიღებისა და დაინტერესებული სუბიექტებისათვის მიწოდების მიზნით.

3. საქმიანობის ძირითადი მიმართულებების ეფექტიანი რეალიზაციის მიზნით კომისია ქმნის, სისტემატიზაციას უკეთებს და იყენებს შესაბამის ინფორმაციულ ბანკს.

კომისიის უფლებები

კომისიას უფლება აქვს:

— მიიღოს სამინისტროებისაგან, უწყებებისაგან, საწარმოებისაგან, ორგანიზაციებისაგან და კერძო სტრუქტურებისაგან კომისიის მუშაობისათვის საჭირო მასალები და ინფორმაციები;

— დაამყაროს თავისი სახელით პირდაპირი კონტაქტები გერმანულ ფირმებთან და სხვა სტრუქტურებთან და მიიღოს მათგან საჭირო მასალები და წინადადებები;

— გამოაქვეყნოს თავისი სახელით ინფორმაციები, განცხადებები და სხვა მასალები;

— დაუბრუნოს წარმომდგენელს არასრულყოფილად წარმოდგენილი მასალები: მოითხოვოს მათი გადამუშავება, შევსება და სრულყოფილი სახით წარმოდგენა;

— საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების სპეციალისტები, შექმნას სპეციალური საექსპერტო ჯგუფები ცალკეულ პროგრამებსა და პროექტებზე დასკვნებისა და წინადადებების მომზადების მიზნით;

— საჭიროების შემთხვევაში, გამოაცხადოს კონკურსები ცალკეულ პროექტებზე.

პროგრამების და პროექტების მიღებისა და განხილვის წესი

1. კომისია შეიმუშავებს და ამტკიცებს პროექტებისა და პროგრამების წარმოდგენის ფორმებს და მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც, დაინტერესებული სუბიექტები წარმოადგენენ თავიანთ წინადადებებს.

2. კომისიის სამდივნოში წარმოდგენილი მასალები შესაბამისი გასინჯვის შემდეგ მომზადება კომისიის მორიგ სხდომაზე განსახილველად. კომისიის რიგით სხდომაზე გაიტანება ის წინადადებები, რომლებიც წარმოდგენილია სხდომაზე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე.

3. პროგრამები და პროექტები, რომლებიც წარმოდგენილია კომისიის მიერ განსაზღვრული ფორმებისა და მოთხოვნების დარღვევით, კომისიის სამდივნოს მიერ უბრუნდება წარმომდგენს შემდგომი გადამუშავებისათვის.

— გამოყოფილი სამთავრობათაშორისო კრედიტების განაწილებისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების შესრულება.

4. კომისიის სხდომაზე პროექტებისა და პროგრამების განხილვის შედეგები ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და პასუხისმგებელი მდივანი.

5. კომისიის მიერ მოწონებული პროგრამები და პროექტები შესაბამისი მასალებით ერთი კვირის ვადაში წარედგინება განსახილველად საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან არსებულ ეკონომიკურ საბჭოს.

6. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან არსებული ეკონომიკური საბჭოს მიერ პროგრამებისა და პროექტების განხილვის შემდეგ კომისია ორგანიზაციას უკეთებს მოწონებული წინადადებების გერმანული მხარისათვის მიწოდებას.

კომისიის მუშაობის ორგანიზაცია

1. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე:
2. კომისიის თავმჯდომარე:

— უძღვება კომისიის სხდომებს;

— ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;

— წარუდგენს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან არსებულ ეკონომიკურ საბჭოს განსახილველად საინვესტიციო-საკრედიტო პროგრამებსა და პროექტებს;

— იღებს ზომებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან არსებული ეკონომიკური საბჭოს მიერ მიწოდებული პროექტებისა და პროგრამების გერმანული მხარისათვის მიწოდებისათვის.

3. კომისიას ჰყავს პასუხისმგებელი მდივანი, რომელიც:

— ორგანიზაციას უკეთებს კომისიის სხდომების ჩატარებას;

— იღებს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებისაგან საინვესტიციო-საკრედიტო წინადადებებს, ამოწმებს მათ შესაბამისობას კომისიის მიერ განსაზღვრული მოთხოვნილებებისადმი, უზრუნველყოფს მასალების კომისიის განსახილველად გატანას;

— კომისიის სახელით უბრუნებს წარმომადგენლებს კომისიას მოთხოვნების დარღვევით წარმოდგენილ მასალებს;

— ორგანიზაციას უკეთებს კომისიის თავმჯდომარის მიერ სახელმწიფოს მეთაურთან არსებული ეკონომიკური საბჭოს განსახილველად წარსადგენი მასალების მომზადებას;

— კომისიის თავმჯდომარესთან ერთად, ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;

— ორგანიზაციას უკეთებს სახელმწიფოს მეთაურთან არსებული ეკონომიკური საბჭოს მიერ მოწონებული წინადადებების გერმანიის მხარისათვის მიწოდებას.

4. კომისიის სხდომები იმართება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ.

ცვლილებების შეტანა კომისიის დებულებასა და შემადგენლობაში

1. კომისიის შემადგენლობაში და კომისიის დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით.

ედუარდ შევარდნაძე: ერთიანი არმიის შექმნის პროცესი ღრმავდება, ფართოვდება და ასეთი არმია მართლაც ფორმირდება. მე უკვე გამოვთქვი ჩემი დამოკიდებულება თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის მიმართ. უნდა გითხრათ, რომ ეს ახალგაზრდა ხალხი, პირველ რიგში, ბატონი გია ყარყარაშვილი, რომელსაც დაკისრებული აქვს სამხედრო ფორმირებების საერთო ხელმძღვანელობა, სწრაფად იზრდება, სწრაფად ხდება მისი ფორმირება, როგორც გაბედულად მოქმედი მინისტრისა.

(1993 წლის ივლისს პარლამენტის სხდომაზე წარმოთქმული სიტყვიდან)

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს თავდაცვის ფონდი
GEORGIA DEFENCE FUND

№19

მადლობის წერილი

როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და სახელმწიფოს მეთაურმა დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ იმისათვის, რომ გულთან მიიტანეთ ქვეყნის სატკივარი, თავდაცვის ფონდის აზრი და მნიშვნელობა ამ უმძიმეს ჟამს და თქვენი წვლილი შეიტანეთ საერთო საქმეში, რომელსაც წმიდათაწმინდა სახელი ჰქვია — საქართველოს განუყოფლობისა და ერთიანობისათვის ბრძოლა. თავდაცვის ფონდი მხოლოდ მატერიალური მხარდაჭერა როდია, ის მორალური თანადგომაცაა, მადლობა ამ თანადგომისათვის, ის უოფილიყოს თქვენი, როგორც ადამიანის, როგორც მოქალაქის, როგორც საქართველოს პატრიოტის მომავალი გამარჯვების საწინდარი.

პატივისცემით
ედუარდ შევარდნაძე

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული სამმართველოს სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფის თანამშრომელთა მედლით „მხედრული მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და გაბედული მოქმედებისთვის დაჯილდოვდნენ მედლით „მხედრული მამაცობისათვის" საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული სამმართველოს სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფის თანამშრომლები:

გოჩა ადუაშვილი — ლეიტენანტი, ქვედანაყოფის ოფიცერი;
ზურაბ ზარამიძე — ლეიტენანტი, ქვედანაყოფის ოფიცერი;
დავით გოგაძე — ლეიტენანტი, ქვედანაყოფის უმცროსი ოფიცერი;
იური გულიევი — ვიცე-პოლკოვნიკი, ქვედანაყოფის მეთაურის მოადგილე;
ზვიად სიჭინავა — ზემდეგი, ქვედანაყოფის მორიგე;
კახაბერ ქანთარია — ზემდეგი, ქვედანაყოფის უმცროსი ოფიცერი;
კონსტანტინე შავიშვილი — ვიცე-პოლკოვნიკი, ქვედანაყოფის მეთაურის მოადგილე.

ე. შევარდნაძე
თბილისი, 1993 წლის 14 ივლისი

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის მაშველთა კორპუსის საქართველოს „მხედრიონის" მებრძოლთა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის მაშველთა კორპუსის საქართველოს „მხედრიონის" მებრძოლები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით:

ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით:

ჰამლეტ აბაიშვილი — გლდანის რაზმის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
ირაკლი ამირეჯიბი — გლდანის რაზმის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
მამუკა ბარათაშვილი — მოიერიშე ჯგუფის მეტყვიამფრქვევე (სიკვდილის შემდეგ);
ფრიდონ ბერია — სოხუმ-ოჩამჩირის ტრასის დაცვის რაზმის ოცეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);
როლანდ ბერია — სოხუმ-ოჩამჩირის ტრასის დაცვის რაზმის მეთაურის მოადგილე (სიკვდილის შემდეგ);
ბესარიონ (ბესიკ) ბურკიაშვილი — თბილისის რაზმის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
თემურ (თიო) გაბუნია — სპეციალური დანიშუნების რაზმის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);
დავით გადრანი — თბილისის რაზმის ოცეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);
მალხაზ (ვაჩე) ვაჩეიშვილი — თბილისის სპეციალური დანიშნულების რაზმის ჯგუფის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);
ავთანდილ იოსელიანი — თბილისის მოიერიშე რაზმის ოცეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ)
ენუქი კიკაბიძე — ხონის რაზმის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);
ემზარ ონიანი — სპეციალური დანიშნულების ქუთაისის რაზმის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
ამირან პაპუნაშვილი — ახალციხის რაზმის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);
დავით რამიშვილი — ლანჩხუთის რაზმის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
რამაზ როსტიაშვილი — გლდანის რაზმის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
სანდრო შაიმშელაშვილი — თბილისის რაზმის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
ზურაბ შაველიძე — სამტრედიის რაზმის ოცეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);
გულიძე ჩარხიანი — მოიერიშე რაზმის ოცეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);

ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენით:

ჯემალ გურული — სპეციალური დანიშნულების რაზმის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
პავლე იოსელიანი — თბილისი მოიერიშე რაზმის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
ზვიად ტოგონიძე — ქუთაისის რაზმის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
გიორგი ღლონტი — მოიერიშე რაზმის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
რამაზ ჭიკარტაძე — საგარეჯოს რაზმის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);

ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით:

გიორგი არველაძე — საქართველოს რესპუბლიკის მაშველთა კორპუსის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი;
გიორგი ბაღდავაძე — ახალციხის რაზმის მეთაური;
ვახტანგ ბეგიაშვილი — უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე;
დიმიტრი ბოჭორიშვილი — თბილისის რაზმის მებრძოლი;
გიორგი (გიგა) გელაშვილი — ბორჯომის რაზმის მეთაური;
ბადრი გელოვანი — სვანეთის რეგიონის სპეციალური დანიშნულების რაზმის მეთაური;
სერგი გერასიმენკო — სამხედრო რადიო-სატელეფონო საველე კავშირის უფროსის მოადგილე;
გიორგი გელოვანი — თბილისის სპეციალური დანიშნულების რაზმის მეთაური;
დარეჯან (დოდო) გუგეშაშვილი — ოჩამჩირის შტაბის უფროსი;
აკაკი ვაშაკიძე — ოპერატიული შტაბის უფროსი;
ლეჭსო იოსელიანი — სპეციალური დანიშნულების რაზმის მებრძოლი;
კონსტანტინე იოსელიანი — თბილისის მოიერიშე რაზმის მებრძოლი;
თორნიკე კაპანაძე — ლაგოდეხის რაზმის მებრძოლი;
თენგიზ ლობჟანიძე — თბილისის რაზმის მებრძოლი;
დავით (დათო) მაძულაშვილი — სპეციალური დანიშნულების რაზმის მეთაური;
ერეკლე [illegible] — თბილისის რაზმის მებრძოლი;
დავით ოთიაშვილი — საგარეჯოს რაზმის მეთაური;
ილია ორჯონიკიძე — გლდანის რაზმის მებრძოლი;
ბიძინა პირველი — თბილისის სწრაფი რეაგირების მოიერიშე რაზმის მებრძოლი;
გიორგი (გია) სვანაძე — ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს სახელმწიფო მრჩეველი;
თამაზ ფანჩულიძე — თბილისის რაზმის მებრძოლი;
თორნიკე ქურდაძე — გლდანის რაზმის მეთაური;
ვაჟა ქრისტიაშვილი — სპეციალური დანიშნულების რაზმის მეთაური;
ზურაბ ქარსელაძე — სპეციალური დანიშნულების რაზმის მებრძოლი;
ვიქტორ შაფათავა — თბილისის რაზმის მებრძოლი;
დავით შონია — სოხუმ-ოჩამჩირის ტრასის დაცვის რაზმის მეთაური;
თამაზ ჩოგოვაძე — სამხედრო რადიო-სატელეფონო საველე კავშირის უფროსი;
ვარდენ ჯანგველაძე — აბაშის რაზმის მეთაური.

ღირსების ორდენით:

ალექსანდრე ბოჭორიშვილი — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი.

მედლით „მხედრული მამაცობისათვის":

ზაურ ბენიძე — სოხუმ-ოჩამჩირის ტრასის დაცვის რაზმის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
თენგიზ ბოკერია — აბაშის რაზმის მებრძოლი;
კობა გაფრინდაშვილი — თბილისის სპეციალური დანიშნულების რაზმის მებრძოლი;
გიორგი გარსევანიშვილი — თბილისის სპეციალური დანიშნულების რაზმის მებრძოლი;
ერეკლე დანელია — თბილისის სპეციალური დანიშნულების რაზმის მებრძოლი;
ამირან დურგლიშვილი — თბილისის რაზმის მებრძოლი;
ვანო ზაქროშვილი — თბილისის სპეციალური დანიშნულების რაზმის მებრძოლი;
ბადრი ზაზაძე — ახალციხის რაზმის მებრძოლი;
ზურაბ თოთიაური — თბილისის რაზმის მებრძოლი;
გურამ იმნაიშვილი — თბილისის სპეციალური დანიშნულების რაზმის მებრძოლი;
გიორგი იოსელიანი — თბილისის რაზმის მებრძოლი;
მიხეილ კიკვაძე — თბილისის რაზმის მებრძოლი;
ნუგზარ კასრაძე — თბილისის სპეციალური დანიშნულების რაზმის მებრძოლი;
მერაბ ლუტიძე — თბილისის რაზმის მებრძოლი;
კახაბერ მალინაშვილი — აბაშის რაზმის მებრძოლი;
ზურაბ მოსიძე — ახალციხის რაზმის მებრძოლი;
გიორგი (გაჟროშა) ნადოევი — ასურეთის რაზმის მებრძოლი;
ნუგზარ როსტიაშვილი — თბილისის სპეციალური დანიშნულების რაზმის მებრძოლი;
თამაზ სამუშია — სოხუმ-ოჩამჩირის ტრასის დაცვის რაზმის მეთაურის მოადგილე;
სერგო სამარლანიშვილი — თბილისის რაზმის მებრძოლი;
გიორგი ფანჩვიძე — თბილისის რაზმის მებრძოლი;
ვანო ქურიძე — სპეციალური დანიშნულების რაზმის მებრძოლი;
ამირან ღვალაძე — სპეციალური დანიშნულების რაზმის მებრძოლი;
ომეხ ჩხაპელია — სოხუმ-ოჩამჩირის ტრასის დაცვის რაზმის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
ფათო ჩხაპელია — სოხუმ-ოჩამჩირის ტრასის დაცვის რაზმის მებრძოლი;
მალხაზ ციხისელი — თბილისის სპეციალური დანიშნულების რაზმის მებრძოლი;
ირაკლი ძიძავა — თბილისის სწრაფი რეაგირების მოიერიშე რაზმის მებრძოლი;
დათო წულაია — აბაშის რაზმის მებრძოლი;
ელგუჯა ჭოხონელიძე — სპეციალური დანიშნულების რაზმის მებრძოლი;
გიორგი (გიო) ხუციშვილი — თბილისის მოიერიშე რაზმის მებრძოლი;
რეზო ხარებავა — სპეციალური დანიშნულების რაზმის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
თამაზ ხეცურიანი — სპეციალური დანიშნულების რაზმის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
გაბრო ხიდეშელი — აბაშის რაზმის მებრძოლი;
ალექსანდრე ჯავახიშვილი — თბილისის რაზმის მებრძოლი;
კობა ჯანგველაძე — აბაშის რაზმის მებრძოლი;
ბადრი ჯანგველაძე — აბაშის რაზმის მებრძოლი.

ე. შევარდნაძე
თბილისი, 1993 წლის 14 ივლისი

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით:

ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით:

პეტრე ტელიაფუსი — მაიორი, პირველი საარმიო კორპუსის ხაშურის ბატალიონის მეთაურის მოადგილე (სიკვდილის შემდეგ);
გოჩა (ივანე) ყარყარაშვილი — პოლკოვნიკი, პირველი საარმიო კორპუსის პირველი ბრიგადის ბატალიონის მეთაური (სიკვდილის შემდეგ).

ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით:

კარლო ამადანოვი — რიგითი, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მესამე ბატალიონის მსროლელი;
ირაკლი ბატკუაშვილი — უფროსი ლეიტენანტი, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მესამე ბატალიონის ასეულის მეთაური;
მამუკა ბერუაშვილი — რიგითი, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მესამე ბატალიონის მსროლელი (სიკვდილის შემდეგ);
მიხეილ გამკაძე — მაიორი, ოფიცერთა დახელოვნების და ზემდეგთა მომზადების კურსების სასწავლო ნაწილის ოფიცერი (სიკვდილის შემდეგ);
დავით კასრაძე — რიგითი, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მესამე ბატალიონის მსროლელი (სიკვდილის შემდეგ);
გიორგი კეკოშვილი — რიგითი, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მესამე ბატალიონის მსროლელი (სიკვდილის შემდეგ);
ნესტორ ლომოური — მაიორი, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მესამე ბატალიონის მეთაურის მოადგილე (სიკვდილის შემდეგ);
დავით მასურაძე — გენერალ-მაიორი, შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი;
სანდრო მამისაშვილი — რიგითი, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მესამე ბატალიონის მსროლელი (სიკვდილის შემდეგ);
გრიგოლ ნაფეტვარიძე - უფროსი ლეიტენანტი, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მესამე ბატალიონის კავშირგაბმულობის უფროსი;
დავით პაპელიშვილი — რიგითი, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მესამე ბატალიონის მძღოლი (სიკვდილის შემდეგ);
მალხაზ ფერაძე — ზემდეგი, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მესამე ბატალიონის ასეულის მეთაურის მოადგილე;
ვაჟა ჯამაგიძე — უფროსი ლეიტენანტი, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მესამე ბატალიონის ჯავშან-სატანკო სამსახურის უფროსი.

ღირსების ორდენით:

ვლადიმერ სელეპანოვი — ზემდეგი, ოფიცერთა დახელოვნებისა და ზემდეგთა მომზადების კურსების ოცეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);
იაგო ქავთარაძე — ზემდეგი, ოფიცერთა დახელოვნებისა და ზემდეგთა მომზადების კურსების სასწავლო ასეულის ზემდეგი (სიკვდილის შემდეგ);
თეიმურაზ ძიძიგური — კაპიტანი, ოფიცერთა დახელოვნებისა და ზემდეგთა მომზადების კურსების მასწავლებელი (სიკვდილის შემდეგ);

„მხედრული მამაცობისათვის"

ბესიკ კურდღელაშვილი — სერჟანტი, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მესამე ბატალიონის ათეულის მეთაური;
კობა ცუცქირიძე — სერჟანტი, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მესამე ბატალიონის ათეულის მეთაური.

ე. შევარდნაძე
თბილისი, 1993 წლის 14 ივლისი

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პირველი საარმიო კორპუსის სამხედრო მოსამსახურეების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პირველი საარმიო კორპუსის სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით:

ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენით:

გივი ბუჩუკური — მაიორი, საჩხერის ბ. ქუთათელაძის სახელობის ბატალიონის მეთაური (სიკვდილის

ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით:

ზურაბ აბაშიძე — რიგითი, საჩხერის ბ. ქუთათელაძის სახელობის ბატალიონის იარაღის უფროსი ხელოსანი (სიკვდილის შემდეგ).

მედლით „მხედრული მამაცობისათვის":

მალხაზ აბრამიშვილი — რიგითი, საჩხერის ბ. ქუთათელაძის სახელობის ბატალიონის ასეულის მეთაურის მოადგილე (სიკვდილის შემდეგ);
ირაკლი გაფრინდაშვილი — უფროსი ლეიტენანტი, საჩხერის ბ. ქუთათელაძის სახელობის ბატალიონის მეთაურის მოადგილე;
პაატა თაბაგარი — რიგითი, საჩხერის ბ. ქუთათელაძის სახელობის ბატალიონის ათეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);
ფარსადან თოდაძე — საჩხერის ბ. ქუთათელაძის სახელობის ბატალიონის დაზვერვის უფროსი;
იგორ კაპანაძე — უფროსი ლეიტენანტი, საჩხერის ბ. ქუთათელაძის სახელობის ბატალიონის სამსახურის უფროსი;
გოჩა ლაბუჩიძე — რიგითი, საჩხერის ბ. ქუთათელაძის სახელობის ბატალიონის ოცეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);
დათო მოსიაშვილი — ოფიცერი, საჩხერის ბ. ქუთათელაძის სახელობის ბატალიონის ოცეულის მეთაური;
დავით მუკაკიძე — რიგითი, საჩხერის ბ. ქუთათელაძის სახელობის ბატალიონის ოცეულის მეთაურის მოადგილე;
ბესიკ ჭანკვეტაძე — რიგითი, საჩხერის ბ. ქუთათელაძის სახელობის ბატალიონის ასეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);
ჭაბუკი ჭილლაძე — რიგითი, საჩხერის ბ. ქუთათელაძის სახელობის ბატალიონის ფიზიკური და სპორტული მომზადების უფროსი (სიკვდილის შემდეგ);

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის":

ანზორ გოგატიშვილი — რიგითი, საჩხერის ბ. ქუთათელაძის სახელობის ბატალიონის მებრძოლი;
პაატა დეკანოიძე — სერჟანტი, საჩხერის ბ. ქუთათელაძის სახელობის ბატალიონის ათეულის მეთაური;
პაატა თოდაძე — რიგითი, საჩხერის ბ. ქუთათელაძის სახელობის ბატალიონის მებრძოლი;
ნუგზარ კაპანაძე — უფროსი ლეიტენანტი, საჩხერის ბ. ქუთათელაძის სახელობის ბატალიონის სამსახურის უფროსი;
ბერიკა კიპაროიძე — სერჟანტი, საჩხერის ბ. ქუთათელაძის სახელობის ბატალიონის ათეულის მეთაური;
თამაზ კუსიანი — რიგითი, საჩხერის ბ. ქუთათელაძის სახელობის ბატალიონის ოცეულის მეთაურის მოადგილე (სიკვდილის შემდეგ);
ვეფხვია მოდებაძე — საჩხერის ბ. ქუთათელაძის სახელობის ბატალიონის ოცეულის მეთაურის მოადგილე;
ხვიჩა მუნჯიშვილი — საჩხერის ბ. ქუთათელაძის სახელობის ბატალიონის ოცეულის მეთაური;
გიორგი ცუცქირიძე — საჩხერის ბ. ქუთათელაძის სახელობის ბატალიონის შტაბის უფროსის მოადგილე;
ივანე ხახიშვილი — საჩხერის ბ. ქუთათელაძის სახელობის ბატალიონის სამსახურის უფროსი;
მოთა ჯოხაძე — სერჟანტი, საჩხერის ბ. ქუთათელაძის სახელობის ბატალიონის ათეულის მეთაური.

ე. შევარდნაძე
თბილისი, 1993 წლის 14 ივლისი

მხოლოდ ფონდს ხელეწიფება!

მიმართვა საქართველოს მოსახლეობას

განგებამ უცნაური ხვედრი არგუნა საქართველოს — რამდენადაც უხვად დაიბერტყა კალთა მისთვის უმშვენიერესი და ხელსაყრელი ადგილმდებარეობით, იმდენად განსაცდელიანი აღმოჩნდა მისი არსებობა. მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის გზაზე სისხლიღვრის ფასად უჯდებოდა მას ტერიტორიული მთლიანობის და დამოუკიდებლობის დაცვა, როგორც ძველად, ისე ახლო ისტორიის მანძილზე.

და, აი, დღეს, როდესაც საქართველომ კვლავ დააღწია თავი დამსხვრეული იმპერიის კლანჭებს, მიხაკისფერ-წითელი ბნელი ძალების წაქეზებითა და მძლავრი სამხედრო-ეკონომიკური მხარდაჭერით, აფხაზეთის სეპარატისტული ომი მოგვახვიეს თავს, რათა ერთ-ერთი მშვენიერი და მნიშვნელოვანი მხარე წაჰგლიჯონ ჩვენს სამშობლოს.

ყველამ, საქართველოს ყოველმა მოქალაქემ — ქართველი იქნება თუ არაქართველი, უნდა გაიცნობიეროს, რომ აფხაზეთის ომში მთელი საქართველოს დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და, ამგვარად, თითოეული ჩვენგანის თავისუფლების ბედი წყდება. პასიურობა ღალატის ტოლფასია.

ეს კარგად შეიგნო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა და საქართველოს თავდაცვის ფონდში იმატა შეწირულობათა ნაკადმა — შემოაქვთ ხელფასები, პენსიები, ჰონორარები; აგრეთვე ნივთები — ძვირფასი ლითონები, საოქრომჭედლო ნაწარმი, იშვიათი რელიქვიები.

საქართველოს თავდაცვის ფონდი მიმართავს ყველა მოქალაქეს, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებას, ვისაც სურს წვლილი შეიტანოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში, რომ სახსრები შეიტანონ უშუალოდ საქართველოს თავდაცვის ფონდში, რადგანაც დღეს მხოლოდ ამ ფონდს ხელეწიფება თანხების სწორი და მიზნობრივი გამოყენება. ჩვენი რეკვიზიტებია:

საქართველოს თავდაცვის ფონდი,
თბილისი, დავით აღმაშენებლის 61;
საქართველოს ეროვნული ბანკი,
ანგარიში 000700409. მფო 521006.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

ნოდარ კანკიას ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ (სიკვდილის შემდეგ)

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის ნოდარ კანკია დაჯილდოვდეს ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ)

ე. შევარდნაძე
ქ. თბილისი
1993 წლის 14 ივლისი

ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უცემს გული

ჩვენი დიდი წინაპრის ეს სიტყვები სწორედ რომ მიესადაგება 32 წლის სენაკელ ჭაბუკს, ინჟინერ-ტოპოგრაფს, ბატალიონ „ავაზას" მებრძოლს ნოდარ კანკიას. მან ჭეშმარიტად გმირულად იცხოვრა და უყოყმანოდ შესწირა სიცოცხლე თავის სათაყვანებელ სამშობლოს.

იგი მოხალისედ წავიდა აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. და როცა 2 ივლისს ოჩამჩირის რაიონში ზღვიდან მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვანი დესანტი გადმოსხეს, ნოდარ კანკია თავის თანამებრძოლებთან ერთად სოფელ ლაბრა-ტამიშის მისადგომებთან იბრძოდა. იგი ამ სასტიკ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა. თანამებრძოლებმა მეგობარი ბრძოლის ველზე არ მიატოვეს, დაჭრილს მხარში ამოუდგნენ და სამშვიდობოზე გაჰყავდათ, რომ ნოდარმა მოახლოებული მტერი შეამჩნია. მაშინ მან თანამებრძოლებს უთხრა, თავს უშველეთ და დამტოვეთო, მან ნაღმსატყორცნი ააფეთქა. მართალია, თვითონ დაიღუპა, მაგრამ 12 მოწინააღმდეგეც თან გაიყოლა. დაჭრილს შეეძლო ტყვედ ჩავარდნილიყო და სიცოცხლე შეენარჩუნებინა, მაგრამ ლაჩრულად სიცოცხლეს სიკვდილი არჩია.

— წარმოუდგენილიც კია, რომ ნოდარი სხვაგვარად მოქცეულიყო, — გვითხრა სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულმა სამეგრელოს რეგიონში შალვა კეკელიამ. — იგი მშრომელ, პატიოსან ოჯახში გაიზარდა. მამა ბატონი აკაკი მეორე მსოფლიო ომის მონაწილეა. დედამ ბავშვობიდანვე ჩაუნერგა შვილს ქვეყნის სიყვარული და თავგანწირვა. და როცა სამშობლოს დასჭირდა, ნოდარმა უყოყმანოდ შესწირა მას სიცოცხლე.

სამწუხაროდ,— განაგრძო ბატონმა შალვამ, — დაღუპული ვაჟკაცის გვამს ჯერ ვერ მივაგენით. გმირის დედამ კი შეუვალად განაცხადა, წავალ იქ, სადაც ჩემი შვილი დაიღუპა და მის ძვლებს მაინც ვიპოვიო. დედის გული კი არასოდეს ცდება, და, ალბათ, ამჯერადაც ასე იქნება...

სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულმა ისიც გვაცნობა, რომ ნოდარ აკაკის ძე კანკიას დაკრძალვის ხარჯებს რაიონის გამგეობა გაიღებს.

ნოდარ კანკიას სახელი ეწოდა იმ ქუჩას, სადაც იგი ცხოვრობდა. გარდაცვლილის ოჯახს ყოველთვიურად გაეწევა მატერიალური დახმარება.

ნოდარ კანკიას სახელს არასოდეს დაივიწყებს მადლიერი ქართველი ერი. სიამაყით გაიხსენებენ მას მეგობრები, ახლობლები და თანამებრძოლები. კანონიერად იამაყებს სახელოვანი მამის გმირობით ნოდარ კანკიას ერთადერთი გოგონა, რომელსაც მშობლის თავგანწირვა ნათელ სვეტად გაჰყვება ცხოვრებაში.

მერი გაბრიაძე.

ასე განადგურდა დესანტი

როგორც ცნობილია, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა 10 ივლისს წარმატებით დაამთავრეს ოჩამჩირის რაიონის სოფ.ტამიშის მიდამოებში გადმოსხმული მრავალრიცხოვანი დესანტის ლიკვიდაციის ოპერაცია. საქართველოს საინფორმაციო საშუალებანი სისტემატურად გადასცემდნენ ოპერატიულ ცნობებს ოპერაციის მსვლელობის შესახებ, მაგრამ ახლა, როდესაც ეს ოპერაცია დასრულებულია, ალბათ აუცილებელია, რომ საზოგადოებამ უფრო დაწვრილებით შეიტყოს აქ გამართული მძაფრი ბრძოლის ამბავი, გაიგოს მათი სახელები, ვინც მოამზადა და განახორციელა ტაქტიკური თვალსაზრისით შესანიშნავად შესრულებული რთული სამხედრო ოპერაცია. უნდა აღინიშნოს ის სამხედრო ნაწილები, რომელთაც თავი გამოიჩინეს და გმირობისა და მამაცობის არაერთი მაგალითი აჩვენეს.

ბრძოლა ტამიშის მიდამოებში დაიწყო 2 ივლისს, გათენიისას, როდესაც მოწინააღმდეგემ მოახერხა მოულოდნელად გადმოესხა მრავალრიცხოვანი დესანტი. იგი ძირითადად სპეციალური სამხედრო მომზადების მქონე რუსი ეროვნების ჯარისკაცებისაგან შედგებოდა. სამწუხაროდ, დესანტის გამოჩენას, სხვადასხვა მიზეზების გამო, საკმაოდ მოუმზადებელნი შეხვდნენ ტამიშის, ლაბრისა და ზემო კინდღის მიდამოებში განლაგებული შავნაბადისა და დუშეთის ბატალიონების, ჩოლოყაშვილისა და საარტილერიო პოლკების, შინაგანი ჯარის მებრძოლები. ამის და მტრის მრავალრიცხოვნობის მიუხედავად, ჩვენი მეომრები ჩაებნენ ბრძოლაში და მძაფრი წინააღმდეგობაც გაუწიეს. დესანტის გადმოსხმის თანადროულად, მოწინააღმდეგემ მის დასახმარებლად დაიწყო შეტევითი ოპერაციები ჩრდილოეთიდანაც. რის შედეგად ჩვენი ნაწილები, ფაქტობრივ, ალყაში აღმოჩნდნენ. მებრძოლთა ძირითადმა ნაწილმა მტრის ალყა გამოარღვია, მაგრამ ზოგი უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. დაღუპულთა შორისაა საარტილერიო პოლკის მეთაური პოლკოვნიკი თემურ ლომთათიძე, რომელიც პირველი დღიდანვე აფხაზეთში იცავდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

მოწინააღმდეგის მიზანი იყო სოხუმ-ოჩამჩირის საავტომობილო გზისა და სარკინიგზო მაგისტრალის გადაჭრა, სოხუმისა და ოჩამჩირის ერთმანეთისგან მოწყვეტა, ტამიშ-კინდღის მონაკვეთში პლაცდარმის დაკავება და შემდეგ მისი გაფართოება. ამ გეგმაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ზემო კინდღის მიდამოებში მდებარე ანუაარხუს სტრატეგიული სიმაღლის ხელში ჩაგდებას, რის შედეგადაც იგი შეძლებდა სტაბილური კონტროლის დამყარებას ავტომაგისტრალზე და სოხუმს ძირითადი კომუნიკაციებისა და ზურგის გარეშე დატოვებდა.

მოწინააღმდეგის ჩანაფიქრი ნაწილობრივ თავიდანვე ჩაიშალა, ჩვენი ნაწილების შეუპოვარი წინააღმდეგობის შედეგად მან ვერ შეძლო ვერც ფართო პლაცდარმის დაკავება და ვერც ანუაარხუს აღება. იგი გამაგრდა სოფელ ტამიშში მდებარე მაიმუნთსაშენის შენობაში და ტამიშსა და კინდღს შორის მდებარე ავტოინსპექციის საგუშაგოს სიახლოვეს. ააფეთქა ტამიშის ხიდი.

შეტევითი ოპერაციები დესანტის წინააღმდეგ 2 ივლისს დაიწყო. მას ახორციელებდნენ ოჩამჩირის რაიონში დისლოცირებული პირველი საარმიო კორპუსის ნაწილები. შეტევის მიზანი იყო დესანტის სამოქმედო არეალის ლოკალიზება, მისი შესუსტება და დროის მოგება, სანამ ოჩამჩირეში მოხდებოდა ჩვენი შემტევი დაჯგუფების კონცენტრაცია და შემდეგ ორმხრივი შეტევის დაწყება.

2-6 ივლისს მძაფრი ბრძოლები მიმდინარეობდა. პირველი საარმიო კორპუსის სამხედრო ნაწილები, რომელთა მოქმედებას ხელმძღვანელობდნენ დ.თევზაძე, ა.ბარბაქაძე, ვ.ქვარაია, კ.კობალაძე, ლ.ასათიანი, კ.ტატიშვილი და სხვა მეთაურები. მეთოდურად ავიწროვებდნენ მოწინააღმდეგეს. რამდენჯერმე მოხდა შესვლა სოფელ ტამიშშიც. თავის მხრივ, მოწინააღმდეგეც ცდილობდა განევითარებინა შეტევა სხვადასხვა მიმართულებით, განსაკუთრებით კი ანუაარხუს სიმაღლეზე, რომელსაც იცავდა შავნაბადის ბატალიონი, მაგრამ ყველა მისი მცდელობა წარუმატებლად მთავრდებოდა.

7 ივლისს დაიწყო დესანტისა და მასთან შეერთებული მოწინააღმდეგის სხვა რაზმების საბოლოო ლიკვიდაციის ოპერაცია. ოჩამჩირის მხრიდან ოპერაციის დაგეგმვასა და განხორციელებას ხელმძღვანელობდნენ მე-2 საარმიო კორპუსის მეთაური, გენერალ-მაიორი ზ.უნაძე, თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალ-მაიორი ჯ.ჭუმბურიძე, შინაგანი ჯარების სარდალი გენერალ- მაიორი გ.ლანჩავა. შინაგანი ჯარების ბრიგადის მეთაური გენერალ-მაიორი გ.ყურაშვილი, ბატონი ჯ.იოსელიანი, სამეგრელოს სამხედრო ფორმირებების მეთაური პოლკოვნიკი ვ.ქობალია. სოხუმის მხრიდან ოპერაციას ხელმძღვანელობდნენ გენერალ-მაიორი ვ.ქვარაია, პოლკოვნიკი კ.კობალაძე, პოლკოვნიკი ლ.ასათიანი. ოპერაციის საერთო ხელმძღვანელობას და კოორდინაციას ახორციელებდა სოხუმში არსებული მე-2 კორპუსის შტაბი პოლკოვნიკ გ.ნიკოლაიშვილის ხელმძღვანელობით. 7-9 ივლისის განმავლობაში მოწინააღმდეგე საგრძნობლად შევიწროვდა. ოპერაციის გენერალური ეტაპი კი დაიწყო 10 ივლისს გათენიისას. ოჩამჩირის მხრიდან განვითარდა მძლავრი შეტევა. მარცხენა ფლანგზე ზღვის სანაპიროს მხრიდან მოქმედებდნენ სამეგრელოს სამხედრო ფორმირებანი ვ.ქობალიას მეთაურობით. ცენტრში, ავტომაგისტრალის მიმართულებით მოემართებოდა შინაგანი ჯარის ნაწილები გ.ლანჩავას მეთაურობით, მარჯვენა ფლანგზე უტევდნენ 24-ე ბრიგადის ნაწილები. მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული პუნქტი, ტამიშის მაიმუნთსაშენის შენობა კი შტურმით აიღეს პირველი საარმიო კორპუსის სატანკო ბრიგადისა და მხედრიონის მებრძოლებმა. შტურმს მეთაურობდნენ ჯ.ჭუმბურიძე, სატანკო ბრიგადის მეთაური, პოლკოვნიკი ზ.რუსაძე და მხედრიონელთა მხრიდან გ.გელაშვილი. მხედრიონის გვერდით იბრძოდა ბატალიონი „თბილისელი".

ოჩამჩირის მხრიდან ძლიერი შეტევის დაწყებისთანავე მოწინააღმდეგემ კვლავ სცადა ანაარხუს სიმაღლის აღება და დიდი ძალებით შეუტია იქ გამაგრებულ შავნაბადის ბატალიონს. ბატალიონმა მტრის შეტევა მოიგერია, გაუნადგურა მას დიდი რაოდენობით ცოცხალი ძალა, ააფეთქა 3 ტანკი და თავად გადავიდა კონტრშეტევაზე. ამავე დროს პირველი საარმიო კორპუსის სადესანტო მოიერიშე ბატალიონმა განახორციელა მანევრი, ჩრდილოეთ მხრიდან და მიაყენა მძლავრი დარტყმა, რის შედეგაც მოწინააღმდეგე სრულ ტომარაში აღმოჩნდა. მისი განადგურება უკვე მხოლოდ დროისა და, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო.

ტამიშის ოპერაცია სულ რამდენიმე საათს გაგრძელდა. დილის 10 საათზე ოჩამჩირისა და სოხუმის „მიმართულებების შემტევი დაჯგუფებები შეერთდნენ, გაათავისუფლეს სოფ.ტამიში. მისი მიმდებარე ავტომაგისტრალი და თითქმის მთლიანად გაანადგურეს მოწინააღმდეგე, რომელმაც მარტო მოკლულთა სახით 600-ზე მეტი მეომარი დაკარგა. ამას გარდა, ხელთ ჩაიგდეს სამი ტანკი, ათობით ავტომატი, 8 ტყვიამფრქვევი, 10 ყუმბარსატყორცნი, დიდი რაოდენობით ხელყუმბარები, ტყვია-წამალი, ჭურვები და სხვა სახის საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა.

აღსანიშნავია, რომ ტამიშის ოპერაცია მაღალ პროფესიულ დონეზე ჩატარდა. საბრძოლო მოქმედებანი სინქრონულად, კოორდინირებულად მიმდინარეობდა. ნაწილებს უნარიანად ხელმძღვანელობდნენ მეთაურები, გმირობის მაგალითებს აჩვენებდნენ ჯარისკაცები. მაგრამ ყველაზე სასიამოვნო და ხაზგასასმელი აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ტამიშის ოპერაციის წარმატება განაპირობა სხვადასხვა სამხედრო ფორმირებათა ერთიანობამ, ურთიერთშეთანხმებულმა მოქმედებამ და ერთი სარდლობის მიერ განხორციელებულმა ჯარების ცენტრალიზებულმა მართვამ.

თავდაცვის სამინისტროს
პრესსამსახური.

„თარაზულად: მტაცებელი ფრინველი, რომელიც დაგეშილია მომიტინგეთა დასარბევად.

შვეულად: შეუმოწმებელი ინფორმაცია, ანუ"...

კროსვორდის შემდგენლისათვის სასურველი პასუხი თარაზულად: — ორბი, და იქვე, ამ პასუხს შვეულად მიდევნებული — ჭორი...

კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის...

და არა მხოლოდ მათთვის

აუცილებელი განმარტება მათთვის, ვისაც ჯგუფ „ორბის" არსებობის შესახებ არაფერი სმენია:

— 1993 წლის იანვარში, თბილისში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების გამო შექმნილმა ქაოსურმა, უკონტროლო მდგომარეობამ, სტუდენტთა, არქიტექტორთა და მუსიკოსთა ერთ ნაწილს დედაქალაქში წესრიგის დამყარების ბუნებრივი სურვილი აღუძრა... ამ მიზნით შეიქმნა ჯგუფი „ორბი", რომელმაც ბევრ ღირსეულ თბილისელს მოუყარა თავი. ისინი აწყობდნენ რეიდებს საღამოს საათებში, აკონტროლებდნენ ქალაქში შემოსულ ავტომანქანებს, ერთი სიტყვით, როგორც შეეძლოთ, ცდილობდნენ სტაბილურობის მიღწევას... მავანს და მავანს კი, ისე როგორც დღეს, მაშინაც დიდად არ ეპიტნავებოდა არც წესრიგი და არც წესრიგის დამცველნი, ამიტომაც ახლადდაბადებულ „ორბსაც" სასწრაფოდ არასახარბიელო იმიჯის შექმნა მოუნდომეს. ამიტომ გაჩნდა ზემოთ ციტირებულ კროსვორდში ფრაზა — „მომიტინგეთა დამრბევი..." არავინ იცის რამდენმა კროსვორდის მოყვარულმა გამოიცნო მაშინ „სწორი" პასუხი, მაგრამ ფაქტია, რომ ჭორმა პოპულარობა ვერ მოიპოვა და იგი შემდგენელის უბილო ხუმრობად დარჩა...

ახლა ამ ფაქტის შესახებ ღიმილითა და რაღაცნაირი მიმტევებლური სევდით მიამბობს ჩემი მასპინძელი, „ორბის" შექმნის ერთ-ერთი აქტიური ინიციატორი **დავით თევზაძე...**

კაცის ბუნებაც კროსვორდივითაა, ზოგი ამოსაცნობად მარტივია, ზოგიც — რთული, მთელი ცხოვრება ავტობიოგრაფიის ურთიერთგადამკვეთი ცარიელუჯრედებიანი სვეტების შევსებითა ვართ დაკავებულნი, ხოლო აბსოლუტურ ჰარმონიას მხოლოდ განსაკუთრებული უნისა და გამძლეობის მქონენი აღწევენ. თუ ამ კუთხიდან შევხედავთ სწრაფი რეაგირების კორპუსის პირველი ბრიგადის მეთაურს დავით თევზაძეს, მას საქმე საუცხოოდ მისდის: — ხუთი შვილისთვის საამაყო მამაა, ხოლო ქალბატონ ნუნუ ჯაყელისათვის — ღირსეული მეუღლე, რომელშიც ხორცშესხმულია მისთვის აუცილებელი პრინციპი — სამშობლოს დაცვა თუ არ შეუძლია კაცს, ის ვერც მეუღლის დაცვას შეძლებს.

ამ სახლში ისე ბუნებრივად, ისე უბრალოდ საუბრობენ საქართველოზე, სამშობლოს განცდაზე, მამულის დაცვის აუცილებლობაზე, რომ ხანდახან ეჭვიც შეიძლება შეგეპაროს, რომ ამ ოჯახს ომთან საერთო არაფერი აქვს, თითქოს ჩემს დასახვედრად ლოგინის გახამებული სითეთრიდან ნაუცბათევად წამომდგარი, ზოლიან მაისურში შილიფად ჩაცმული კაცი, გუშინ არ გამოწერილიყოს ჰოსპიტალიდან და არც იქვე, მაგიდაზე ჰაიჰარად დაგდებული დიაგნოზი — პირველი ჯგუფის კონტუზია, მისი არ იყოს... და თითქოს არც ორ დღეში აპირებდეს აფხაზეთში დაბრუნებას. არა და, აშკარად ცუდად ესმის, დროდადრო მთხოვს, რომ ხმამაღლა ველაპარაკო... რაც ზღურბლს გადმოვაბიჯე, აკვიატებული ფიქრი არ მასვენებს, სადღაც მინახავს ეს კაცი, ვიღაცას ძალიან ახლობელს მაგონებს, და მერე მთელი საათნახევარი არ მასვენებს ეს განცდა.

— ვინ ვინ და, ხუთი შვილის მამა, ორმოცსგადაცილებული, სპეციალობით ფილოსოფოსი კაცი, როგორმე გამონახავდით ომისგან თავისდასახსნელ მიზეზს. როდის გადაწყვიტეთ, რომ უნდა წასულიყავით-მეთქი? — ვეკითხები.

— არც კი მახსოვს, ის ვიცი, რომ ასე რთულად არ დამსმულა ჩემთვის ეს საკითხი, ფიზიკური მონაცემები ხელს მიწყობდა, ომი იყო და... სხვა რა უნდა მეკეთებინა, — მიპასუხებს, ისე უბრალოდ, რომ მრცხვენია...

— ვინც დღეს იბრძვის, შეიძლება ისინი მათზე უკეთესები არ არიან, ვინც იქ არ არის, ოღონდ ეგაა, რომ მათ სადღეისოდ უფრო მომგებიანი მდგომარეობა აქვთ იმის გამო, რომ იქ არიან, მერე რა, რომ ომი იმაზე მეტი გამოდგა, ვიდრე ჩასვლამდე ეგონათ, მერე რა, რომ შიშისგან უტირიათ კიდეც, არც ისაა სირცხვილი, გამოქცევის, ყველაფრის მიტოვების სურვილი რომ აწვალებდათ ერთხანს, მთავარია, რომ ისინი დღეს მაინც იქ დგანან, მთავარია, რომ წამიერ სისუსტეზე გაიმარჯვეს, მთავარია, სული ისე არ გატეხეს, მარადიული ფასეულობები გადაეფასებინოს.

— ასე სწამს დავით თევზაძეს, და მახსენდება ერთი მწერალი, ცოტნე დადიანი გმირად არ დაბადებულაო, რომ ამტკიცებდა, ვინ იცის, ურდოში ნებაყოფლობით მიმავალმა რამდენჯერ მოაბრუნა ცხენი გზიდან, როცა სიცოცხლის სიყვარულმა წამიერად სძლია სამშობლოს, მეგობრების სიყვარულს, მაგრამ ბოლოს მაინც მივიდა იქ, სადაც უნდა მისულიყო; ის ურდოში მისვლამდე, გზაში იქცაო გმირად...

ომს მიდევნებული ბიოგრაფიიდან:

...„ორბი" აფხაზეთში წავიდა, პირველ ბრძოლაში ტამიშთან ჩაება, მერე ეშერასთან, არჩევნების დროს თბილისში იყო, და „ორბი" უმისოდ ამოჩნდა გაგრაში თავიდან ეშერასთან დაღუპათ ოჯახი, მათ შორის იყო ლევან აბაშიძეც. ეს იყო პირველი მსხვერპლი მისი ასეულისათვის. გაგრის დატოვებისას ერთი მებრძოლი უგზო-მერე „თეთრი არწივი", „ავაზა", „ორბი", „თეთრი გიორგი", „გორდა" გაერთიანდა და შეიქმნა სწრაფი რეაგირების კორპუსის პირველი ბრიგადა. ჯერ ასმეთაური იყო, გია ყარყარაშვილის მიერ ჩატარებულ ცნობილ ოპერაციებში მონაწილეობდა ნოემბერ-იანვარში, მერე გია კორპუსის მეთაურად გადაიყვანეს და დავითი ბრიგადის მეთაურად დაინიშნა... დაიჭრა ტამიშთან, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარის აფეთქებამ მეგობარს ვანო თოდაძეს თავი წააგლიჯა, თვითონ კი მძიმედ დაიჭრა...

საუბრობს დინჯად, გაღიზიანების გარეშე, საუბრობს ათასგზის ნაფიქრზე და ამიტომაც აღიქმება ნათქვამი სიმართლედ. მისი სიმართლე კი ასეთია:

• • •

— **დღეს** ბევრია ომში წასვლის მსურველი, — ომში კი ცოტანი მიდიან. რატომ? — მიზეზი შიშია, შიში, რომელიც ზღუდავს ადამიანს, დაკომპლექსებულ კაცს კი გადაწყვეტილების მიღება უჭირს, ვინც დღეს იბრძვის, ეს ხალხი გათავისუფლებულია ამ კომპლექსებისგან, ამით განსხვავდებიან ისინი თბილისში დარჩენილთაგან...

• • •

— **აფხაზეთში** საინტერესო პროცესები მიმდინარეობს, მეომრული სული იღვიძებს, რასაც აუცილებლად ეროვნული ჯარის ჩამოყალიბება მოჰყვება, ამ უკანასკნელს კი — სახელმწიფოს შექმნის ბუნებრივი პროცესი.

• • •

მოხალისენი ე. ი. ის კატეგორია, რომელიც საკუთარი სურვილით, კომისარიატის გაწვევის გარეშე მიდის ომში ფაქტობრივად დაუცველი ხალხია, ისინი სანამ ცოცხლები არიან, მანამ არიან საჭირონი, დაღუპულებს კი სახელმწიფო პენსიასაც არ აძლევს. ეს არის შემზარავი სინამდვილე, რომელსაც უნდა მოეღოს ბოლო.

• • •

— **ჰუმანური** დახმარება ჯარისკაცს არ უნდა სჭირდებოდეს, სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს მასზე, ვინც მის დასაცავად იბრძვის, ეს ისეთი ბანალური ჭეშმარიტებაა, უხერხულიც კია მისი შეხსენება.

• • •

— **ამ** ომში ბევრი ბავშვი შემხვდა, გამოეპარებიან მშობლებს, ჩამოჰყვებიან თვითმფრინავს, გამოვგზავნით უკან, ისევ ჯიუტად მოდიან, და, იცით, ყველა ეს ბავშვი მამების პასიურობით გაღიზიანებული და თავმოყვარეობაშელახულია, ღირს ამაზე დაფიქრება...

• • •

— **ხომ** ჯოჯოხეთია ომი, მაგრამ დაჭრილი ჯარისკაცი, რომ მაინც დღეებს ითვლის უკან დაბრუნების მოლოდინში, ეს ბევრს აკვირვებს, — რა ჰქვია ამას? — გააჩნია, რა კუთხით შეხედავ. ობივატელის კუთხიდან ეს ელემენტარულ სიგიჟედ აღიქმება, მაგრამ ხომ არსებობს ზნეობრივი კოდექსები, რომლებიც აუცილებელია, რომ დაიცვა, და დაიცვა ბოლომდე.

• • •

— **ქართველებს** თავისი სახელმწიფოებრიობის არსებობის მანძილზე საკუთარი არმია არ ჰყოლიათ, ქუდზე კაცი იყო ჩვენი „პროფილი", შეიძლება ესეც იყოს იმის მიზეზი, რომ დღეს ასე გვაღიზიანებს ნებისმიერი ფორმიანი.

• • •

— **სოციალური** დაუცველობა ნამართა მთავარი სატკივარია, და თუ ეს ყველამ არ გაითავისა, თუ ომში დაჭრა 10000-ად, დაღუპვა 30000 და გინდაც 100000-ად შეფასდა, თუ არ მოიხსნა ომგადახდილთა დასაქმების პრობლემა, მაშინ ნულარ გაგვიკვირდება, რომ ვიღაცას ნერვებმა უმტყუნოს, ვიღაცამ მუშტი იხმაროს, ვიღაცამ — იარაღი.

• • •

— **ჯარის** სოციალური შემადგენლობის დიდი ნაწილი დაბალ ფენაზე მოდის, ეს ბიჭები დღეს იბრძვიან და ხვალ დიდი უსამართლობა იქნება მათ ვინმემ თავისი სოციალური მდგომარეობა წამოაყვედროს ან ამის გამო დაიჩაგრონ...

• • •

— **ომი** იგივე ცხოვრებაა, ცოტა უფრო მკაცრი, ცოტა უფრო მწვავე, ომის დროს ზედაპირზე დევს თეთრიც და შავიც... ეს ომი ღირსებას დაუბრუნებს ქართველ ერს. ადამიანი, რომელიც ღირსებაშელახულ სახელმწიფოში ცხოვრობს, ვერ იქნება თავისუფალი, ამიტომაც ამ ომის მოგება აუცილებელია და ჩვენ მოვიგებთ მას, მაგრამ, — არის ერთი „მაგრამ", - ღირსებადაბრუნებულ ქვეყანაში უღირსები არ [illegible] [illegible]ტონდნენ...

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, — თევზაძეების ოჯახში მისულს ჩემი წარმოდგენისათვის გამანადგურებელი სურათი დამხვდა, — შარავანდედით თავზე გვირგვინდადგმული გმირის ნაცვლად ერთი ჩვეულებრივი ქართველი კაცი გავიცანი.

მისი სახე საუკუნეებს აღარ შემორჩა, დარჩა სახელი — ქიტესა, წყალობა, ან მახარე, გიორგი, შეიძლება ვაჟა ან ერეკლე, გადახდილი ომები დარჩა, მოგებული — ბევრი, წაგებული — ცოტა... რაღაც დააკლდა ჩემს ფანტაზიას, სადღაც დამეკარგა სამშობლოს დამცველის ტრადიციული გაგება, ვერა და ვერ ჩავტიე ეს სახე ისტორიის მწირი სახელმძღვანელოდან შექმნილ წარმოსახვით ჩარჩოში, არ ვიცი მეწყინა, არ ვიცი გამიკვირდა, თუ გულის კუნჭულში გამეხარდა კიდეც, რომ ის, ვინც გმირია — ათასებსა ჰგავს, რომ ის არაა გამორჩეული, რომ თითქმის მოუწყობელ საარსებო გარემოში ცხოვრობს, რომ ჩვენსავით უჭირს, ბევრი აკლია და მაინც შეუძლია იყოს ამაყი, იყოს შეილმრავალი, იყოს იმედიანი და ისე უბრალოდ გითხრას, — ომი არაფერია, — ომს მოვიგებთ, მთავარია, ნაომარ ბიჭებს მივხედოთო, — რომ გული აგიჩუყდეს, მოფერების სურვილი გაგიჩნდეს, მას შეუძლია თავისი სიმართლით შენი სიმართლე გაპოვნინოს, ალბათ ამიტომაცაა გმირი, თორემ ისე კაცის მკვლელი და სამშობლოს დამცველიც შეიძლება ერთი საზომით გაზომოს თვალმა...

• • •

თავიდან ეს წერილი ზემოთ ნახსენები კროსვორდის თარაზული სვეტის გამომცნობთათვის ჩავიფიქრე, ვწერდი რაღაცნაირი გაჯიბრებით, რაღაცნაირი ჟინით, მერე გამახსენდა, რომ მათ გარდა არსებობდა სხვა მკითხველიც, ასე გაჩნდა მეორე სათაური... „და არა მხოლოდ მათთვის" კი დავამატებდი ერთი ჩემი კოლეგის ნათქვამს, დავით თევზაძესთან მიმავალს რომ მირჩია, — ამ კაცში უბრალო გლეხური ოდის სისადავეა მთავარი, და არ ეცადო მასში სვეტიცხოვლის ჩუქურთმა დაინახოო, მე კი დავძენდი, — სვეტიცხოვლის ჩუქურთმის სრულყოფილების მიღწევა უბრალო ოდების შენობაში განაფულ ხელს შეეძლო ოდენ...

ფერიდე ბიწაძე.

მებრძოლ დროშასთან ელავს კალამი

ბეგლარ ნოზაძე

გუმისთის წყალთან

გუმისთის წყალთან შემომხვდა მიჭი,
შემომაყარა პეშვი ღიმილი,
მოამიჯემდა ქართული ნიჭი,
დიდი ფიქრით და დიდი ტკივილით.

სულში უღუღდა დარდის კოჭომი,
გადარაზოდა წარმეში მკაცრად.
მოამიჯემდა მიჭი კოჭლობით
და მიეყუდა წაქცეულ ანძას.

წუხელ ებრძოდა ოხერს და ცვილს,
შემადნეულ ფეხთან ქონავდა სისხლი...
სულში ჩამოწვა ფიქრები მღვრიე –
ქრისტიანემმა ესროლეს მიჯრით!

და გაიწელა წამები თითქოს,
სროლა ისმოდა ისევ შორიდან.
– სადაური ხარ? ომზე რას ფიქრობ?
– საიდანა ვარ? აქვე, გორიდან.

– ომი ომია, ჩვენს საქართველოს
ტანჯვა ჰქონია მარად მისჯილი!
მაინც გავიტანთ გასატან ლელოს –
ან გამარჯვება, და ან – სიკვდილი!

წამოიწია წვალებ-წვალებით:
– გორში შევხვდეთ, ცხრაკარას კართან...
მერე გაწვიმდნენ ჩვენი თვალები
და მე ავტირდი გუმისთის წყალთან...

წყვილი

ქალაქის პარკში ჩამოჯდა წყვილი,
თვალებს ნამავდა მწყერჩიტა გოგო...
ნეტავ შემასწრო იმათი შვილი,
ღმერთო, რა ვუთხრა ამ ომის მომგონს!

სიკვდილის ფასი

აყალმაყალში გავარდა ტყვია,
წაიქცა მიჭი... სიცოცხლის თასი!
თუ ამ სიკვდილსაც სიკვდილი ჰქვია,
მაშ, რაღა არის სიკვდილის ფასი?!

ქ. გორი

ხსოვნა

არ დაიდარდო, დედაო

14 ივლისს გაზეთი „დრონი" წერდა: „რადგაც არ უნდა დაგვიჯდეს ყველა ჩვენი დაღუპული უნდა მოვძებნოთ... მებრძოლებმა დიდი სიფრთხილით დაიწყეს საერთო სამარის ამოთხრა ეშინოდათ, მტერს არ დაენაღმა იგი, შემდეგ კი საშინელი სურათი — ერთად ჩაწყვენილ მეომართა გვამები გამოჩნდა". ერთ-ერთი უჩა მაჭარაშვილის ცხედარი იყო.

... ორი ივლისი მძიმე და სისხლიანი აღმოჩნდა საქართველოსთვის — მრავალი ჭაბუკის სიცოცხლე შეეწირა ამ დღეს აფხაზეთში მამულის ერთიანობისათვის ბრძოლას, მათ შორისაა უჩა მაჭარაშვილიც.

ტამიშთან მდგარმა პირველი საარმიო კორპუსის სპეცდანიშნულების „შავნაბადას" ბატალიონმა გადმოსხმული დესანტისგან პირველი დარტყმა სხვებთან ერთად საკუთარ თავზე მიიღო. სისხლისგან დაცლილი ბატალიონი ბოლომდე გმირულად უმკლავდებოდა მტერს.

მთელმა საქართველომ გაიგო ამ სისხლიანი შეტაკების ამბავი. იქ, მშობლიურ საჩხერეში, სოფელ კორბოულში, შვილის მომლოდინე დედას გულმა უგრძნო უბედურება, აკი არც შემცდარა ათასგზის გამოცდილი დედის ინტუიცია — ცხრამეტი წლის უჩა მაჭარაშვილი გმირის სიკვდილით დაეცა და მოუშუშებელ ჭრილობად დააჩნდა მშობლების, ახლობლებისა და მეგობრების გულს.

იმედად ის რჩება მხოლოდ, რომ სამშობლოს სამსხვერპლოზე მიტანილ სიცოცხლეს დავიწყების ჩრდილი არასდროს მიადგება და უჩა მაჭარაშვილიც დიდხანს ემახსოვრება საქართველოს.

სამშობლოს ძლიერებისთვის გაღებული წვლილი

ორგანიზაციების დასახელება	გადარიცხული თანხა მანეთებში
საგზაო სარემ. სამშენებლო სამმართველო №24	20000
საგზაო უბანი №28	10000
საგზაო უბანი №28	10000
საგზაო უბანი №28	9315
საგზაო უბანი №28	9315
სამშენებლო ტრესტის №2 სამეურნეო უბანი	10000
საქტექმონტაჟის გორის უბანი	2151
საქტექმონტაჟის გორის უბანი	1918
სმმკ №2	2850
სსგ წყალმშენის მექანიზაციის სამმართველო	50000
№3 მექანიზაციის სამმართველო	962
გორის მელიორაციის და წყალთა მეურნეობის სამმართველო	10000
გორის მტმ ბაზა	50000
სკრის საცდელი სადგური	20000
გორის დამამზადებელი საწარმო-კანტორა	10000
გორის „სახლმმართველობა-1"	5000
გორის ენერგოზედამხ. და კომერციის საწარმო	18538
გორის ზონის თბომეურნეობა	70187
გორის თბომეურნეობა	20000
გორის ბ. ს. ბ.	26760
გორის ბინსოცბანკი	46895
გორის ბინსოცბანკი	97990
გორის ბ. ს. ბ.	274000
გორის ეროვნული ბანკი	1500
გორის ინდუსტრიაბანკი	2749
გორის მ. მ. ბ.	165960
საოპერაციო ბინსოცბანკი	40000
გორის რაიკოოპკავშირი	4020
ასოციაცია „ტონფო"	3000
დას. ციმბირის საგარეო ეკონომ. ასოციაციის გორის ფილიალი	100000
გორის ფირმა „ლანა"	5000
გორის ფირმა „მუხრანი"	5000
კომერციული ფირმა „მენორა"	10000
კომერციული ფირმა „გალაქტიკა"	1000
კომერციული ფირმა „ვიქტორი"	5000
კომერციული ფირმა „ვიქტორია"	5000
მ-დ ფირმა „კვერნაქი"	253
მ-დ ფირმა „შრომა"	20000
მრავალდარ. სახყ. ფირმა „კვერ[illegible]"	98
მრავალდარგ. სარიტუალო მომსახურების საწარმო ფირმა „კვერნაქი"	279
მრავალდარგოვანი კომსაწყ ფირმა „ბუმერანგი"	10000
მრავალდარგოვანი კომერციული ფირმა „ლიანა"	1000
მრავალდარგოვანი ფირმა „ინტერს თშ"	50000
მრავალდარგოვანი ფირმა „კავი"	20000
მრავალდარგოვანი ფირმა „კავი"	10000
მრავალდარგოვანი ფირმა „კავი"	10000
მრავალდარგოვანი ფირმა „ლამბარეული"	10000
სამეურნეო კომ. ფირმა „ეტნა"	5000
სამრეწ. კომ. ფირმა „ატენი"	20000
საწარმოო ფირმა „კვერნაჯი"	5000
ფირმა „აისი"	3000
ფირმა „აისი-97"	3000
ფირმა „ოქროს საწმისი"	45000
მეჯვრისხევის ს-კოოპერატივი	15000
მცირე საწ. „ანა-ნია"	1000
მცირე საწ. „მებეტონე-91"	15000
მცირე საწარმო „კონტაქტი"	500
მცირე საწარმო „მელიპტე"	6276
მცირე საწარმო „ძევერა-91"	5000
№1 ს. კ.	62000
კოოპერატივი „ავტოგარანტი"	5000
კოოპერატივი „კრისტალი"	3000
კოოპერატივი „მიზანი"	50000
კოოპერატივი „მრეწვრკინიგზა"	25000
კოოპერატივი „ოლიმპია"	2000
გორი...	13327
არტევის ს-მეურნეობა	25000
ბერშუების კოლმეურნეობა	24000
ბერშუების კოლმეურნეობის წევრები	26000
გორის ზეღდულეთის კოლმეურნეობა	1250
გორის ტყესანერგე მეურნეობა	300
გორის ტყესანერგე მეურნეობა	50000
ვარიანის მეურნეობა 51	50000
ზეღდულეთის კოლმეურნეობა	8000
სელთუბნის კოლმეურნეობა	66000
ტყესანერგე მეურნეობა	2565
ყანდიაშვილი თამრიკო	2900
გველიკაშვილი გელა გიორგის ძე	1000
გველიკაშვილი გიორგი აბრამის ძე	500
დათუკაშვილი მიხეილ ილიას ძე	1000
იაკონიშვილი ამირანი	10179
კობაიძე მიხეილ ნიკოლოზის ძე	3000
ნატროშვილი გიორგი	100
ნატროშვილი გიორგი თეოდორის ძე	100
ჯილიტაშვილი არსენ ომარის ძე	1000

გაგრძელება იქნება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „აბჯარი" № 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18

P. S. თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის ღვინის ქარხნის დირექტორმა შოთა გიორგის ძე პაპაშვილმა აფხაზეთში მებრძოლთა დასახმარებლად თავდაცვის ფონდს 100 (ასი) ამერიკული დოლარი გადაურიცხა.

პავლე ასლანიდის ოჯახმა გადარიცხა 3000 მანეთი.

ავთანდილ პაიჭაძემ — 2000 მანეთი.

გადადგომა თუ თანადგომა?

ნაპოლეონ ქარქაშაძე,
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი,
ვლადიმერ ფანუყაძე,
პოლიტოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი.

ბოლო დროს რესპუბლიკის პრესაში ბევრი საყურადღებო მოსაზრება გამოითქვა ხელისუფლების მოღვაწეობის სრულყოფისა და მისადმი სხვადასხვა პოლიტიკური ძალების დამოკიდებულების საკითხებზე. გამოქვეყნებულ წერილებში გაანალიზებულია ქვეყანაში შექმნილი ვითარება, პარლამენტისა და მთავრობის საქმიანობის სხვადასხვა მხარე, საზოგადოების წინსვლის დამაბრკოლებელი ფაქტორები და, რაც მთავარია, ერის კონსოლიდაციის ხელისშემშლელი მიზეზები. ამ კონკრეტულ თემაზე საუბრისას მხედველობიდან არ რჩებათ ის პიროვნებები, რომლებიც გამოირჩევიან ამბიციურობით, ემოციურობითა და აქტივობით და რომელთა ქმედება აშკარად შეიცავს საშიშ ტენდენციებს.

ერის ჭეშმარიტი მოამაგენი თავს ვალდებულად გრძნობენ წინ აღუდგნენ იმ პოლიტიკოსთა უზნეობას და თავაშვებულობას, რომლებიც დაძაბულობას ქმნიან ქვეყანაში, კიდევ უფრო ასუსტებენ ისედაც დაძაბუნებულ სახელმწიფოს.

ჩვენმა სასიქადულო მამულიშვილებმა, ბატონებმა: რევაზ ჯაფარიძემ, როინ მიმინოშვილმა, ნოდარ ლომოურმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, კობა იმედაშვილმა, ჯანსუღ ღვინჯილიამ და სხვებმა საზოგადოებას ნათლად წარმოუდგინეს შექმნილი ვითარების სერიოზულობა და საშიშროება. სამწუხაროდ, ამ ავტორიტეტული ადამიანების გამოსვლებმაც კი ვერ გამოიღო შედეგი და დესტრუქციული ძალები კვლავაც აქტიურობენ.

როგორც ჩანს, საუბარი ამ თემაზე უნდა გაგრძელდეს. წინამდებარე წერილიც ამ მიზანს ისახავს.

უდავოა, რომ საქართველოში დღეს არსებული ვითარება ზედმიწევნით აძნელებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ნორმალურად აღქმისა და გაანალიზების საშუალებას. ამის გამო, არა თუ ფართო მასებში, არამედ პოლიტიკოსთა შორისაც, განწყობა და სულისკვეთება არაერთგვაროვანია. ნაწილი გარეგნით ეძლევა წარმოქმნილ სიძნელეებს, სწორად ხსნის მათი არსებობის მიზეზებს და ასევე სწორად ხედავს მათი დაძლევის გზებს; ნაწილი გაღიზიანებული და აგრესიულია, არც რაიმეს დანახვა სურს და არც რაიმეს გაგება; არიან ისეთებიც, რომლებიც წამდაუწუმ იცვლიან შეხედულებებს ვინმეს ან რაიმეს ზეგავლენით. ერთი სიტყვით, სიტუაცია საკმაოდ რთულია. მთავრობას უჭირს მართვა, ხალხს უჭირს ცხოვრება. სახეზეა საერთო ეროვნული კრიზისი და მაშასადამე სოციალური აფეთქების აშკარა საფრთხე.

მდგომარეობიდან გამოსავლის გზებს ეძებს ხელისუფლებაც და ხალხიც. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, სასურველია, რომ ხელისუფლებამ დაასწროს მასას და დროზე წარუდგინოს მას ქვეყნის ხსნის პროგრამა, შექმნას უახლოესი და შორეული მომავლის პერსპექტივა, სიცხადე და გარკვეულობა შეიტანოს მასებში. სამწუხაროდ, ხელისუფლება აგვიანებს, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა არსებული მდგომარეობა. ადამიანებისათვის ყველაზე რთული და ძნელი გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნაა. მიზნის სიცხადე და მისი მიღწევის კონკრეტული გეგმა — გადამწყვეტი ფაქტორია მასების დასარაზმავად და მოსამხრობად. ამიტომ ქვეყნის მმართველებმა გარკვეული დოქტრინის, კონცეფციის, გეგმა-პროგრამის სახით უნდა ცხადყონ: რას აპირებენ და რა საშუალებებით. ასეთი გეგმა-პროგრამების მიხედვით ნაწილდება საზოგადოებაში ხელისუფლების მხარდამჭერი და მოწინააღმდეგე ძალები, პოზიცია და ოპოზიცია (ზომიერიც და რადიკალურიც). ოპოზიცია ობიექტურად განპირობებული ფენომენია და იგი გულისხმობს გარკვეული პლატფორმისადმი, პროგრამისადმი, გეგმისადმი განსხვავებულ მიდგომას, განსხვავებულ დამოკიდებულებას ან მათ დასაბუთებულ უარყოფას, სხვა ალტერნატიული პლატფორმის ან პროგრამის წამოყენებით. როცა გარკვეული პოლიტიკური ძალა არა ამ პრინციპით, არამედ სხვა რომელიმე მოსაზრებით უპირისპირდება ხელისუფლებას მთლიანად, ან მის რომელიმე წარმომადგენელს, იგი ოპოზიცია კი არ არის, არამედ წმინდა სუბიექტურ განწყობაზე დაფუძნებული ახირება.

რეალურად, საქართველოში ოპოზიცია ამ ხელისუფლების მიმართ თითქოს არც უნდა ჩამოყალიბებულიყო, რადგან ხელისუფლებას (ყველა დონეზე), ფაქტობრივად, ჯერ საკუთარი პოზიცია თვითონ არ ჩამოუყალიბებია იმ გეგმა-პროგრამების სახით, რაზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ სახელმწიფოს მეთაურის წინასაარჩევნო პროგრამას (რომელიც ახლა მთელ რიგ კორექტივებს საჭიროებს), კონკრეტული, კომპლექსური გეგმა-პროგრამა დღემდე არ არსებობს. მით უმეტეს, არ არსებობს იგი მთავრობის დონეზე. მაშ რა ოპოზიციაზეა ლაპარაკი, როცა ხელისუფლების, სახელმწიფო მეთაურის, მინისტრთა კაბინეტის ყოველდღიური საქმიანობა ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაზეა მიმართული — დაწყებული პურის ცხობიდან, ნავთის გატანის ჩათვლით. ფაქტიურად არსებითი გარდაქმნები ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში ვერც კი დაიწყო. თუ დავა მათ დაგვიანებაზეა, ეს სრულიად გამართლებულია, მაგრამ ამას არ შეიძლება ახლდეს ესოდენ რადიკალური მოთხოვნები. ეს არალოგიკურია და იმ პოლიტიკოსთა წინასწარ აკვიატებულ განწყობას გამოხატავს, რომელთაც არაფრის გაგება და დანახვა არ სურთ.

ოპოზიცია საქართველოში ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერისათვის თვითმიზნად, ქრონიკულ ავადმყოფობად იქცა და არა იმ ფენომენად, რომელიც ყველა ნორმალურ საზოგადოებაში უკეთესი გეგმა-პროექტის შემუშავებისა და განხორციელების საშუალებაა. იგი საზოგადოების მართვის სრულყოფას უნდა უწყობდეს ხელს და არა მის გახლეჩას, დაპირისპირებას.

რაც შეიძლება სწრაფად ხალხის სამსჯავროზე ხელისუფლებამ უნდა გამოიტანოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების კომპლექსური გეგმა-პროგრამა, რომელშიც ეტაპობრივად, დარგებისა და ასპექტების მიხედვით აისახება ყველა ის ძირითადი ღონისძიება, რომელიც უნდა განხორციელდეს ჩვენს ქვეყანაში ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისათვის.

ასეთი გეგმა-პროგრამის არარსებობამ უკვე ბევრი სიძნელე და დაბრკოლება შექმნა ქვეყანაში, ბევრი უხერხულობა წარმოშვა. პირველ რიგში ამან განაპირობა ის, რომ სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის ღონისძიებებს არ აქვს თანამიმდევრული და სისტემური ხასიათი. ზოგჯერ ვაგვიანებთ ზომების მიღებას, ზოგჯერ კი ზედმეტად ვჩქარობთ და ვცდილობთ იმ არასასურველი ტენდენციების აღმოფხვრაზე, რომელიც საერთოდ შეუძლებელია თავიდან აგვეცილებინა. მაგალითისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. ისეთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიების გატარება, როგორიც ეროვნული ვალუტის შემოღებაა, დავიწყეთ სრულიად შეუმზადებლად, ნაჩქარევად. შედეგმაც არ დააყოვნა: მოხდა კუპონის დევალვაცია და დისკრედიტაცია, რაც, ალბათ, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ქართული ვალუტის შემოღების მიმართულებით მომავალში გადადგმულ ყველა ნაბიჯზე. ისედაც დატანჯული და გაწამებული ხალხის მდგომარეობა ერთბაშად მკვეთრად გაუარესდა. ამ ღონისძიებით მთავრობამ უდიდესი ეკონომიკური და მორალური ზიანი მიაყენა საკუთარ ხალხს და ბევრი მხარდამჭერი დაკარგა.

კომპლექსური, კონსტრუქციული გეგმა-პროგრამის არსებობის შემთხვევაში ეს არ მოხდებოდა. იქ, ალბათ ეტაპობრივად განისაზღვრებოდა ეროვნულ ვალუტაზე გადასვლის ღონისძიებანი (ვალუტათა დროებითი თანაარსებობა და სხვა საკითხები), რაზედაც ახლა ვმსჯელობთ და ჯერჯერობით ვერაფერი პოზიტიური გადაწყვეტილება ვერ მიგვიღია.

სათქმელი უნდა ითქვას

რეალურად არსებობს სახელმწიფო, არსებობს სახელმწიფოს მეთაური, მაშასადამე უნდა არსებობდეს სახელმწიფოს მოღვაწეობის პროგრამა, რომელშიც თითოეული მოქალაქე დაინახავს საკუთარ თავს, პერსპექტივას, მასზე ზრუნვის გარანტიებს და შესაბამისად მოსთხოვს სახელმწიფოს ამ გარანტიების დაცვას. დღეს მას არა აქვს ასეთი გარანტიების რაიმე დოკუმენტი და იგი იძულებულია სახელმწიფოს პრეტენზიები წაუყენოს ყველაფერზე, იმაზე, რაც ეკუთვნის და რაც არ ეკუთვნის.

ჩვენი აზრით, სახელმწიფოს მეთაურის პროგრამაში მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს სახელმწიფოს როლი, მისი პრიორიტეტული პოზიცია საზოგადოებრივი წესრიგის, საწარმოო, შრომითი და საფინანსო დისციპლინის დაცვაში. ცენტრალიზებულ დაგეგმვაზე და მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ მეთოდებზე უარის თქმა, რაც გამართლებული და მიზანშეწონილი იყო, არ ნიშნავს საერთოდ გეგმიურობის უგულებელყოფას და მართვის პროცესში სახელმწიფოს სრულ ჩამოშორებას. სახელმწიფომ არ შეიძლება თვითდინებაზე მიუშვას მართვის ყველა მექანიზმი და საბაზრო ეკონომიკას შეჰყურებდეს როგორც პანაცეას. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საფინანსო-საკრედიტო სისტემის ორგანიზაცია და არ დაუშვას საბანკო და საფინანსო ორგანოთა შეუთანხმებელი და ურთიერთგამომრიცხავი მოქმედება, რაც, სამწუხაროდ, თვალნათლივ ხდება ჩვენს ქვეყანაში.

პრინციპში, კერძო საკუთრებამ და სტაბილურმა ფინანსურმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება. ეს ყველასათვის თითქოს გასაგები და ცნობილი ჭეშმარიტებაა რატომღაც ჩვენს სახელმწიფოში უგულებელყოფილი.

„სახალხო პრივატიზაციის" კურსი რეალურად არ ხორციელდება. თითო-ოროლა არარენტაბელური ობიექტის და ამორტიზებული მანქანის გაყიდვა ამ ღონისძიებად არ ჩაითვლება.

„ფარული პრივატიზაცია" აშკარად ჩადგას „ლის". სახელმწიფომ მართვის სადავეები უნდა წაართვას მაფიოზურ-კლანურ სტრუქტურებს და გადასცეს იგი ხალხს, რომლის წარმომადგენელიც თვითონაა და იმავე ხალხს იგი უნდა „პატრონობდეს" ყველა დონეზე.

ფაქტია, რომ ხელისუფლების საქმიანობაში ბევრი ხარვეზი და ნაკლი არსებობს, მაგრამ ჩვენ მაინც შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ გამოსავალი სახელმწიფოს მეთაურის ან მთავრობის გადადგომაშია. პირიქით, სახელმწიფოს მეთაურისადმი თანადგომა და მხარდაჭერა, ალბათ, მეტ სიკეთეს მოიტანს, ვიდრე მასთან ჭიდილი და კრიჭაში დგომა. მით უმეტეს, რომ დღევანდელი საქართველოსათვის, რომელიც ახლა იწყებს დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე გამოსვლას და თანამედროვე ცივილიზაციასთან ზიარებას ისეთი ავტორიტეტული მეთაურის ყოლა, როგორიც ედუარდ შევარდნაძეა, ძალიან მნიშვნელოვანი სუბიექტური ფაქტორია. შევარდნაძე კი არ უნდა გადადგეს, არამედ გამაგრდეს, და ეს უნდა დაეტყოს ცხოვრების ყველა მხარეს, სადაც დღემდე გრძელდება ქაოსი და ანარქია, უდისციპლინობა და უპასუხისმგებლობა, შანტაჟი და პროვოკაცია, საბოტაჟი და დივერსია.

ქვეყანა ომის მდგომარეობაშია და იგი ომის კანონებით უნდა იმართოს. დემაგოგიური ხმაური დიქტატურისა და ძალადობის შესახებ ყურადსაღები არ არის. დემოკრატია სიმტკიცეს კი არ გამორიცხავს, პირიქით, თავისთავში მოიცავს მას. საჭიროების შემთხვევაში დემოკრატიის განმტკიცებისათვის საგანგებო წესებიც შეიძლება დამყარდეს. მთავარია ხალხის ნება და არა ცალკეულ პოლიტიკოსთა თავნებობა. მით უფრო, როცა თვითმარქვია პოლიტიკოსთა ესოდენ სიმრავლეა ქვეყანაში, როცა ყველას ეროვნულ მოღვაწედ მიაჩნია თავი, რაკი საერთო ქაოსისა და არეულობის პერიოდში მიკროფონი ეჭირა ხელში და უმისამართოდ იგინებოდა ერის მოღალატეების მისამართით. ბევრი ის ადამიანი, რომელმაც გაუმართლებელი მსხვერპლი გაიღებინა ერს, რომელმაც ნგრევითა და რბევით უდიდესი ზარალი მიაყენა ქვეყანას, დღეს, ომის დროს გმობს აუცილებელ და გარდაუვალ სისხლისღვრას და ხელისუფლებას ადანაშაულებს იმაში, რისი თავიდან აცილებაც არავის შეეძლო.

პოლიტიკური მანიპულაციები, რომლითაც გართულია ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე, სიკეთეს ვერ მოიტანს. პირიქით, იგი გაართულებს ისედაც რთულ და არასტაბილურ მდგომარეობას, იგი მუდმივი ექსტრემიზმის სიტუაციაში გადაიყვანს ქვეყანას. ამის საფრთხე რეალურად არსებობს ჩვენს ქვეყანაში, რაზედაც პასუხისმგებლობა პირველ რიგში ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარეს და მის თანამოაზრე ე. წ. „სათათბიროს" უნდა დაეკისროს.

სადღეისო პრობლემებზე საუბრისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ პარლამენტის საქმიანობას. საქმე ისაა, რომ იგი ვერ იქცა ქმედითუნარიან, კანონშემოქმედებით ორგანოდ. პარლამენტის წევრთა შორის ბევრი ღირსეული, ჭკვიანი და კეთილსინდისიერი მოქალაქეა, მაგრამ რატომღაც ისინი არ აქტიურობენ. ხოლო ის, ვინც აქტიურობს და წამდაუწუმ მიკროფონთან დგას, უმეტეს შემთხვევაში, ფუჭად ფლანგავს დროს. სწორედ მათ გამოა, რომ პარლამენტი ვერ უზრუნველყოფს ძირითადი ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადაწყვეტას. ნაცვლად იმისა, რომ თავდადებით იმუშაოს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო დოკუმენტების შექმნაზე, ზოგიერთი დეპუტატი პოპულისტური კეკლუცობით ერთობა, თვალთმაქცობს, ცრუობს, სხვისი დადანაშაულებით და დაბეზღებით ცდილობს პოლიტიკური კაპიტალის დაგროვებას. ხალხი უსმენს და უყურებს ამ უკულტურო და გაუნათლებელ ადამიანებს და ხელისუფლებისადმი რწმენა ეკარგება, გული უტყდება. ახლა უკვე ბევრი ამომრჩეველი ნანობს, რომ ხმა მისცა ამ არაკომპეტენტურ ცრუპატრიოტებს. არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ კიდევ ერთი მომენტი. საქართველოში პოლიტიკურმა პლურალიზმმა განსაკუთრებით მახინჯი სახე მიიღო. პარტიების სიმრავლემ, პოლიტიკაში შეუფერებელი ადამიანების მოზღვავებამ წალეკა და გაფლანგა ერის ენერგია. რა დასახელების და რა პროფილის პარტია არ არსებობს დღეს საქართველოში აბსოლუტურად იდენტური პროგრამებით, რამოდენიმე ერთეული წევრით. ბევრი პოლიტიკური პარტია ფორმალურად არსებობს და მათი ლიდერები მხოლოდ საარჩევნო კამპანიების პერიოდში გააქტიურდებიან, რათა ვინიცობაა ხელისუფლების საჭესთან გაძვრნენ. დღეს საქართველოში მხოლოდ ორი-სამი პარტია არის, რომელიც ნაყოფიერად ფუნქციონირებს და საკმაო ავტორიტეტითაც სარგებლობს. უმრავლესობა შარახვეტია თანამოაზრეთა კრებულობაა, რომელთაც მხოლოდ ნგრევა და რბევა ეხერხებათ, წარმატებით მხოლოდ „დგორების" ამოცანას წყვეტენ. ქვეყანა შიმშილობს; ერის საუკეთესო შვილები ფრონტზე თავს წირავენ; ყოველი მარცვალი პური და ყოველი ვაზნა სათუთად მოსავლელია და ამ დროს პარტიის ლიდერები პირადი დაცვით დაგრიალებენ მიტაცებული თუ, ვიღაცის მიერ ბოძებული მანქანებით, იწყობენ ფეშენებელურ ოფისებს, ქმნიან საკუთარ კომერციულ სტრუქტურებს, ბანკებს, კონცერნებს, მილიონობით თანხებს ატრიალებენ და ქედმაღლურად გადმოყურებენ მაღალი ტრიბუნიდან. ჭკუას გვარიგებენ, არაფერი შეგვშალოთო. ხალხმა ძლივს ერთი პარტიის დიქტატსა და ბატონობას დააღწია თავი და ახლა მას მრავალი პარტიის ბატონობა ემუქრება.

ქვეყანაში საგანგაშო მდგომარეობაა. მას ხელისუფლების შესაბამისი რეაქცია სჭირდება, პირველ რიგში სახელმწიფოს მეთაურისაგან.

დავიცვათ ეროვნული მეცნიერება ჰეროსტრატეებისაგან

ნინო ფორაქიშვილი,
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმუნოლოგიის კათედრის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ქვეყნისათვის მძიმე, გარდატეხის პერიოდში, რომლის მოსწრენიც ჩვენ გავხდით და რომელიც მძიმე ტვირთად დააწვა ჩვენს ყოფას, გონებასა და ფსიქიკას, ზოგს შეიძლება უდროოდ მოეჩვენოს პოლიტიკისა და ეკონომიკისაგან ისეთ განყენებულ ცნებებზე საუბარი, როგორიცაა ეროვნული კულტურა ან მეცნიერება. მაგრამ კულტურისა და მეცნიერების გარეშე ერი ვერ გახდება სრულფასოვანი ერი, ხოლო ქვეყანა — სახელმწიფო.

ორი კატეგორია განსაზღვრავს ერის განვითარების დონეს, მისი ცნობიერების ხარისხს. ჩვენ, რომლებიც ყოველთვის ვამაყობდით მრავალსაუკუნოვანი კულტურით, სახელმწიფოებრიობით, საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალფეროვნებით, ჯერ კიდევ ვერ გავაცნობიერეთ სათანადოდ, თუ როგორ გვეცლება ხელიდან მოპოვებული განძი, როგორ იღუპება ეკონომიკის ნანგრევებში ჩვენი კულტურა და მეცნიერება. ჩვენს ცნობიერებაში გამოთავისუფლებულ ნიშას კი თანდათან იკავებს პრიმიტიული აზროვნება, ნიჰილიზმი, პრაქტიციზმი, ეცემა ერის ინტელექტუალური დონე....

ქვეყნის განვითარების ყველა პერიოდში, განსაკუთრებით კი მძიმე, გარდატეხის ჟამს, საჭიროა ვიზრუნოთ, რათა არ დავკარგოთ, არ გავფანტოთ ერის სულიერი და ინტელექტუალური სიმდიდრე. და როგორც არ უნდა იყოს სამწუხარო ამ ფაქტის კონსტატაცია, მაღალი რანგის პროფესიონალები უნდა დავიცვათ ჰეროსტრატეს სულისკვეთებით შეპყრობილი ისეთი პიროვნებებისაგან, რომელთა ერთ-ერთი წარმომადგენელი გახლავთ „საქართველოს რესპუბლიკის" 12 ივნისის ნომერში დაბეჭდილი ინტერვიუს გმირი ბატონი ბ. ლომსაძე.

ალბათ, არც არის საჭირო იმ დებულების მტკიცება, რომ არ არსებობს კაპიტალისტური, სოციალისტური, კომუნისტური, მონათმფლობელური და ა. შ. მეცნიერება (აქ ლაპარაკი არ არის ე. წ. საზოგადოებრივ მეცნიერებებზე). მეცნიერება აბსოლუტურ კატეგორიებს მიეკუთვნება, რომლის განვითარების ვექტორი წრფივია, მიუხედავად იმისა, რა გადახლართულ სპირალებშიც უნდა მოექცეს ერის პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ცხოვრება. იცვლება მხოლოდ მისი განვითარების ტემპები, მის მიერ მოპოვებული სამეცნიერო პროდუქტის გამოყენების ეფექტიანობა. ჩვენი უპირატესი ამოცანაა შევინარჩუნოთ, გადავარჩინოთ ის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, რომელიც ქვეყანამ მოიპოვა მრავალი საუკუნის, მათ შორის უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაშიც.

ყველასათვის ცნობილია, რომ ქართული მეცნიერება ორ დიდ ბოძს ეფუძნება. ესენია საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და უმაღლესი სკოლა. ისიც ცხადია, რომ აკადემიის სისტემა, ისევე როგორც უმაღლესი სკოლა რეფორმირებას, ცვლილებას მოითხოვს. მაგრამ მოდით, ამჯერად მაინც, საქმეს დაფიქრებულად, აუჩქარებლად მოვკიდოთ ხელი და, რაც მთავარია, ამ ურთულესი ამოცანის გადაწყვეტა — ეროვნული მეცნიერების რეფორმირება მივანდოთ პროფესიონალებს, ამ საქმეში ჩახედულ პირებს და არა პოპულისტებს მეცნიერებისაგან, რომელთა ერთადერთი მიზანია საკუთარი შელახული ამბიციების დაკმაყოფილება. მათ ხომ მხოლოდ ნგრევის ძალა გააჩნიათ!

გასაკვირია, რატომ არ დაფიქრებულა აკადემიის პრობლემებით ასე შეწუხებული ბატონი ბ. ლომსაძე იმაზე, თუ როგორ დაიბადა და განვითარდა ძველ სამეცნიერო სტრუქტურათა წიაღში მთელს მსოფლიოში ცნობილი ქართული მათემატიკის, ფიზიკის, ფიზიოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ფსიქოლოგიის, არქეოლოგიის, მეტალურგიის და ბევრი სხვა სკოლები, საფუძველი ჩაეყარა ახალ, თანამედროვე მიმართულებებს? უფრო მეტად გასაკვირია ის პარადოქსული ფაქტი, რომ, როგორც ჩანს, ინტერვიუს ავტორი თავად არ იცნობს სპეციალურ ლიტერატურას, მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპეციალურ ჟურნალებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი აღმოაჩენდა, რომ ტყუილად ატრიალებდა ხელში მახვილს ძახილით „ძირს აკადემია"!: აკადემიას თვითონ მშვენივრად აქვს გათვითცნობიერებული საკუთარი პრობლემები და გაანალიზებული მის წინაშე მდგომი ამოცანები, სერიოზული რეორგანიზაციის აუცილებლობა, დასახულია ეტაპობრივი რეფორმირების გეგმაც, რაც ნათლად აისახა ჯერ კიდევ 1992 წლის აპრილის „მოამბის" 1-ელ ნომერში გამოქვეყნებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე წარმოდგენილ მოხსენებებში.

ამ გამოკვლევებში აშკარად გამოისახა მეტად მნიშვნელოვანი ლაიტმოტივი: არსებულ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში ისეთი რთული ინსტიტუტის რეორგანიზაცია, როგორიცაა მეცნიერებათა აკადემია, მინიმალური რისკითა და მაქსიმალური ეფექტიანობით უნდა განხორციელდეს.

ამ მასალებში განხილულია პირველი და უმთავრესი ამოცანა, რომელიც დგას აკადემიური (და არა მხოლოდ აკადემიური) მეცნიერების წინაშე: ეს გახლავთ დაფინანსების ახალ წყაროებსა და ახალ სტრუქტურებზე გადასვლა. იდეალში ბიუჯეტური სახსრების წილი მეცნიერების დაფინანსებაში ეტაპობრივად უნდა შემცირდეს და უნდა ამუშავდეს ახალი მექანიზმები. მათ შორის უმთავრესებია „გრანტების" (საკონკურსო) სისტემა, კერძო ფირმების ან სახელმწიფო სტრუქტურების შეკვეთები. სწორედ ასეთია მეცნიერების ძირითადი მარეგულირებელი სტიმულები განვითარებულ ქვეყნებში. მაგრამ დავუკვირდეთ, რა შედეგი მოჰყვება აკადემიური მეცნიერების მოუფიქრებელ, ვოლუნტარისტულ გადაყვანას დაფინანსების ახალ სისტემაზე შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური საფუძვლის გარეშე. გრანტების სისტემა ვერ იმუშავებს. გრანტის სახით არ იქნება [illegible] სოლიდური თანხა, ისიც, თავისუფლად კონ[illegible] ვალუტაში, რაც [illegible] ბელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფისათვის და რაც უტოპიურად მიმაჩნია ჯანსაღი სავალუტო სისტემის ჩამოყალიბების გარეშე. მეორეს მხრივ, ჯერჯერობით არც ისეთი მძლავრი კერძო ან სახელმწიფო უწყება-წარმოებებია შექმნილი საქართველოში, რომლებსაც ახალი ტექნოლოგიების განვითარება დააინტერესებდათ. ამის დრო როგორც ჩანს, ჯერჯერობით არ დამდგარა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფუნდამენტური მეცნიერების დაფინანსება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში საბიუჯეტო ხარჯებით ხორციელდება.

საუბრის გაგრძელება

ფუნდამენტური მეცნიერებისათვის ჟანგბადის მიწოდების გადახურვა ნიშნავს იმ სამკვიდროს ნგრევას, რომელშიც ქვეყნის ეკონომიკური, საწარმოო, სამხედრო სიმძლავრე უნდა აღმოცენებულიყო. მაშასადამე აკადემიის სისტემის (და უმაღლესი სკოლის) დაფინანსების რეფორმირება ქვეყნის ეკონომიკის მშენებლობასთან უნისონში უნდა მიმდინარეობდეს.

არანაკლებ აქტუალურია ეროვნული მეცნიერების საკადრო პოლიტიკის რეორგანიზაციაც. მაგრამ ამ შემთხვევაშიც დაფიქრებული და დასაბუთებული გეგმა უნდა შემუშავდეს, დაყრდნობილი სოციალური დაცვის ეფექტიან სისტემაზე, სწავლების ახალი პროგრამების შექმნაზე, ჩვენი უმაღლესი სკოლის დიპლომებისა და საკვალიფიკაციო ხარისხების საერთაშორისო ნოსტრიფიკაციაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვეყოლება უმუშევართა უზარმაზარი არმია, რომლის უმეტეს ნაწილს, ბუნებრივია, ახალგაზრდა, ჯერ კიდევ „დაუხარისხებელი" სპეციალისტები შეადგენენ. ეს კი უთუოდ უბიძგებს მათ ემიგრაციისაკენ, რასაც მოჰყვება ეროვნული მეცნიერების ფაქტობრივი სტერილიზაცია. მაშასადამე, აკადემიისათვის ფინანსირების შეწყვეტა რესპუბლიკის ეკონომიკურ პრობლემებს კი არ მოაგვარებს, არამედ უარესად დაამძიმებს ჩვენი მეცნიერების მდგომარეობას, შეაფერხებს მის განვითარებას.

მაშ რას გვთავაზობს ზემოხსენებული ინტერვიუს ავტორი? ჩასატარებელი რეფორმების ურთულესი გზის დასაწყისშივე დავტოვოთ ეროვნული მეცნიერება არაკოორდინირებული, მარეგულირებელი ორგანოს გარეშე, მოვახდინოთ მისი დეკაპიტაცია? ძალაუნებურად გვებადება კითხვა, თუ რა არის ამის მიზეზი? ის ხომ არა, რომ ბ. ლომსაძე მრავალჯერ ამაოდ ცდილა გამხდარიყო ივანე ჯავახიშვილის, ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუას, ივანე ბერიტაშვილის, ნიკო კეცხოველის, აკაკი შანიძის, დიმიტრი უზნაძის აკადემიის წევრი?

აკადემიის, როგორც მეცნიერებათა ინტეგრაციის, მრავალი დარგის ურთიერთქმედების მაკოორდინებელი სტრუქტურა მე დღევანდელ დღეს სავსებით მისაღებად და, უფრო მეტიც — პროგრესულად მიმაჩნია. დავუკვირდეთ, რა ტენდენციები ახასიათებს წამყვანი ქვეყნების სამეცნიერო სტრუქტურების განვითარებას თანამედროვე ეტაპზე: უპირველეს ყოვლისა, ეს არის ინტეგრაციული პროცესები, რაც აისახა დარგობრივი და მრავალდარგობრივი მარეგულირებელი სამეცნიერო კომისიების შექმნაში. დარწმუნებული ვარ, რომ ახლო მომავალში დასავლეთის ქვეყნებშიც მოხდება სამეცნიერო სისტემების ორგანიზაცია აკადემიის ანალოგიურ მაკოორდინირებელ სტრუქტურაში. სწორედ მისმა ეფექტიანობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის წამყვან სამეცნიერო რესპუბლიკებში, განსაკუთრებით კი საქართველოში, ფუნდამენტური მეცნიერების განვითარების ტემპები წინ უსწრებდნენ ბაზისის — ეკონომიკის მიღწევებს. რაც თავისთავად მეტყველებს ჩვენი მეცნიერების მძლავრ პოტენციალზე.

გაკვირვებას იწვევს ბ. ლომსაძის სრული გაუთვითცნობიერება საქართველოს სამეცნიერო ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორიც არის სამეცნიერო ატესტაცია. არავითარი „მცირე ვაკ-ი" საქართველოში არ არსებობს. [illegible] ხელშეწყობით შექმნილია და მეტად წარმატებით ფუნქციონირებს სწავლულ ექსპერტთა საბჭო, რომელიც ახდენს ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოების მუშაობის კოორდინაციას და მას არაფერი აქვს საერთო საკავშირო „ვაკ"-თან. სწორედ ამ საბჭოს დიდი დამსახურებაა გახლავთ ის, რომ საქართველოში სრულიად უმტკივნეულოდ მოხერხდა საკვალიფიკაციო თემების დაცვის გადასვლა „ვაკ"-ის სტრუქტურებიდან ადგილობრივ სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოებში, რომელთაც ხარისხის მინიჭების სრული უფლებები გადაეცათ. ამ საბჭოს არსებობა გარანტიაა იმისა, რომ შენარჩუნებული იქნება დაცული საკვალიფიკაციო თემების მაღალი სამეცნიერო დონე.

მეცნიერებათა აკადემიის ფუნქციური უპირატესობა, მეცნიერების ორგანიზაციის სხვა სტრუქტურებთან შედარებით, სწორედ მის კომპლექსურობაშია, რაც ნათლად ვლინდება საგარეო სამეცნიერო ურთიერთობებში. საჭიროა იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ დღესდღეობით ჩვენი ერთადერთი მყარი ვალუტა და საექსპორტო საქონელი — ჩვენი სამეცნიერო პროდუქტი და ინტელექტუალური მიღწევებია. ესაა ჩვენი ეროვნული განძიც და ქვეყნის განვითარების ფონდიც. ამიტომ მისი გამოყენება, მოხმარება უნდა მოხდეს საქართველოსთვის მაქსიმალური ეფექტიანობით, მაქსიმალური დივიდენდებით, რაც წარმოუდგენელია ერთიანი, მაკოორდინირებელი ორგანიზაციის გარეშე.

და ბოლოს, მინდა შევეხო კიდევ ერთ მორალურ-ეთიკურ ასპექტს. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ცრუ იდეალების მსხვრევისა და ემოციური აპათიის პირობებში, არსებობს ჯერ კიდევ რამდენიმე შეულახავი სიმაღლე. მათ შორის ერთ-ერთია ჩვენი სამეცნიერო ოლიმპი — ჩვენი ეროვნული მეცნიერებათა აკადემია. მისი როლი მეცნიერის, და, განსაკუთრებით, ახალგაზრდა მეცნიერის უმძიმესი შრომით აღსავსე ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანია, როგორც ტექნიკური დახმარების წყაროსა და ასევე მორალური საყრდენის. მისი მეშვეობით უფრო ნათლად წარმოჩინდება ჩვენი კოლექტიური შრომის ნაყოფი, უფრო თვალსაჩინოა მისი გამოყენების ხარისხი საქართველოს საკეთილდღეოდ.

ჰონორარი გადაირიცხოს საქართველოს თავდაცვის ფონდში.

რატომ ვეძებთ არარსებულ სეპარატიზმს?

ანუ რიგითი მკითხველის დაგვიანებული გამოხმაურება ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძის ერთ პუბლიკაციაზე

ამირან შეროზია,
სახალხო განათლების წარჩინებული.

ქალბატონო მარიამ! მე თქვენი თაყვანისმცემელი ვარ, ან რა უფლება მაქვს, პატივი არ მოგაგოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეს, დიდი ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეს და მისი საქმეების გამგრძელებელს. მართალია, ამ გამოხმაურების გამოგზავნა-პუბლიკაცია სხვადასხვა მიზეზის გამო დაგვიანდა, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა ითქვას: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

გულდასმით წავიკითხე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1992 წლის 12 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული თქვენი წერილი სათაურით „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ"... ცოტა არ იყოს, გამაკვირვა წერილის ტონმა და შინაარსმა. არ მეგონა, ასეთ გულსწრაფობას გამოიჩენდით თქვენ, დინჯი და ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებული დიდი მეცნიერი.

რატომ გამოიწვია თქვენში აღშფოთება ბატონი გიორგი გაჩეჩილაძის შეგონებამ იმის შესახებ, რომ „სამეგრელო არის საქართველოს და ქართული ცნობიერების ეთნიკურად ყველაზე შენახული რეზერვი. აქ შეურყვნელადაა გადარჩენილი უძველესი ქართული მითოლოგიისა და ქართული ენობრივი სტიქიის ძირძველი ფორმები". თუ ეს ასეა, და ამ კუთხეში მართლაც გადარჩენილია ქართული მითოლოგიისა და ენის ძირძველი ფორმები, რა არის ამაში საგანგაშო? ეს გულისწყრომას კი არა, სიხარულს უნდა იწვევდეს ყველა ქართველში. ხოლო თუ ეს მოსაზრება არ არის სწორი, მას დამტკიცება უნდა, და არა ჯოხის ქნევა.

ერთი კია, ტერმინი — „ენობრივი სტიქია" — არ ვიცი რას ნიშნავს, ისევე ბატონი გიორგის „დიალოგში" ზოგიერთი სხვა საკამათო აზრიც არის გატარებული მაგრამ მას უნდა დავეთანხმოთ იმაში, რომ სამეგრელოში მართლაც არის შემონახული ქართული მითოლოგიისა და ქართული ენის ძირძველი ფორმები, რომლებიც, სამწუხაროდ, ჩვენი დაუდევრობით ნელ-ნელა იკარგება.

ყველაზე გულდასაწყვეტი კი მაინც ის ფაქტია, რომ ზოგიერთი ჩვენი ვაი-ინტელიგენტი დღესაც ყოვლად უსაფუძვლოდ ქოთქოთებს ვითომცდა მეგრული სეპარატიზმის გამო (წერილს ძალიან გაგვიგრძელებს, თორემ, ჩვენდა საუბედუროდ, ამის დამადასტურებელ გამონათქვამს ბლომად დავასახელებდი).

მათ გასაგონად, სამეგრელოს რეგიონის საღად მოაზროვნე ადამიანთა სახელით, ვაცხადებ, რომ ე. წ. „მეგრული" სეპარატიზმი არასოდეს არ არსებობდა და არც იარსებებს!!!

ქალბატონო მარიამ, დავუბრუნდეთ თქვენს წერილს:

„ბატონი გიორგის პანეგერიკმა ბატონ შოთასაც დაამშვებინა შეცდომა — „განა კოლხეთი ყველა ქართველისა და მთელი საქართველოსთვის სულიერი დედობილი არ არისო? კითხულობს იგი. აქ, ალბათ, საუბარში დაშვებულ ლაფსუსთან გვაქვს საქმე, თორემ არც კოლხეთია დედობილი, არც კახეთი და თუშ-ფშავ-ხევსურეთი, არც რომელიმე სხვა კუთხე („ყველა ჩემი სამშობლოა"), ყველა ერთად დედაა. ეს, ცხადია, კარგად მოეხსენება პოეტს".

არაფერი ლაფსუსი არ არის, უბრალოდ თქვენ ცუდ ადგილას შეწყვიტეთ ციტირება, ქალბატონო მარიამ! ამის დასადასტურებლად შეუკვეცავად და დაუმახინჯებლად მომყავს ბატონ შოთა ნიშნიანიძის სიტყვები: „განა კოლხეთი ყველა ქართველისა და მთელი საქართველოსათვის სულიერი დედობილი არ არის? ქართული სახელმწიფოებრიობა და კულტურა ხომ კოლხეთიდან იღებს სათავეს?"

მართლაც, კოლხეთში სახელმწიფოებრიობის და კულტურის აკვანი 5 საუკუნით ადრე დაირწა, ვიდრე იბერიაში. ამიტომ, ეტყობა, ბატონი შოთა ისტორიული სინამდვილის „მსხვერპლი" გახდა, ფაქტებს ვერ გაექცევით.

ეტყობა, ამ ფაქტორმა და ქართველი ერის სიყვარულის ძალამ, და არა გამორჩეულად სამეგრელოს სიყვარულის ძალამ, ათქმევინა საყვარელ მგოსანს, კოლხეთი საქართველოს დედობილიაო. რა მოხდა? რა არის ამაში საგანგაშო და თავზარდამცემი?

ბატონი შოთა ნიშნიანიძე თანამედროვე ქართული პოეზიის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია, თანაც დიდი ქართველი, იგი XXI საუკუნის პოეტია. საუკუნეზე მეტია, რაც ვაჟა-ფშაველას პოეტურ გენიას ვეზიარეთ ქართველი მკითხველები, მაგრამ ის ბოლომდე მაინც არა გვაქვს გათავისებული. მის ეპოქალური მნიშვნელობის შედევრებს მომავალი თაობა უკეთესად გაიგებს, ზუსტად ასეთ პოეტად მესახება ბატონი შოთა ნიშნიანიძეც (უეჭველად ასეა, ეს — ა. შ.), იგი არასოდეს არ დაუშვებს ისეთ შეცდომას, რომელსაც თქვენ „საუბრებში დაშვებულ ლაფსუსად" თვლით.

შეიძლება ის ჩემი სათაყვანებელი უნივერსიტეტის კაბინეტებიდან არ ჩანდეს, მაგრამ, მერწმუნეთ, რაც სამეგრელოს რეგიონის ქართველებს ამ ბოლო ერთი წლის მანძილზე თავს უბედურება დაატყდა, თვითმხილველის გარდა სხვა ვერ წარმოიდგენს სრულად. ასეთ პირობებში ამ ბედისაგან დაწყევლილ კუთხეს და ტანჯულ ხალხს ვინმემ იქნებ გადაჭარბებულიც, მაგრამ საალერსო, გულისამკვეთებელი სიტყვა თუ უთხრა, რატომ თვლით ამ ფაქტს საგანგაშოდ? თანაც ამ კუთხის შვილები ისეთი მიამიტები არ ვართ, ზედმეტმა მოფერებამ თავგზა დაგვიბნიოს. რატომ თვლით ამას ცეცხლზე ნავთის დასხმად?

სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობა ტერორიზებულია. ქ. ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში თითქმის ყველაფერი, რაც დღემდე შეუქმნიათ, მიწასთან არის გასწორებული. ათასი ჯურის გარეწარი სისხლს გვიშრობს. დატაცებულია 2000-ზე მეტი მსუბუქი ავტომანქანა, დარბეულია ყველა საწარმო-დაწესებულება, აწიოკებულია ყველა ოჯახი, მოსახლეობას წაგლეჯს სარჩო-საბადებელი...

ის, რაც სამეგრელოში მოხდა, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, მძიმე ტრაგედია იყო ყველა ქართველისათვის. აღნიშნულ სამარცხვინო მოვლენას დროული რეაგირება სჭირდება. დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ.

სასიკეთო ძვრები კი დღემდე არ ჩანს. გაწამებული და დატანჯული ხალხი (ეს ბატონ ედუარდ შევარდნაძის სიტყვებია) შველას ითხოვს.

თვალსაზრისი

ხალხი ცოდვაა, მოსახლეობა შიმშილის ზღვარზეა. ოთხივე მხრიდან ბლოკირებულ ქალაქში ყოველდღიურად კატასტროფულად იზრდება პირველი მოთხოვნილების პროდუქტების ფასი. დიდია უმუშევართა რიცხვი. დათხოვნილია სამსახურიდან მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა. 70 პროცენტს არ გააჩნია პურის ფული. ქ. ზუგდიდის ქუჩები და ბაზარი გავსებულია სპეკულანტებით, მათი უმეტესობა ნაძარცვი ნივთებით ვაჭრობს...

როდემდის?!

დიდად პატივცემულო ქალბატონო მარიამ, კადნიერებაში და ზედმეტ სითამამეში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მეჩვენება, რომ თქვენ ჩრდილს აყენებთ დიდ ილიას. „უბრალოდ, სამეგრელოში ჩამოსულ ერის წინამძღვარს, — უთითებთ თქვენ, — გაუქრა უსაფუძვლო სკეფსისი და გახარებულმა თქვა „საქართველო ვნახეო"".

როგორ გვაქადრებთ, ზუგდიდში ჩამოსვლამდე ბრძენმა ილიამ არ იცოდა, რომ სამეგრელოში საქართველოს ნახავდა? ამიტომ უმართებულოდ მიმაჩნია მტკიცება, რომ სულმნათ ილიას გაუქრა უსაფუძვლო სკეფსისი სამეგრელოს ნახვით.

გავყვეთ თქვენს აზრს — „ამით მას იმის თქმა უნდოდა, რომ სამეგრელო ისეთივე საქართველო იყო, როგორც მისი სხვა კუთხეები. სხვათაშორის ილიასეული ნათქვამი ზოგი მეგრელის სავსებით სამართლიან უკმაყოფილებასაც იწვევს. მართლაც და, რა უნდა ენახა ილიას სამეგრელოში, თუ არა და საქართველო?" (ღმერთო ჩემო როგორ დავიჯერო რომ ამ სტრიქონების ავტორი მარიამ ლორთქიფანიძეა? — ა. შ.)

რომელი გონებაჩლუნგი და დამთხვეული მეგრელი ნახეთ, ქალბატონო მარიამ, ილიას ბრძნული გამონათქვამით განაწყენებული რომ ყოფილიყოს? ან რატომ თვლით ამ დამთხვეული მეგრელის უკმაყოფილებას სამართლიანად?!

ბრძენმა ილიამ სხვაზე უკეთესად იცოდა, რომ სამეგრელოში საქართველოს ნახავდა, მაგრამ ამის თქმა დასჭირდა რუსეთის ცარიზმის იმ მზაკვრული პოლიტიკის წინააღმდეგ ხმის ასამაღლებლად, რომლის პოლიტიკის ქვაკუთხედი იყო პრინციპი — „გათიშე და იბატონე". ამასთან ამორდიასთანა გადაგვარებული ნაძირალების ასალაგმავადაც. სწორედ ამიტომ ჩამოიყვანა დიდი ილია ზუგდიდში იონა მეუნარგიამ. ილიას ყოველ სიტყვას მაგიური ძალა ჰქონდა. ილიამ მიზანს ზუსტად მოახვედრა, ამიტომაც ეკუთვნის მას ქართველი ერისაგან ქება-დიდება.

დაბოლოს, მოვუსმინოთ დიდ ილიას. მან ბრწყინვალედ იცოდა სად, როდის და რა ფორმებში, რა ვითარებაში, ვისთვის რა უნდა ეთქვა!

ერთი დეტალიც!

ქალბატონო მარიამ, თქვენთან ერთად საპოლემიკო წერილს „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ"... ხელს აწერს ვინმე ჯუმბერ ოდიშელი. ასეთი გვარისა და სახელის მქონე პიროვნებას ზუგდიდის ინტელიგენცია არ იცნობს. თუ იგი თავის ვინაობას უმალავს გაზეთის მკითხველებს, საინტერესოა რატომ?

ქართველები უძველესი ქრისტიანული სარწმუნოების მქონე ერი ვართ. 1656 წელია ვეზიარეთ ქრისტიანულ რელიგიას. ამიტომ გვმართებს მისდამი პატივისცემა. თუ ეს ასეა, უნდა მოვერიდოთ ღვთის წყრომას.... შეჩერდით! ასე არ შეიძლება, ღმერთი არ გვიკანონებთ.

ქალბატონო მარიამ, გულზე ხელი დაიდეთ და გვიბრძანეთ,— 47 წლის ასაკში ძალდატანებით ხომ არ შეგიყვანეს სკკპ რიგებში? ან უარი ხომ არ გითქვამთ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მიღებაზე? იცით, ამას რატომ გეკითხებით? როგორ ფიქრობთ, [illegible] ნაკომუნისტარი ბრძანდებით, ღირსეულ და გონიერ ადამიანად არ ითვლებით? ასეთ, ჩემთვის უხერხულ, შეკითხვას იმიტომ გისვამთ, რომ რიგით. ე. ი. პატიოსან კომუნისტებს აიგივებთ ქვეყნის დამქცევ კორუმპირებულ კომუნისტებთან.

საბჭოთა ადამიანის მორალურ-ზნეობრივ სახეს რომ წარმოვსახავთ, ნუ დავივიწყებთ, რომ იქ ყველა შევდიოდართ. ყველანი ცოდვილი ვართ. სინდისის წინაშე თანაბრად ვაგებთ პასუხს. ამიტომ უნდა ვერიდოთ კატეგორიულ მტკიცებებს.

დღეს, როდესაც საქართველო გახლეჩილია მტრების მიერ ინსპირირებულ ძმათამკვლელი ომის ქარცეცხლში, მეტი ზომიერება და შორსმჭვრეტელობა გვმართებს. ყველას გვაკისრია ჩვენი ფუნქცია და მოვალეობა. ქართველი ერის სატკივარი ყველა ჩვენგანის სატკივარი უნდა იყოს. ჩვენ ქრისტიანები ვართ, ამიტომ მიმტევებლები უნდა ვიყოთ. ამბიციებსა და ღვარძლს არ უნდა აჰყვეთ, შეცდომების გამოჩენაში არ უნდა დავუდარაჯდეთ ერთმანეთს. საშინელი ძმათამკვლელი ომი რომ არა, ბედნიერი და ნანატრი დრო დაუდგა მრავალტანჯულ საქართველოს: გვაქვს დამოუკიდებელი სახელმწიფო, ვაშენებთ თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოს. დღევანდელი ჩვენი ერთიანობა, ერთ მუშტად შეკვრა საწინდარია ჩვენი ხვალინდელი ბედნიერი ცხოვრებისა...

ქალბატონო მარიამ, ღირსეულო მეცნიერო და სახელოვანო მამულიშვილო! უდიდესი სურვილი გვაქვს, გვეწვიოთ ზუგდიდში, განახებთ გადამწვარ ქალაქს, ჩამქრალ [illegible] აოხრებულ სოფლებს. ზუგდიდის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში წაგვიკითხებთ ლექციას სისხლით და ხორცით ნათესავ ქართველ ტომთა შეკავშირების, შერწყმის, კონსოლიდაციის, ერთ ხალხად, ერთ ერად ჩამოყალიბების შესახებ და თავადაც დარწმუნდებით, რომ ქუჯისა და ცოტნეს კუთხის ქართველები არავის ტოლს არ უდებენ საფიცარი სამშობლოს — საქართველოს სიყვარულში.

ქ. ზუგდიდი.

იყიდება თვითმფრინავი... პილოტთან ერთად

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტიკური მიმომხილველი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მრავალი პრობლემა აღმოცენდა, რომელთა გადაჭრაც ისეთივე ძალისხმევას დასჭირდება, როგორც ბირთვული იარაღის შემცირებას.

რა სახის პრობლემებია და არის თუ არა მათი გადაჭრის შესაძლებლობა?

საყურადღებოა ორი საკითხი, რომლებიც პირდაპირ თუ გადატანითი მნიშვნელობით, ბირთვულ იარაღთან არის დაკავშირებული. პირველია, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ბირთვული იარაღის შექმნასთან დაკავშირებული სპეციალისტებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის საზღვარგარეთ გადინება; მეორე — ახლადგაჩენილი ბირთვული სახელმწიფოების დამოუკიდებლობა მასობრივი განადგურების იარაღთან (მხედველობაში მაქვს უკრაინა).

დასავლეთის პრესაში ხშირად შეიძლება წაიკითხოთ ასეთი განცხადებები: „იყიდება „72 მიგ-21“ თვითმფრინავი პილოტებთან და სათადარიგო ნაწილებთან ერთად. თვითმფრინავები კარგ მდგომარეობაშია. უფრო დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ ასა და ამ პიროვნებას“.

ასეთი განცხადება რომ რამდენიმე წლის წინ წაეკითხათ დასავლეთის სადაზვერვო სამსახურებს, უთუოდ განგაშს ატეხდნენ საბჭოეთის მხრივ სპეციალურად დაგეგმილი დეზინფორმაციისათვის, მაგრამ დღეს ეს იმდენად ჩვეულებრივი ამბავია, რომ ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დემორალიზებულმა სამხედროებმა არ იციან, მიიღებენ თუ არა ხელფასს. ეცემა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, რასაც მაღალი რანგის სპეციალისტების სამუშაოდან დათხოვნა მოსდევს. რუსი ეკონომისტის ვასილ ხლოპუნინის მიხედვით, მანქანათმშენებლობაში მომუშავე 7 მილიონი ადამიანიდან 95 პროცენტი იარაღს აწარმოებდა. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში წარმოების შემცირებამ, რუსული იარაღის ექსპორტიც შეამცირა. ადრე საბჭოთა კავშირის დოლარების შემოსავალი გარკვეულწილად იარაღის გაყიდვაზეც მოდიოდა. ამ დარგში ის ტოლს არ უდებდა აშშ-ს, დღეს კი რუსეთი აშშ-თან შედარებით 15-ჯერ ნაკლები მოცულობის იარაღს ყიდის უცხოეთში.

სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წარმოების შენელება 800.000 მუშა-მოსამსახურეს შეეხო, მათ შორის — 200.000 ინჟინერს; ისინი უმუშევართა რიგებს შეუერთდნენ. საბჭოთა კავშირში ბირთვული იარაღის დარგში 2000-3000 მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერი მუშაობდა. ისინი ძირეულად იყვნენ გათვითცნობიერებული ბირთვული იარაღის წარმოების ყველა პროცესში. ნაკლებად ცნობილ 20.000 ინჟინერს კი შეუძლია ბირთვული იარაღის შექმნაში განსაკუთრებული წვლილის შეტანა იმ ლაბორატორიებში, სადაც დაწყებულია ბირთვული იარაღის წარმოება. უმუშევრობას, რაც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სისტემაში ჩავარდნების შედეგია, ყოფილი საბჭოთა ბირთვული დარგის სპეციალისტების საზღვარგარეთ გამგზავრება მოჰყვა, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა ბირთვული შეიარაღების კონტროლს.

ერაყთან ომის დასრულებისთანავე აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მაშინდელმა უფროსმა რობერტ გეიტსმა სენატში გამოსვლის დროს განგაში ატეხა ერთ მილიონამდე საბჭოთა ბირთვული სპეციალისტის საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით. მას შემდეგ გარკვეული დრო გავიდა. ამერიკის სადაზვერვო სამსახურის მონაცემებით, რუსი სპეციალისტები წარმატებით მუშაობენ იმ ქვეყნებში, რომლებიც სულ მალე შექმნიან ბირთვულ იარაღს. თეირანში 50 ყოფილი საბჭოთა სპეციალისტია, თითოეულ მათგანს 5.000 დოლარს უხდიან თვეში. ლიბიაში შეძლეს მოსკოვის კურჩატოვის სახელობის ინსტიტუტის სპეციალისტების დაქირავება. უკრაინიდან წასული მეცნიერები ალჟირს ეხმარებიან ბირთვული ელექტროსადგურის აგებაში. სამხრეთ კორეა სისტემატურად იძენს რუსულ ტექნიკურ დოკუმენტაციას კოსმოსურ კომპოზიციურ მასალებთან დაკავშირებით.

შარშან აშშ-მა, იაპონიამ და ევროპის სახელმწიფოებმა შექმნეს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის საერთაშორისო ცენტრი, რომლის მთავარი მიზანი იყო ბირთვული იარაღის რუსი სპეციალისტებისათვის ადგილზე მუშაობის საშუალების მიცემა და სამხედრო მრეწველობის კონვერსიისათვის ხელის შეწყობა. მაგრამ ამას ხელი შეუშალა იმან, რომ დიდმა სახელმწიფოებმა დაიწყეს ასეთი სპეციალისტების გადაბირება. საზღვარგარეთის ათობით დელეგაციამ იმოგზაურა მოსკოვში, კიევსა და როსტოვში ცნობილი მეცნიერების მოხიბვლის მიზნით. ისეთი ვითარება შეიქმნა, როგორიც იყო მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გერმანიაში. მაშინ აშშ, საბჭოთა კავშირი, ინგლისი და საფრანგეთი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თუ ვინ მოახერხებდა „ფაუ-1“ და „ფაუ-2“-ის შემქმნელი ფონ ბრაუნის გუნდის წევრების გადაბირებას.

1981 წელს ამერიკელი დიპლომატი და მეცნიერი ჯორჯ კენანი წერდა: „ბირთვული იარაღის დაგროვება, რომელიც მიზნის მისაღწევად იყო საჭირო, თვითმიზნად იქცა. ვხედავ, თუ როგორ მოქმედებს ბირთვული იარაღი ადამიანებზე, მათ ომისაკენ „უბიძგებს“.

საით მიდის მსოფლიო?

„ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ, როდესაც საკითხი ბირთვულ მეტოქეობას ეხება, ისმის კითხვა — პოლიტიკური მიზნები განსხვავდება თუ არა მოქმედებისგან? ამერიკელი სადაზვერვო სამსახურის სპეციალისტები შეშფოთებას გამოთქვამენ, რომ რუსეთმა არ განახორციელოს გამაფრთხილებელი ბირთვული დარტყმა. უკრაინის ტერიტორიაზე განლაგებულ ბირთვულ რაკეტებზე ასეთ დარტყმას დააჩქარებს უკრაინის მოქმედება, თუკი ის შეძლებს საკუთარი ოპერატიული მაკონტროლებელი სისტემის შექმნას, რომლის მეშვეობითაც მას შეეძლება თავის ტერიტორიაზე არსებული ბირთვული რაკეტების დამოუკიდებლად გასროლა. ოფიციალური კიევის განმარტებით, უკრაინას სურს ასეთი სისტემის შექმნა, რომელიც რუსეთს არ მისცემს საშუალებას აამოქმედოს უკრაინაში განლაგებული ბირთვული რაკეტები. უკრაინამ მიმართა აშშ-ს თავის თავზე აეღო უკრაინის უსაფრთხოებისთვის საჭირო გარანტიები. ამის განხორციელების შემთხვევაში უკრაინა მზად იყო ხელი აეღო მის ტერიტორიაზე არსებულ ბირთვულ იარაღზე. ვაშინგტონმა ამ წინადადებას უარით უპასუხა, ვინაიდან უკრაინისთვის მხარდაჭერა რუსეთს გააღიზიანებდა.

უკრაინისათვის უსაფრთხოების გარანტიების მიცემაზე უარის თქმა ერთობ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ამერიკას, ვინაიდან მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ აშშ აცხადებს, რომ ბირთვული იარაღი დიდად ეფექტიანია მშვიდობის შენარჩუნებისთვის. თუკი ბირთვული იარაღი ეფექტიანი იყო ოკეანის გადაღმა მდებარე ამერიკის უსაფრთხოებისთვის, რატომ არ შეიძლება ის ეფექტიანი იყოს რუსეთის მეზობელი უკრაინის უსაფრთხოებისათვის?!

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთსა და უკრაინას შორის სერიოზული პოლიტიკური აზრთა სხვადასხვაობაა, ეს არ შეიძლება იყოს ბირთვული ომის წამოწყების საბაბი. უნდა ითქვას, რომ ომის იდეა თვით იარაღიდან მოდის. ჯორჯ კენანის აზრით, ბირთვულ იარაღს საკუთარი ლოგიკა გააჩნია და, სამწუხაროდ, რუსეთ-უკრაინა ამ ლოგიკის გავლენის ქვეშ არიან მოქცეულნი.

აშშ-ის სადაზვერვო სამსახურმა ამას წინათ გაავრცელა ინფორმაცია, რომ უკრაინელები მალულად აწარმოებენ მათ ტერიტორიაზე ისტორიული შემთხვევითობით დარჩენილი ბირთვული რაკეტების გაშვების კოდების ამოცნობის სამუშაოებს. იქ დარჩენილი ბირთვული იარაღის გაშვების შესაძლებლობა დღეს მხოლოდ რუსეთს, კერძოდ, პრეზიდენტ ბორის ელცინსა და მაღალი რანგის სამხედრო ხელმძღვანელობას გააჩნიათ. უკრაინას უფრო მეტი ბირთვული იარაღი აქვს, ვიდრე ერთად აღებულს ინგლის-საფრანგეთს. ჯერჯერობით უკრაინის ტერიტორიაზე განლაგებულ ბირთვულ იარაღს კონტროლს მოსკოვი უწევს, ისე, როგორც გერმანიაში განლაგებულ ამერიკულ ბირთვულ იარაღს — ვაშინგტონი.

ამერიკის სადაზვერვო სამსახურის მონაცემებით, უკრაინა ცდილობს შექმნას ბირთვული იარაღის კონტროლის საკუთარი სისტემა, რომელიც გამორიცხავს არასანქცირებულ გასროლას და კიევს საშუალებას მისცემს, მაშინ გაისროლოს ბირთვული რაკეტა, როცა დასჭირდება. მაგრამ ამის განხორციელებამდე მას დასჭირდება რაკეტების გაშვების რუსული კოდების ამოცნობა, რაც არცთუ იოლი საქმეა, ვინაიდან რუსული სისტემა ერთ-ერთი ურთულესი სისტემაა მსოფლიოში.

უკრაინის პარლამენტის განცხადება, რომ უკრაინის ტერიტორიაზე არსებული ბირთვული იარაღი მისი საკუთრებაა, ერთობ აშფოთებს დასავლეთს. უკრაინის ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით, სერიოზული სჯა-ბაასი გაიმართა „დიდი შვიდეულის“ ტოკიოს შეხვედრაზე. შვიდეულმა უკრაინას მოუწოდა შეუერთდეს უბირთვო ქვეყნების რიგს. მაგრამ თუ რას მოიმოქმედებს უკრაინა, ჯერ გაურკვეველია. ისე კი, უკრაინელ პოლიტიკოსებს მტკიცე ნუკლეარული პოზიცია უჭირავთ, რაზეც ცნობილი უკრაინელი პოლიტიკოსის დ. პავლიჩკოს განცხადებაც მეტყველებს: „დარწმუნებული ვარ, ჩვენ გვყავს ისეთი ექსპერტები, რომლებიც შეძლებენ ბირთვული რაკეტების კოდების ამოცნობას. ჩვენ არ გვინდა ვინმეს დავუმიზნოთ ბირთვული რაკეტები და ცხადია არც რუსეთს ავიღებთ მიზანში, მაგრამ მსოფლიომ უნდა იცოდეს, რომ უკრაინა არცთუ პატარა ქვეყანაა და მას ისე არ უნდა ექცეოდნენ, როგორც ბავშვს. ჩვენ არ გვინდა გამოვიყენოთ ბირთვული იარაღი, მაგრამ ის უნდა გახდეს ჩვენი მშვიდობის გარანტი“.

ივნისის ბოლოს ამერიკის კონგრესის სენატის ევროპის საკითხების ქვეკომიტეტმა განიხილა ამერიკა-უკრაინის ურთიერთობების საკითხები. სენატის საგარეო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარემ კ. პელმა აღნიშნა, რომ დამოუკიდებლობასთან ერთად მოდის საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების აუცილებლობაც. აქედან გამომდინარე, უკრაინამ უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, მისმა პარლამენტმა რატიფიკაცია უნდა გაუკეთოს სტრატეგიული ბირთვული იარაღის შემცირების ხელშეკრულებას და შეუერთდეს უბირთვო სახელმწიფოებს.

თუ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს უკრაინა, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

რეპორტაჟი ომიდან
შეჩერებული კადრები

ალეკო ასლანიშვილი

ხუმრობა

ხუთი ბორტიტველა ჯარისკაცი კალასურთან პლაჟზე ჩაცვივდა. დასიცხულები ფაციფუცით იხდიან და კიცილით იჭაჭებიან.

ერთი უფრო დინჯად ირჯება, თან გულსგარეთ ბუზღუნებს:

— თქვენთვის ტყვიას ვეფარები და ეგრე როგორ გამიმეტეთ, თქვე სახეძაღლებო, ჩაიში მარილი როგორ ჩამიყარეთ, კაცოო!

ამხანაგები ფეხებში ხელს ავლებენ და ზღვაში მიათრევენ.

„თავს არ მოიკლავს ქართველი, არა“...

კინდღის მიდამოებში, დესანტთან შეჯახებისას გორის ბატალიონმა მძიმე ბრძოლა გადაიხადა. ნოდარ კოდალაძე ნაღმს გადააწყდა. აფეთქებამ ტერფი მოგლიჯა, მეორე ფეხი კი გადაუმტვრია.

— ბიჭებო, შინ ამბავი ჩაიტანეთ, კაცურად მოკვდა-თქო, — ჩახლეჩილი ხმით უთხრა გვერდით ჩაჩოქილ ამხანაგებს, მერე ავტომატის ლულა საფეთქელთან მიიდო და ხელი არ აუკანკალებია, ისე გამოჰკრა ჩახმახს.

სინდისის გენერალი

მაისში, როცა პირველად შევხვდი და მასზე დავწერე, სოხუმის უშიშარ დამცველს, მეორე საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის მეთაურს გენერალ-მაიორ გენო ადამიას „გენერალი გენო ბიძია“ ვუწოდე, იმისდა კვალობაზე,, როგორც ხანდახან ჭაბუკი მებრძოლები მიმართავენ ხოლმე ძველი ჩვეულებისამებრ. ამჯერად, ბრიგადის მეთაურის პირველმა მოადგილემ ვიცე-პოლკოვნიკმა სპარტაკ მარხულიამ მითხრა: — გენო ადამია არ არის პროფესიონალი გენერალი, იგი სინდისის გენერალია!

კარგად არის ნათქვამი!



ამას წინათ, სოფელ შრომასთან, შეტევისას მებრძოლები შეკრთნენ, წინ წასვლა საშიშია. გენერალმა მარტომ გააგრძელა გზა და ბიჭებს გადასძახა: — თუ მომკლეს, ალბათ, ისინდისებთ და გამომიტანთ, თუ ცოცხალი დავბრუნდი, თვითონ გიამბობთ, საშიში იყო თუ არა!

მებრძოლებმა სირბილით გადაუსწრეს.

მარინა

ეს გალეული გოგო, — მარინა ივანოვა მოსკოველია, სოხუმში ამ ხუთი თვის წინათ ჩამოვიდა დაღუპული მეგობარი ჭაბუკის დაკრძალვაზე. ჩამოვიდა და უკან არ დაბრუნდა — დარჩა. მოწყალების დაი! ერთხანს სამხედრო პოლიციაში იყო, ბოლოს სადაზვერვო ბატალიონში ჩარიცხეს. პირველ ივლისს, ოჩამჩირეში ჩავიდა საქმეზე და ტამიშთან გადმომსხდარ დესანტს ვერ გამოაღწია. ბევრი არ უფიქრია, მხედრიონელებს მიადგა. ამ ბრძოლების ჭირი და ლხინი მათთან ერთად გაიყო.

ბიჭები, რაც შეეძლოთ, ტყვიის წვიმას არიდებდნენ — სად ეშმაკებში მიძვრები, მოეფარე, იქ გამოიყვანთ დაჭრილებსო. ბრძოლები დამთავრდა და კრუხივით დასტრიალებს ბიჭებს, — მათი „კვების დირექტორი“ გახდა. ომში გამკაცრებული მეომრები გია სისაური, ბესო ჭანტურიშვილი, ვიქტორ კერვალიშვილი, ლევან ჭავჭავაძე, თენგიზ ბოკერია და სხვები, თვალში რომ ჩაუვარდეთ, ხელს არ ამოისვამენ. ასწავლეს, და ახლა დაუსრულებლად ღიღინებს განსაკუთრებით დამახსოვრებულ სიმღერას: „რატომ გამირბიხარ, რატომ მემალები, რატომ გამიტეტრე, კარგო, ტმა...“.

პასტორალი

მაგნოლიის ქვეშ, ჩრდილს შეფარებული დაქანცული ჯარისკაცი მიგდებულა და სძინავს. მკერდზე ბუთქუნა ლეკვი აწევს, პაწია ტორებში დრუნჩი ჩაურგავს და ისიც თვლემს. გზაზე ტანკმა გაიგრუხუნა. ლეკვი წამოიწია, ძილით გაბეცებული თვალები დააჭყიტა, უყურა, უყურა და ისევ ჩაქინდრა თავი. ჯარისკაცი არც განძრეულა.

ძმები

მხედრიონელი ტყუპი ძმები ბესო და ბექარ მაზიაშვილები 17-წლისანები არიან. ჯერ ისევ ჰყინტ ბიჭებს სახეზე გადატანილი ბრძოლის ბეჭედი აზით — არავისთვის ტოლი არ დაუდვიათ.

— ოჯახში იციან, აქ რომ ხართ?

— იციან!

— როგორ შეგელიენ?

— უფროსი ძმა მამუკა გაგვადევნეს დასაბრუნებლად.

— მერე?

— ჩამოვიდა და ისიც დარჩა..

მეტი არაფერი თქმულა...

პირველი საარმიო კორპუსის პირველი ბრიგადის სატრანსპორტო სამსახურის უფროსი გიორგი კაკიაშვილი წინა ხაზიდან ეს-ესაა დაბრუნებულ, ჭურვის ნამსხვრევებისგან დაცხავებულ მანქანას ათვალიერებს და უკმაყოფილოდ აქნევს თავს. თან მძღოლს ნუკრი ტატუნაშვილს უსმენს:

— ჩვენს პოზიციებს როგორც კი მივუახლოვდი, დამცხეს. იმის ჯავრი მკლავდა, ბიჭები უტყვიაწამლოდ არ დარჩენილიყვნენ.

— გვარიანი შესაკეთებელია!

— ჰო, გაგვაწვალებს.

მეტი არაფერი თქმულა...

ჯიუტი

პირველი საარმიო კორპუსის პირველი ბრიგადის შტაბის უფროსს ირაკლი გაბრიელაშვილს თავდაბინდული, თვალებამოღამებული ჯარისკაცი დასდგომია და ხვრხავს:

— ნაწილში დამაბრუნე!

— გაიგე, კაცო, კონტუზირებული ხარ, უნდა იმკურნალო.

— რის კონტუზია, რა კონტუზია, ჩამოხლეჩილი ტოტი დამეცა.

— ჰოდა, კონტუზირებული ხარ. ეგეი, ექიმიც ამას ამბობს.

— ექიმმა რა, ჩემზე უკეთესად იცის?!

მოდი და დაიჯერე!

ინფორმაცია ზუგდიდიდან

მთავარია ფქვილი იყოს

თითქმის ორი თვე არ ცხვებოდა პური ზუგდიდში, რამაც ქალაქის მოსახლეობის სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია. მართალია, ამის მიზეზი ბევრი რამ იყო, მაგრამ, უმთავრესი მაინც პურის ფქვილის უქონლობა გახლდათ.

როგორც იქნა ფქვილის პრობლემას ეშველა. ქალაქის პურის საცხობებმა უკვე დაიწყეს მუშაობა და მოსახლეობას სიის მიხედვით ყოველდღიურად ეძლევა 400-400 გრამი პური.

ზუგდიდის პურკომბინატის დირექტორმა ლევან ბიჭვაიამ ჩვენთან საუბარში განაცხადა: ახლა გამართულად მუშაობს სათაო ქარხანა, რომელიც დღეღამეში 21 ათას ცალ რვაასგრამიან პურს და 1500 ცალ ქართულ პურს უშვებს. აგრეთვე უწყვეტად მუშაობს ინგირქალაქკომბინატის პურის საცხობი, სადაც ყოველდღიურად 3,5 ტონა პური ცხვება, რაც იმ რეგიონის მოსახლეობას ასე თუ ისე, აკმაყოფილებს.

შეიძლება ითქვას, რომ პურით უზრუნველყოფილი არიან ქალაქის საბიუჯეტო ორგანიზაციები, რომლებსაც დღეში 800 კილოგრამი პური ეძლევათ. დაახლოებით ერთ ტონამდე პური ზუგდიდის გვარდიელებისთვის არის განკუთვნილი. აღსანიშნავია, რომ ახლა, ამ ძნელბედობის ჟამს ყოველდღიურად აფხაზეთში იგზავნება ერთ ტონაზე მეტი პური.

რა თქმა უნდა, საწვავის დეფიციტის გამო გვიჭირს, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ვახერხებთ, პურის სავაჭრო ობიექტებში მიტანას. ქალაქში კი პურით 85 ობიექტი ვაჭრობს.

შეძლებისდაგვარად სათანადო ყურადღება ექცევა პურის ხარისხსაც, მაგრამ ყველაფერი, მაინც ფქვილის ხარისხზეა დამოკიდებული. დასამალი არ არის, რომ ხშირად, დაბალი ხარისხის ფქვილს გვიგზავნიან.... ამჟამად წისქვილკომბინატიდან მხოლოდ პირველი ხარისხის ფქვილს ვღებულობთ და ბუნებრივია, რომ ჩვენთან პირველი ხარისხის პური ცხვება, რომლის ერთი კილოგრამის სარეალიზაციო ფასი 60 კუპონია.

რაც შეეხება ფქვილის მარაგს, კომბინატს თავის საწყობში, როგორც წესი, მხოლოდ ორი დღის მარაგი გააჩნია, მთავარია ფქვილი იყოს წისქვილკომბინატში და ჩვენი მეპურეები ზუგდიდელებს პურს არ მოაკლებენ.

ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობამ გაითვალისწინა მოსახლეობის პურით მომარაგებაში არსებული საგანგაშო ნაკლოვანებანი და შექმნა სპეციალური შტაბი, რომელიც უხელმძღვანელებს და გააკონტროლებს წისქვილკომბინატში ხორბლის შემოტანის, მისი დაფქვის და დანიშნულებისამებრ ფქვილის პურის საცხობებში მიტანის ოპერაციებს. ამასთან, გამოინახა ახალი კომერციული გზები, რომლითაც შემოვა ხორბალი და შეიქმნება ფქვილის გარკვეული მარაგიც. ასე, რომ, ყველა პირობა იქმნება ზუგდიდის მთელი მოსახლეობის პურით უზრუნველყოფისათვის.

ოდიკ ქუხილავა,
„სრ“ საკუთარი კორესპონდენტი.

მარადი ანასაშვილი

400 მამაკაცი და ერთი ქალი

„გაკოს“ ლაინერებს ელოდება ცა

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს საუბრებში ხშირად გაიგონებთ ტერმინს „საქმიანი ქალი“, ჩვენში მაინც ერთგვარი ეჭვით „უყურებენ“ დიდ ბიზნესში ჩაბმულ ქალებს.

ქალბატონ ლაურა ლაჭავას ნებისმიერი სიძნელის გადალახვის უნარი განგებამ დაჰბედა და, ალბათ, ამიტომაც შეძლო თითქმის შეუძლებელი — აეროპორტების საერთაშორისო ასოციაციის წევრი გახდა მისი ფირმა „მთაწმინდა“.

ამ ქალბატონმა დიდი სულიერი, გონებრივი და ფიზიკური ენერგიის ხარჯზე მიაღწია ყოველივეს.

მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკს, ჩვენს ფუნიკულიორს, როგორც რუსთაველს, დეკემბერ-იანვრის დღეებში მძიმე ჟამი ედგა. სატელევიზიო ანძის დაცვის დროს დაინგრა და განადგურდა ყველაფერი. ომს რაც გადაურჩა ჩვენმა თანამემამულეებმა გაძარცვეს და გაიტაცეს, საბავშვო ატრაქციონებიდან, პლანეტარიუმიდან წაიღეს, თუკი სადმე სპილენძი და სხვა ლითონი იყო, დიდ მაცივრებს ძრავები გამოაცალეს, ჩონჩხებიღა დატოვეს.

რა ექნა, რა გზას დასდგომოდა?

ყველაფერს აღდგენა-განახლება სჭირდებოდა, ჟამრავ თანამშრომელს — ხელფასი. მთავრობას სათანადო სახსრები არ ჰქონდა, როგორმე უნდა ეშველათ ხალხისათვის. სწორედ ამან განაპირობა კულტურისა და დასვენების სახელმწიფო კომერციული ფირმა „მთაწმინდის“ შექმნა, რომლის დირექტორიც არის ქალბატონი ლაურა და რომლის სამოქმედო არეალი ამჟამად პარკის საზღვრებს დიდად გასცდა და საკმაო მასშტაბურობა შეიძინა.

ბრიუსელში ფუნქციონირებს აეროპორტების საერთაშორისო გენერალური ანსამბლეა „ასი — ევროპა“. ქალბატონმა ლაურამ იმდენი ქნა, რომ ჯერ სამოქალაქო საერთაშორისო ავიაციის ასოციაცია „აეროპორტის“ წევრი გახადა „მთაწმინდა“, ხოლო ევროპის აეროპორტების საერთაშორისო ასოციაციის პირველ კონფერენციაზე, რომელიც წლეულს მოსკოვში გაიმართა, მის წევრადაც აარჩევინა.

„ასი — ევროპაში“ 400 სხვადასხვა ფირმა და ავიაკომპანიაა გაერთიანებული და ფრიად ნიშანდობლივია, რომ მასში შემავალი ფირმის დირექტორებიდან ქალი ერთადერთია — ლაურა ლაჭავა.

მაგრამ გამონაკლისად ყოფნა არაფრით შეღავათს არ ნიშნავს, პირიქით, მიგიღეს როგორც თანასწორი და მოგთხოვენ როგორც თანასწორს. და პირველი, რასაც მოგთხოვენ საწევრო შესატანია. საქართველოს არ ჰქონდა ვალუტა, სად ეშოვა? მიაკითხა ფირმა „სტელერის“ ვიცეპრემიერს მურმან ომანიძეს და მანაც დაუმადლებლად გადაურიცხა საჭირო თანხა ბრიუსელში. მიწვევაც მიიღო და მალტაში გაემგზავრა, სადაც ავიაციის გენერალური კონფერენცია მიმდინარეობდა. ამ კონფერენციაზე სპეციალურად დაისვა ფირმა „მთაწმინდისათვის“ დახმარების გაწევის საკითხი.

ასეთია წესი — პირველ რიგში ყველაზე გაჭირვებულს ეხმარებიან. მაგრამ ევრობანკიდან კრედიტის გამოტანის უფლება „მთაწმინდას“ არ ჰქონდა, მაშინ მმართველი დაუდგა გარანტად მსოფლიო ბანკიდან სესხის გამოსატანად.

ამჯერად დიდი ბრიტანეთის ფირმა „სტელერი“ დაეხმარა ქართულ ფირმას.

— ეს გვაძლევდა საშუალებას, რომ „მთაწმინდას“ საკუთარი ავიაკომპანია „გაკო“ შეექმნა, — ამბობს ქალბატონი ლაურა.

ავიაკომპანია შეიქმნა, მაგრამ ჯერ „ქაღალდზე“, რადგან თვითმფრინავები ჯერ ისევ შესაძენი იყო. რა ფულით? მაშინ ბატონებს დემურ დვალიშვილსა და შალვა ფიჩხაძეს მიმართა ლაურა ლაჭავამ და ეროვნულმა ბანკმა ხუთი მილიარდი მანეთი სესხი გამოუყო. ოღონდ საქართველოს რაიმე შეემატოსო.

მაგრამ... აქ გამოვტოვოთ დეტალები მოსკოვში ფულის გადარიცხვასთან დაკავშირებული, რადგან ფული მხოლოდ ქაღალდზე დარჩა და პირდაპირ შედეგზე ვთქვათ: ორი „ტუ-154“ M დგას და ელოდება საქართველოს ცაში აფრენას. ეს კი სანქტ-პეტერბურგში ჩვენი წარმომადგენლის ქალბატონ ელია სიხარულიძის დამსახურებაა.

რაში წაადგება ჩვენს გაჭირვებულ ყოფას ის კომპანია?

აეროპორტის ასოციაციის საერთაშორისო საბჭო თანამშრომლობს სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციასთან, საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციასა და სხვა ორგანიზაციებთან. მისი მიზანია ყველა იმ ფირმას, ვინც კი საჰაერო ტრანსპორტით არის დაკავებული, ხელი შეუწყოს საჰაერო ტრანსპორტის განვითარებაში, მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესებასა და ტვირთის გადაზიდვაში.

იმისათვის, რომ გაიგოთ, თუ რა დიდ და საჭირო საქმეს აკეთებს და რა პრესტიჟულია ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობა, მარტო იმ კომიტეტების ჩამოთვლაც იკმარებდა, რომლებიც იქ მუშაობენ. ესენია: კომუნიკაციების, ეკონომიკის, გარემოს დაცვის საკითხთა, ევროპული სტრატეგიის, უშიშროებისა და დახმარებების, ხალხთა რესურსების, იურიდიულ საკითხთა, მარკეტინგის და კომერციული სტრატეგიის, ტექნიკისა და შრომის დაცვის კომიტეტები. რომ აღარაფერი ვთქვათ საინფორმაციო გაცვლაზე, ახალ იდეებზე, უზარმაზარი კომერციული საქმიანობის გაშლაზე, ტურიზმის განვითარებაზე.

— მე მინდოდა ახალი კვალის გაჭრა. ეს მძიმე და მტკივნეული გზაა, — ამბობს ქალბატონი ლაურა.

ვფიქრობთ, საქართველოს ავიაციის დეპარტამენტი გულისყურით მოეკიდება ამ მართლაცდა საშვილიშვილო საქმეს და სულ მალე „გაკო“-ს თვითმფრინავები ცაში აიჭრებიან.

რაც შეეხება „მთაწმინდის“ კულტურისა და დასვენების პარკს, ქალბატონ ლაურას სურს გაერთიანდეს მთაწმინდის ტერიტორიაზე მდებარე ყველა შენობა-ნაგებობა და აქაურობა კულტურისა და დასვენების ცენტრად იქცეს, დაუბრუნდეს მას პირვანდელი სახე და ყველას, დიდსა და პატარას, დასვენების და გართობის ყველანაირი პირობა ჰქონდეს.

მალე დაიწყება პარკის აღდგენითი სამუშაოები, განახლდება და აშენდება სპორტული მოედნები. როგორც მთლიანად პარკის ტერიტორიაზე, ასევე ფუნიკულიორის ზედა სართულზე, აღდგება საზოგადოებრივი კვების ობიექტები. ამუშავდება ბაგირგზა, უსასყიდლოდ მოუვლიან მთაწმინდის პანთეონს.

ყველაზე დიდ სიკეთეს მაინც პატარებს ჰპირდებიან, „დისნეილენდის“ მსგავსი ატრაქციონების მოწყობა აქვთ გადაწყვეტილი.

— აეროპორტების საერთაშორისო გენერალური ასამბლეა „ასი-ევროპა“-ს წევრობა აქაც დაგვეხმარა — ამბობს ლაურა, — როგორც მის წევრს 25 პროცენტით ფასდაკლებით გვიგზავნიან მსოფლიოში დღეს არსებულ საუკეთესო ატრაქციონებს.

— პერსპექტივა, გეგმები...

ნეტა, მშვიდობა იყოს და ყველაფერი, რაზეც გელაპარაკეთ რეალობად იქცევა.

• • •

სურათზე: ლაურა ლაჭავა.

გიორგი ჯაბუაშვილი

ენასაც სადავე სჭირდება

რამდენიმე წლის წინათ შვილიშვილები საახალწლო ზეიმზე წავიყვანე თბილისის ერთ-ერთ კულტურის სახლში. ზეიმი იმით დაიწყო, რომ მწვრთნელმა ქალბატონმა ბავშვები ნაძვის ხესთან მიიწვია [illegible]:

— ეს რა არის, ბავშვებო?.. ნაძვის... ნაძ-ძის ხეეე! — დაიმღერასავით ბავშვებთან ერთად და თოვლის პაპაზე მიუთითა: — ეს ვინაა?.. თოვლის...

— თოვლის პაპა!

— თოვლის ბაბუა! წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— თოვ-ლის ბა-ბუ-აა! — დაასრულა ქალბატონმა და დავინახე, როგორ უხერხულობაში ჩავარდნენ ის ბავშვები, რომლებმაც „პაპა“ თქვეს.

პირველი „ძნელი გამოცანის“ გამოცნობით გამხნევებული ბავშვები მხიარულად შეუდგნენ საახალწლო ზეიმს და „ჩაჭრილი“ ბავშვები კი ნირწამხდარნი ჩადგნენ ფერხულში. ქალბატონს შეეძლო, განემარტა, პაპა და ბაბუა ერთია, ბავშვებო, და ორივემ გამოიცანითო, მაგრამ ასეთი მოწყალება არ მოიღო და მამაპაპურ ტრადიციებში გაზრდილ ბავშვებს გული ატკინა „ბაბუას“ სასარგებლოდ.

ჩემმა შვილიშვილებმა იქვე შემომჩივლეს, სწორედ რომ „ჩაიჭრნენ“, მაგრამ ხმა არ ამოუღიათ. შინწასვლისას კი აღარ მოითმინეს, არ ესაყვედურებათ, თუ ბაბუა ჰქვია, ჩვენ რაღად ვეძახით თოვლის პაპას.

რა უნდა მეპასუხა? ავუხსენი, რომ ორივე ერთია. მაგრამ ვინ მოგისმინა? ერთი რომ ყოფილიყო, ის დეიდა [illegible]. მე, რა თქმა უნდა, ვერ დავუსაბუთე ჩემი უპირატესობა დეიდას წინაშე. ვერც აკადემიკოსების სახელებმა მიშველა და დავრჩი ასე უსაშველოდ გაწბილებული და პირშიჩალაგამოვლებული.

სწორედ იმ ხანებში კამათი გაიმართა პრესის ფურცლებზე „პაპა“ თუ „ბაბუა“. ვფიქრობ, ბოლოს და ბოლოს გაირკვევა ეს საკითხი და ჩემი ჩარევა საჭირო არ იქნება-მეთქი, რაკიღა ჩემზე კომპეტენტური ხალხი — ჩვენი ლექტორები და მეგობრები ჩავთვალე, რომლებიც სამეცნიერო საკითხებზე მუშაობენ. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. პროფესიონალები კამათში არ ჩაერივნენ და კამათი უშედეგო გამოვიდა. დადგა კვლავ ახალი წელი და უფრო მეტი თავგამოდებით მიეგებნენ „თოვლის ბაბუასთან“ და ის ბავშვები, რომლებიც თავიდანვე სწორ მეტყველებას ეჩვევიან, კვლავ დათრგუნვილნი დარჩნენ.

დავსვათ კითხვა: რომელი სიტყვაა ძირეული და რომელს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა სალიტერატურო ენასა და მართლმეტყველებაში? ორივე სიტყვას თანაბარი უფლება უნდა ჰქონდესო, მიპასუხებს უმეტესობა და თითქოს ეს აზრი დავას არც უნდა იწვევდეს, მაგრამ ასე არ არის. პაპა და ბაბუა ერთმანეთის სინონიმები არ არიან და ამიტომ არ შეიძლება, თანასწორი უფლება ჰქონდეთ. ერთს უნდა დავუთმოთ პირველობა და დავუთმოთ იმას, რომელიც პირველადი სიტყვაა და ქართული ენის ძირეულ ფონდს განეკუთვნება. საამისოდ მოვიშველიოთ ლექსიკონები და შევაწუხოთ ქართული ენის დიდ მოამაგეთა სულები.

სიტყვის პაპა სულხან-საბა თავის ლექსიკონში სიტყვა „ბაბუას“ საერთოდ არ იცნობს. განმარტებული აქვს პაპა, როგორც მამის მამა და დედის მამა და ბიბია, როგორც მამის დედა და დედის დედა. (იხ. სულხან-საბა, „თხზულებანი“, ტ. IV,. გვ. 617, 1965 წ.)

რატომ არ იცნობს სულხან-საბა? იმიტომ, რომ „ბაბუა“ იმ დროის ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული.

ახლა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რედაქტორულში ჩავიხედოთ:

„პაპა — 1. მამის ან დედის მამა, — ბაბუა, 2. მღვდელი ||ქეგლი, ტ. VI, 118, 1950 წ.).

„ბაბუა — 1. იგივე, რაც პაპა (ლიტერატურულად უპირატესია პაპა).

2. მამაკაცის სახელი მთაში“. (ქეგლი, ტ. I, გვ. 942).

როგორც ვხედავთ, უპირატესი ფორმა ყოფილა „პაპა“ და არა „ბაბუა“. მაგრამ ამითაც ნუ დავკმაყოფილდებით და დავით ჩუბინაშვილსაც მოვუსმინოთ;

„პაპა (ბერძნ.) ს. ბაბუა, მამის მამა; სვანეთში: მღვდელი; ДЕДЬ; ДЕДОВСКИЙ — პაპისა, პაპისეული, წინაპართა, მამა-პაპისა, მამაპაპისეული“. (დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1984 წ., გვ. 1004).

როგორც ვხედავთ, უკანასკნელ კონტექსტში ჩვენმა სასიქადულო მეცნიერმა ადგილი ვეღარ მოუძებნა ბაბუას. რატომ? იმიტომ, რომ ახალია და ჯერაც არ დამკვიდრებულა მეტყველებაში.

ახლა ვნახოთ, ბაბუას როგორ განმარტავს იგივე ლექსიკონი: „ბაბუა (კნინობ.) პაპა, ДЕДУШКА, გვ. 90).

ყოველივე ნათელია. სიტყვა პაპა შემოსულია ბერძნულიდან და აღნიშნავს მამის ან დედის მამას, ხოლო ბაბუა მისგან წარმოებული კნინობითი ფორმაა და გაჩენილია გვიანდელ ხანაში. ეს რომ ასეა, დავიწყოთ იმით, რომ პაპა წარმოქმნის შემდეგ სახელებსა და გვარებს: პაპა — პაპაშვილი, პაპავა, პაპასქირი, პაპასქუა, პაპიძე; პაპუნა — პაპუნაშვილი, პაპუნიძე; პაპუჩა — პაპუჩაშვილი, პაპუჩიშვილი; პაპაჩა — პაპაჩაშვილი; პაპუკა — პაპუკაშვილი, პაპუკიშვილი; პაპიკა — პაპიკაშვილი; პაპუჩელა — პაპუჩელაშვილი; პაპალა — პაპალაშვილი; პაპულა — პაპულაშვილი; პაპო — პაპოშვილი; პაპუ — პაპუშვილი; პაპია — პაპიაშვილი; პაპუა — პაპუაშვილი.

ალორძინების ხანის ფეოდალურ საქართველოში, და უფრო ადრეც, როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, დიდად პოპულარული სახელია პაპუა, რომლის პარალელურად შემდეგში გაჩნდა „ბაბუა“ „ბებიას“ ანალოგიით, და შინაურ მეტყველებაში „პაპას“ შეეცვალა, როგორც საალერსო სახელი. ანალოგია რომც არ ყოფილიყო, ბ. ფ. პ ბგერები ჩვეულებრივ ენაცვლებიან ერთმანეთს.

ბაბუა გვიანდელი შემოსულია ჩვენს მეტყველებაში და ამიტომაც იშვიათია. აქედან წარმოებული გვარები, თუ ბაბუნაშვილსა და ბაბუნიძეს არ ჩავთვლით, რომლებიც ალბათ პაპუნაშვილსა და პაპუნიძეს უნდა ნიშნავდეს. საქართველოში მხოლოდ რამდენიმე ოჯახია ბაბუაძე. რაც შეეხება ბაბუციძეს, ბაბუცა იგივე ბაბულია ქალის სახელია და არა კაცისა.

ასე, რომ „პაპა“ ბერძნულიდან შემოსული სახელია და „პაპი“-ს კნინობითი ფორმაა, პაპუა, იგივე ბაბუა, კიდევ უფრო კნინობითია, ან სწორად, მოფერებითი. ამიტომაც აცხადებს დ. ჩუბინაშვილი სიტყვა „ბაბუას“ პაპის კნინობით ფორმად. ამიტომ არის, რომ ყველა ლექსიკონი სიტყვა „პაპას“ უპირატესობას [illegible]. ეს რომ ასეა, კიდევ ერთხელ ჩავხედოთ ყველაზე სრულ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს და მისი მეორე ტომის 941 გვერდზე გადავშალოთ: „ბაბუდა (ბაბუდისა) კუთხ. (იმერ.) პაპის, ბაბუის და—პაპიდა, ბაბუდაშვილი (ბაბუდაშვილისა) კუთხ. (იმერ.) პაპის დისწული, პაპიდაშვილი.

ყოველივე გასაგები უნდა იყოს: რაკი სწორი ფორმა პაპაა, მართებულად უნდა მივიჩნიოთ პაპიდა და არა ბაბუდა, პაპიდაშვილი და არა ბაბუდაშვილი.

შეიძლება, გვიკითხონ: რა მნიშვნელობა აქვს, პაპას დავუძახებთ თუ ბაბუასო, პაპიდას თუ ბაბუდასო, პაპიდაშვილს თუ ბაბუდაშვილსო, მაგრამ მნიშვნელობა რომ არა ჰქონოდა, ლექსიკონების შედგენასა და განმარტებებზე აღარ დაშვრებოდნენ ენათმეცნიერები, რომლებიც სიტყვაც პირველადი და ძირეულია ენაში, ის სიტყვა უნდა იყოს დამკვიდრებული მართლწერასა და მართლმეტყველებაში და არა მისგან წარმოებული კნინობითი თუ მოფერებითი სიტყვები. ამას თუ არ გავითვალისწინებთ, თვალსა და ხელშუა წაგვერთმევა მამაპაპეული ენა. ნუ გადახდით საკამათოდ, ვენდოთ ჩვენს ტრადიციებს, ჩვენს სახელოვან ენათმეცნიერებს და რასაც ისინი ანიჭებენ უპირატესობას, ჩვენც იმას მივანიჭოთ: ძირეული სიტყვა პაპაა და არა — ბაბუა, თოვლის პაპა და არა — თოვლის ბაბუა. შინაურობაში ყველაფერი შეიძლება: ბავშვს უფლება აქვს, თავის პაპას ბაბუა დაუძახოს, პაპასაც შეუძლია, თავის შვილიშვილს „ბაბუთი“ მიმართოს მოფერებით, მაგრამ თოვლის პაპა რომ თოვლის პაპაა და არა ბაბუა, ეს ყველამ უნდა ვიცოდეთ. არადა, ტენდენცია იქით მიდის, რომ ბაბუასაც უჩნდება თავისი საალერსო ზეროჯი — ბაბუკა და ენას თუ სადავე არ დავუჭირეთ, ოცდამეერთე საუკუნეში ალბათ „თოვლის ბაბუკასთან“ მიიწვევენ პატარა ქართველებს. ეგებ ძველ ქართულ მეტყველებაში ხმარებული კნინობითი „პაპა“ „ბაბუკათიც“ შეეცვალონ. ნახეთ, რა მშვენიერი ქართული შემორჩებათ ჩვენს შთამომავლობას. მე ვერ ვიკისრებ და თქვენ თვითონ ჩასვით სიტყვა „ბაბუკა“ სადაც კი პაპა შეგხვდებათ: „ნეტავი გამაგებინა, მამა-პაპანი რა ქმნილან?!“ „ესროლა ბერმა პაპამა, ჯიხვი რქით გადმოეკიდა“, „მამით არ მოგვდგამს ეგ წესი, პაპით და პაპის პაპითა!“ „შენ, ჩემო წინამორბედო, უძველესო პაპაო!“ „წყის ჩაიკეცეს ქედები თურმე და დაირხნენ მამაპაპურად“. „ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი!“ არც ახალი ქართული ლიტერატურის პაპა დავით კლდიაშვილი მოგვიწონებს ამ თავხედობას და ბაბუად არ გაუხდება ახალ ლიტერატურას, მით უფრო ბაბუკად, თუკი ტენდენციას ბრმად მივენდობით.

ისიც გავიხსენოთ, რომ ნახევარ საქართველოში, [illegible] თუ არა, ბაბუას ქალს ეძახიან და არა კაცს. ეგ ბაბუა კუთხურიაო, შემეკამათებით? დიახ, კუთხურია. ესეც კუთხურია და „პაპის“ მეტობით სახელი „ბაბუაც“ კუთხურია, რაკიღა მისი ძირითადი ფორმა „პაპა“ გვგონია. პაპა და ბებია მეუღლეები არიან და ნუ შევაუღლებთ პაპასა და ბაბუას ანდა ბაბუასა და ბებიას. ყველაფერს თავისი სახელი უნდა ერქვას და ამ სახელის დამკვიდრებას შევუწყოთ ხელი მართლმეტყველებაში. არადა, რიგ კუთხეებში დედას ნანას ეძახიან და მამას კი — პაპას, ისეთებიც გამოჩნდებიან, რომლებიც დაიჟინებენ: მაკიდო, ხაბურზაკი, კვახი და ბია დავამკვიდროთო ოხრახუშის, საზამთროს, გოგრისა და კომშის ნაცვლად.

ზარი, რომელსაც დადუმება არ უწერია

გამოგვეხმაურეთ, ქველმოქმედნო!

ანუ წინასიტყვაობა ჯერ გამოუცემელი წიგნისა „რას გვასწავლის მერაბ კოსტავა"

ადამიანის ცხოვრება და პიროვნება მთელი სიცხადით მისი გარდაცვალების შემდეგ შეფასდება. ეს ბანალური ჭეშმარიტება უპირველესად მერაბ კოსტავაზე ითქმის. იგი იმდენად უბრალო და მოკრძალებული ცხოვრებით ცხოვრობდა, რომ გარდაცვალების შემდეგ წამომართული მისი პიროვნული სიმაღლე, ერთგვარად მოულოდნელი და განსაცვიფრებელი იყო.

მერაბი იმ ცეცხლგამძლე ქართული აგურით ნაგებ ბუხარს მოგვაგონებს, რომელიც თავის წიაღში თავისუფლების ტრფიალს ნაღვერდალივით ინახავდა. ამიტომ, იქნებ შემთხვევითი არ არის, რომ მერაბი საქართველოს თავისუფლების დღესასწაული — 26 მაისის სწორზეა დაბადებული. ამ დღეს გაცხადებული სულისკვეთების ჟინი და სწრაფვა მას დაბადებითვე დაეკვება, რაც საოცარი სიცხადით და სილამაზით იყო მერაბ კოსტავაში პერსონიფიცირებული.

მერაბის გამოსვლები ხშირად მისთვის საყვარელი სიტყვით იწყებოდა — მამულიშვილნო! ამ სიტყვის მერაბისეულ წარმოთქმაში იყო ხასიათის უდრეკობა და უდიდესი სითბო თავისი საფიცარი სამშობლოს მამულიშვილების მიმართ. ყოველთვის ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ მერაბის გულის სიღრმიდან ამოვარდნილ ამ სიტყვას უზარმაზარი ბრინჯაოს ზარის რეკვის მსგავსი ზრიალიც ამოსდევდა. მერაბი სამშობლოს გამოღვიძებისათვის ის მოგუგუნე ზარი იყო, რომელსაც დადუმება არ უწერია. მიუხედავად იმისა, რომ მისი ფიზიკური სიცოცხლე მოულოდნელად და ტრაგიკულად შეწყდა, საქმენი და სწრაფვანი სულისა მისისა კვლავაც უპირველესი ზარის ხმით რეკენ. მის მიერ წარმოთქმული სიტყვა „მამულიშვილნო" იქნებ იმიტომაც იყო ესოდენ საოცარი და ფიქრის ამშლელი, რომ მერაბი თავად გახლდათ თავისი დროის უპირველესი მამულიშვილი. ამ სიტყვაში ჩადებული აზრი, მისი მნიშვნელობა ყველაზე უკეთ ესმოდა, ყველაზე უკეთ ამბობდა და ყველაზე მეტად უხდებოდა.

დრუიდების ჰოროსკოპი ერთ-ერთი უძველესია. იგი ორიათას წელს ითვლის. მასში ადამიანთა შინაგანი ბუნება დაკავშირებულია ხემცენარეებთან. მერაბ კოსტავა კარგად იყო ჰოროსკოპთა საიდუმლოებაში გათვითცნობიერებული და ერთ-ერთ ლექსში დრუიდებსაც ახსენებს:

მეც ვირინდები როგორც
დრუიდი,
რომ შენს ჩეროში გულით
ვილოცო

მიმართავს იგი მუხას. იქნებ მუხის ჩეროში ავტორის სალოცავად გარინდება სულაც არ არის შემთხვევითი. იგი მუხისადმი ინტუიციურ ტრფიალს სხვაგანაც ამჟღავნებს. მერაბი მის მიმართ საოცარ სიახლოვეს ავლენს. მუხასთან დაკავშირებით დრუიდების ჰოროსკოპში ნათქვამია: „სიცოცხლით სავსე, ძლიერი და ლამაზი. მას არ ახასიათებს სისუსტე. აქვს დიდებული და ღირსებით აღსავსე მიმოხვრა". აქ ციტირებული თვისებები მერაბის პიროვნებას ბოლომდე მიესადაგება, უფრო მეტიც, მუხის ჰოროსკოპში მოცემული სხვა თვისებებიც საოცრად ახლოს არის მერაბის ხასიათთან. მის „დიდებულსა და ღირსებით აღსავსე მიმოხვრასთან" დაკავშირებით კი ერთი შემთხვევა მახსენდება.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!" ქუჩაში ხმამაღლა წარმოთქმა მხოლოდ თავზეხელაღებულთათვის იყო შესაძლებელი, მანიფესტანტთა უზარმაზარი ჯგუფი რუსთაველიდან იპოდრომისაკენ ფეხით გაემართა. ხალხით ავსებულ პროსპექტზე საავტომობილო მოძრაობა შეწყდა. მაღალსართულიანი სახლის ფანჯრები მორიდებით იღებოდა და იქიდან ფრთხილი მზერა და შიშჩამდგარი თვალები გადმოგვყურებდა. ერთ-ერთ ფანჯარასთან ღრმად მოხუცებული დიასახლისი დავლანდე, რომელიც ჩიფ-ჩიფით ლოცულობდა და პირჯვარს გვსახავდა. ეტყობა, იმ ქალბატონს თავისუფლებისათვის მეოცნებეთა თავზე დატრიალებული ქარიშხლების ისტორია კარგად ახსოვდა.

მანიფესტაციას მერაბ კოსტავა მიუძღოდა. მისი სვლა იმდენად მსუბუქი, ენერგიული და დაჯერებული იყო, რომ თანამზრახველებს რწმენითა და იმედით ავსებდა. მერაბის მოძრაობაში იკვეთებოდა ხასიათის შინაგანი ექსპრესიულობა და მარადიული მშვენიერებისადმი ტრფიალი. იგი დახვეწილი ესთეტი იყო. ესთეტურობის ხიბლი მერაბის ყოველ მოძრაობაში ცნაურდებოდა. მის ფართო, ენერგიულ ნაბიჯებში იკითხებოდა ზოგადქართული ნაბიჯის სიდიადე (ხელოვნებაში არსებობს მოძრაობისა და, კერძოდ, ნაბიჯის ფენომენი) და არა მხოლოდ ნაბიჯის... მისი მოძრაობა ქართული ჯიშისა და გენის დახვეწილი დინამიკა იყო. მერაბს ამისი შინაგანი გრძნობა საოცრად განვითარებული ჰქონდა, სწორედ ამაზე მეტყველებს ქვემოთ მოცემული ამონარიდი მისი ერთ-ერთი ესსედან („ცხენი").

„რა შეედრება ჯიშიანი, ნაკვთად კეთილი ბედაურების ჭვრეტას, დიდრონი, ჭკვიანი, მიმნდობი თვალები, მაღალი, მწყობრი, ჰაეროვანი წვივები, ამაყად აზიდული, მასიური მკერდი, მოღერილი კისრის მტკიცე ბალავერი, მჭიდროდ შეტკეცილი, კუნთთა ზამბარებში მომწყვდეული მუცელი, სისხლძარღვების მოუსვენარი ტოკვა, მოელვარე კანქვეშ, თითქოს ქალური გულმოდგინებით ვარცხნილი ფაფარი; ავდრის მოლოდინი დგომისას, ქარიშხალი აბორგებული ჭენებისას. ქარცეცხლის მფრქვეველი ნესტოები და ლაგმის მკვნეტავი, გაღმასებული კბილები, სისხლის მაჩქროლებელი რიტმები ფეხთა ხმისა, ფლოქვებიდან ავარდნილი მტვერისა და ნაპერწკლის კორიანტელი..."

1988 წლის ნოემბერში მწერალთა კავშირის ერთ-ერთ ოთახში იკრიბებოდა ახალგაზრდობა, სადაც საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის ირგვლივ მიმდინარეობდა გაცხოველებული სჯა-ბაასი. უკვე საკმაოდ გვიანი ღამე იყო, როდესაც მერაბი შემოვიდა. ხელში საქართველოს ჩალისფერი დროშა ეჭირა, რომლის ერთ კუთხეში ნინოსეული ჯვარი იყო ამოქარგული. მერაბი ოთახის შუაგულში შეჩერდა. მის დგომაში ნებისყოფის სიმტკიცე და შინაგანი ცეცხლი იკვეთებოდა. ტარი თავისკენ ოდნავ დახრილად ეჭირა და ბაირაღი ჩალისფერის მთელი სიდიადით გაშლილიყო. მერაბ კოსტავა იმ წუთში საოცრად წააგავდა ციხის კონგურზე ამაყად მდგარ ძველ ქართველ მეციხოვნეს, რომელსაც სამშობლოსთვის სიკვდილი პატივად მიაჩნია. იმ მეციხოვნეს მერაბი, არა მარტო დგომით, არამედ ცხოვრებითაც ჰგავდა, რამეთუ მისი სიცოცხლე სამშობლოსათვის თავდადებული კაცის ცხოვრება იყო.

მერაბისათვის დამახასიათებელი პიროვნული თვისებები: ვაჟკაცობა, უდრეკელობა, სამშობლოს უსაზომო სიყვარული, მიმტევებლობა, თავმდაბლობა ყველა ქართველისათვის მისაბაძი და სამაგალითო შეიძლება იყოს. მერაბის პიროვნული და სულიერი სახე კარგად იკითხება მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, რომლის გაცნობა მკითხველში მხნეობას და კეთილშობილებას აღძრავს...

წიგნში „რას გვასწავლის მერაბ კოსტავა" მოცემულია მერაბისეული აფორიზმები, სენტენციები და მაქსიმები.

მისი წერის სტილი ლაპიდარულობითა და ლაკონიურობით ხასიათდება. ყველაზე დიდი საკაცობრიო მნიშვნელობის აზრიც კი, სულ რამდენიმე სიტყვაში სხარტად და მოხდენილად არის გადმოცემული. წიგნში შესული მისი ყოველი გამონათქვამი აზრითა და გრძნობით არის დაყურსული.

მერაბ კოსტავასაგან მისი თანამედროვენი ბევრს ვსწავლობდით, მისგან მომავალი თაობებიც ბევრს ისწავლიან. ეს წიგნიც სწორედ ამ მიზნითა და იმედით შეიქმნა.

მინაწერი: თბილისში, მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმში, ერთი კუთხე მის წიგნებს ეთმობა. მერაბ კოსტავას წიგნებში ქაღალდის ხარისხითა და გამოცემის პოლიგრაფიული დონით აშკარად გამოირჩევა ერთი წიგნი, რომელიც პარიზშია გამოცემული. წიგნს ერთვის უცხოეთში მცხოვრები იმ ჩვენი თანამემამულეების სია, რომლებმაც წიგნის გამოსაცემად გარკვეული თანხა გაიღეს. მათი ქველმოქმედება, ვფიქრობ, მისაბაძია. წიგნი „რას გვასწავლის მერაბ კოსტავა" გამოსაცემად მზად არის და ელის სპონსორს (ან სპონსორებს). მათ, ვისაც საშუალება აქვს და ამ მამულიშვილური საქმისათვის ქველმოქმედება არ ეზარება, ფული შეუძლიათ გადმორიცხონ შემდეგ ანგარიშზე:

კრწანისის რაიონის ხინ. სოც. ბანკი. 000164001, მ. ფ. ო. 52175; შ. ბ. 3528/0282; ანგარიში 3500.

იმაზე უფრო ღირსეული საქმისა თუ წამოწყების სპონსორობა, ვიდრე საქართველოსთვის წამებული რაინდის წიგნის გამოცემის დაფინანსებაა, ვფიქრობ, ძნელად მოიძებნება. ყველა ქველმოქმედის სახელი და გვარი სათანადოდ აღინიშნება და დაფასდება.

პატივისცემით,

წიგნის შემდგენელი და გამომცემელი
გოგიტა მელიქიძე.

თბილისის საბუნებისმეტყველო — ჰუმანიტარული ინსტიტუტი „ზეკარი"

აცხადებს მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა;
2. რელიგიების ისტორია;
3. დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა.

აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ დისციპლინებში:

ქართული ენა და ლიტერატურის, რელიგიების ისტორიის ფაკულტეტებზე:

„ქართული ენა და ლიტერატურა" (ზეპირი), „საქართველოს ისტორია" (ზეპირი),

დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა

„ქართული ენა და ლიტერატურა" (ზეპირი), „მათემატიკა" (წერა).

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო და საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები ასაკის მიუხედავად. უგამოცდოდ ჩაირიცხებიან საშუალო და საშუალო სპეციალური სასწავლებლების წარჩინებული კურსდამთავრებულები.

**ინსტიტუტში სწავლება ფასიანია.
სწავლის ხანგრძლივობა ოთხნახევარი წელია.
წარჩინებულ კურსდამთავრებულებს მიეცემათ რეკომენდაცია პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩარიცხვისათვის.**

საბუთების შემოტანისას აბიტურიენტი საორგანიზაციო ხარჯებისათვის იხდის 3 500 კუპონს. აღნიშნული თანხა ჩაჭრილ ან გამოცდაზე გამოუცხადებელ აბიტურიენტს არ დაუბრუნდება.

აბიტურიენტებმა, განცხადებას მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ, თან უნდა დაურთონ:

1. განათლების მოწმობა (დედანი),
2. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
3. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086);
4. ოთხი ფოტოსურათი 3X4;
5. პასპორტს და სამხედრო ბილეთს წარმოადგენენ პირადად.

საბუთების მიღება 1993 წლის 31 აგვისტომდე ყოველდღე (გარდა შაბათ-კვირისა) 11 საათიდან 16 საათამდე ინსტიტუტის დეკანატში.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 1 სექტემბრიდან. სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს.

მისამართი:
თბილისი, დავით აღმაშენებლის პრ. № 178
პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკური ინსტიტუტის შენობა.
ტელეფონები: 34-31-79, 34-16-25.

თბილისის გამოყენებით ეკოლოგიის სასწავლო ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1993-94 წ. სასწავლო წლისათვის დღის განყოფილების ქართულ და რუსულ სექტორებზე

ინსტიტუტი ამზადებს შემდეგ სპეციალობებში:

1. აგროეკოლოგია (სასოფლო-სამეურნეო წარმოების აგრონომ-ეკოლოგი, მეტყევე-ეკოლოგი);
2. გადამამუშავებელი მრეწველობის ეკოლოგია (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების ტექნოლოგ-ეკოლოგი).
3. ზოოეკოლოგია (ზოოეკოლოგი და მეცხოველეობის პროდუქციის გადამუშავების ტექნოლოგ-ეკოლოგი).

საქართველოს რესპუბლიკის ფასიანი სწავლების გამოყენებითი ეკოლოგიის ინსტიტუტი წარმოადგენს უმაღლესი ტიპის სასწავლო დაწესებულებას, რომელიც ამზადებს კადრებს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორისათვის ისეთ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სამუშაოდ, როგორიცაა ფერმერული მეურნეობები, რაიონული ბუნების დაცვის განყოფილებები, საკონსერვო, ალკოჰოლიანი, უალკოჰოლო სასმელების, ხორცისა და რძის პროდუქტების გადამუშავების საწარმოები, ეკოლოგიური პოლიცია და სხვა. ინსტიტუტის სწავლების პროგრამა ითვალისწინებს კურსდამთავრებულს მისცეს, როგორც ეკოლოგიური ცოდნა, ისე იურიდიული უფლება კონტროლი გაუწიოს სუფთა პროდუქციის წარმოებას სასოფლო-სამეურნეო, სატყეო მეურნეობებსა და გადამამუშავებელ მრეწველობის საწარმოებში.

ინსტიტუტის სპონსორია მრავალდარგობრივი ეკონომიკური გაერთიანება-კონსორციუმი „ქართლი".

ინსტიტუტში გაძლიერებული პროგრამით ისწავლება უცხო ენა.

ინსტიტუტის სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებთან სტუდენტთა მივლინებებს სტაჟირების მიზნით, რისთვისაც ინსტიტუტში სტუდენტები დაეუფლებიან საგარეო ურთიერთობების და მენეჯერობის საფუძვლებსაც.

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო ან საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი ასაკის შეუზღუდავად. სწავლების ვადა 5 წელიწადია, აქედან ნახევარი წელიწადი ეთმობა სადიპლომო სამუშაოების შესრულებას.

სწავლების საფასურის გადახდა შეუძლიათ, როგორც პირადად აბიტურიენტებს, ისე იმ ორგანიზაციებს, რომლებიც თავისი მიმართვებით მსურველებს აგზავნიან სასწავლებლად აღნიშნულ ინსტიტუტში. ასეთან ჩარიცხვისას უპირატესობა მიეცემა რაიონებიდან რეკომენდაციით მოვლინებულ აბიტურიენტებს. ინსტიტუტში რამოდენიმე ადგილი სწავლების საფასურის გადახდის გარეშე დაეთმობა ობოლ ბავშვთა სახლებიდან მოვლინებულ აბიტურიენტებს.

აბიტურიენტების ჩარიცხვა ხდება წინასწარი გასაუბრების შემდეგ საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებში.

აბიტურიენტმა მიმღებ კომისიას უნდა წარმოუდგინოს შემდეგი საბუთები:

1. განცხადება რექტორის სახელზე.
2. საშუალო ან საშუალო სპეცსასწავლებლის ატესტატი ან დიპლომი
3. ფოტოსურათი ზომით 3X4 — 6 ცალი
4. სამედიცინო ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფ.№ 086)
5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.
6. პასპორტი ან სამხედრო საბუთები აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს პირადად.

საბუთების ჩაბარებასთან ერთად აბიტურიენტი იხდის საორგანიზაციო ხარჯებს.

გასაუბრება ჩატარდება ბიოლოგიაში და ქიმიაში.

საბუთების მიღება იწარმოებს 1 ივლისიდან 20 აგვისტომდე ყოველდღე, 10 საათიდან 15 საათამდე. შაბათ-კვირის გარდა.

მისამართი:
თბილისი, დაბა ზაჰესი, გამოყენებითი ეკოლოგიის სასწავლო ინსტიტუტი
(სასოფლო-სამეურნეო რადიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შენობა)
მეორე სართული, ოთახი 2-8,
ტელეფონი 62-46-45 და 62-46-08.
ტრანსპორტი:
მეტრო „დიდუბის" ქვედა სადგურიდან ავტობუსი № 70 (118) ან მეტრო „გურამიშვილის გამზირი"-დან ავტობუსი № 9 ან სამარშრუტო ტაქსი № 12, გაჩერება „მეფუტკრეობა".

რექტორატი

პოეზია უპირ[illegible]

ო, ლექსებო, ჩემი ნატვრით თბებით...

ადვილი როდია, ამ დროში რომანტიკოსად დარჩე, ადვილი როდია, დღეს გულუბრყვილობა აპატიო თავს, ადვილი როდია, სული ყველას წამლად გაუნაწილო, ადვილი როდია, უშურველად იცხოვრო...

და მაინც:

„ცაში უჯობთ სიკვდილი მეოცნებე არწივებს.
რადგან დედამიწაზე მათ არა აქვთ ადგილი".

ვაჟა ოთარაშვილის წიგნი — „ჩემი გულუბრყვილო ლანდი", სწორედ ოცნებათა სიწმინდით მომწონს.

წელს მწერალთა ასოციაცია „გულანის" დარბაზის წევრთა გადაწყვეტილებით ვ. ოთარაშვილის ამ ახალ კრებულს „გულანის" პრემია მიენიჭა. უკვე მესამე წელია, რაც ასოციაცია „გულანი" არსებობს და იგი წელიწადში ერთხელ საუკეთესო კრებულისთვის პრემიით აჯილდოებს მწერალს.

პრემიით და კარგი წიგნით ვის გააოცებ დღეს საქართველოში და რომც გააოცო, ამ დაღლილ და ნერვიულ დროში, ვის აღაფრთოვანებ, როცა არაერთი ბიჭი გამოაკლდა ჩვენს თაობას, როცა ჩვენი საფიცარი ქალაქის ქუჩები რეიხსტაგს დაემსგავსა, როცა უდარდელი სიცილი მონატრა ხალხს. როცა ასეთი რიგებია პურზე.

და მაინც, სულს ისე სჭირდება კარგი ლექსი და ნუგეშის სიტყვა, როგორც წყალი და პური.

და მეც მინდა ჩემს მეგობარ მწერალს თბილი სიტყვები ვუსახსოვრო.

სიყვარული — აი, ამ წიგნის დედააზრი, აი, ამ წიგნის თავი და ბოლო.

უყვარს, თავდავიწყებით უყვარს პოეტს:

„ყაყაჩოთი გადაწინწკლული ქართლის ველები"
„ოთხი შვილის ალუ... ანგელოზის ღიმილით და ფერით".
„ქალი — თევზივით ჩუმი და იდუმალი".

დედის წმინდა ლანდი, რომელსაც ეს კრებული ეძღვნება: დედისადმი მიძღვნილი ერთი ლექსი კი ასე მთავრდება:

„სამარის ქვა აირეკლავს მთვარეს,
დედაჩემი, დამამშვიდებს, ცდილობს:
სიზმარს რატომ გამოჰყევი გარეთ,
სახლში წადი, არ შეგცივდეს, შვილო..."

დედის წმინდა ხატება, შენი შვილების ღუღუნი და მეგობართა ერთგულება ჰფარავდეს იმ გზას, რომელიც მხოლოდ მაშინ დასრულდება, როცა ეს სურვილი გაგიქრება, ლექსად რომ გითქვამს:

„ისევ მიყვარს ზეცის ლურჯი მანდილი,
ისევ დილის მობრძანებას ვუგალობ,
ერთი ლექსი მაპოვნინე ნამდვილი,
გევედრები, უფალო!

მაყვალა გონაშვილი.

ვაჟა ოთარაშვილი

დედის ხსოვნას

„შენ გენაცვალოს შვილო, დედა,
დედის ძუძუები სულ მუდამ გლოცავენ..."
დღეს ბებერ საყდარზე მტრედები სხედან,
ჩემი მწუხარების უწმინდეს მოწმედ...
ზამთარს შეჭირხლული სახე დაბზარვია,
(უდედოდ გაზაფხულს პირველად შევხვდები)
ჯერ თოვლს ატრიალებს ქარი — აბეზარი,
წელში იხრებიან სიცივით ვერხვები...
ჯერ ისევ შენს საფლავს მიხაკი აყრია,
ჯერ კიდევ თბილია გული — საფიცარი...
დიდი ტკივილებით სხეული დაგღლია,
თუმც სულის სიმშვიდე ბოლომდე დაიცავი...
თედორეს საყდარზე მტრედები სხედან,
მხოლოდ ერთს აკლია ნაპირზე მოცალე...
„შენ გენაცვალოს შვილო, დედა,
დედის ძუძუები სულ მუდამ გლოცავენ!"...

* * *

მელაპარაკე:
დრო და მანძილი,
ხომ არ არსებობს სიყვარულისთვის...
სიჩუმეს ვიღებ, როგორც სამძიმარს
და მეშინია ჩემივ გულისთქმის...
მელაპარაკე:
რომ ისევ ერთად
ვიქნებით დღესაც, ხვალაც... მუდამაც,
რომ შეისმინა მაღალმა ღმერთმა,
ჩვენი ლოცვები, ჩვენი მუდარა...
მელაპარაკე:
რომ ჩემთან გინდა
და გეშინია მარტო დარჩენის...
მელაპარაკე:
თუ როგორ წვიმდა,
წვიმისგან ცრემლებს როგორ არჩევდი...
მელაპარაკე:
დრო და მანძილი
გულში ტკივილებს როგორ ალაგებს...
რადგან ძილშიაც ვიღებ სამძიმარს,
სიზმრებში მაინც
მელაპარაკე...

* * *

გაივლის დრო და თაობები შეიცვლებიან,
დაილექება დასალექი ოქრო და რკინა...
ა იმ ქედებზე პაპიჩემის პაპის ძვლებია
და ბერ თევდორეს ხავსმოდებულ საყდარში
სძინავს...
გადაწინწკლულან ყაყაჩოთი ქართლის ველები,
თურქთა ჯარივით ჩამომდგარა თრიალეთს სიცხე,
ჩაუყვანიათ ნოსტელ ბიჭებს წყალზე ცხენები,
გააგელვებენ მერე რაშებს რკონისკენ ფიცხელ...
ა იმ ქედებზე, პაპიჩემის პაპის ძვლებია,
(ქარმა [illegible]...)
გაივლის დრო და ეგ ბიჭებიც დაიზრდებიან,
კაცმა არ იცის, ვინ იქნება მათში პაატა...

მოკლული თოვლი

გემშვიდობები სიზმარშიც, ცხადშიც,
გემშვიდობები აქაც და იქაც...
ვწყვეტ შენთან ყველა მიწიერ კავშირს,
უკანასკნელი ილევა ჭიქა...
გემშვიდობები სიტყვით და ცრემლით,
გემშვიდობები ტკივილით, თრთოლვით...
რომ მერე ყველა ახალი წელი
მოვიდეს, როგორც მოკლული თოვლი...
გემშვიდობები... ო, მაგრამ სული,
ვერ გაიყოფა თურმე ნაწილად...
ჩვენ ერთი გვქონდა საწყისი — სრული
და უცნაურმა ბედმა გაგვწირა...
გემშვიდობები დარდებით მწველით
და ასტრალური შეხვედრის [illegible]...
და ისე მოდის ახალი წელი,
როგორც ცაშივე მოკლული თოვლი...

აფხაზეთის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ხელი მოაწეროს შეთანხმებას რეგიონში ომის შეწყვეტის შესახებ, რასაც წინათ უარყოფდა

მოსკოვი, 16 ივლისი. (იტარ-საკდისის კორ. იგორ გვრიტიშვილი). „რამდენიმე დღის წინათ გუდაუთაში აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ვლადისლავ არძინბასა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირად წარმომადგენელს ბორის პასტუხოვს შორის გამართული კონსულტაციების შემდეგ აფხაზეთის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ხელი მოაწეროს სამმხრივ შეთანხმებას საქართველოსთან და რუსეთთან რეგიონში ომის შეწყვეტის შესახებ". ასეთი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განაცხადა დღეს მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე აფხაზეთის დელეგაციის მეთაურმა მოლაპარაკებაზე ანრი ჯერგენიამ. წინათ ამ შეთანხმებას უარყოფდა აფხაზთა მხარე.

როგორც იგი მიიჩნევს, ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ „უნდა გადაწყდეს აფხაზეთის ტერიტორიიდან ქართველთა ჯარების გამოყვანისა და ხელისუფლების კანონიერი ორგანოების სოხუმში დაბრუნების საკითხი". შეეხო რა კონფლიქტის მოგვარების პოლიტიკურ ასპექტებს, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ სერგი ბაღაფშმა აღნიშნა, რომ „რეგიონში სიტუაციის სტაბილიზაციის შემდეგ უნდა გაიმართოს რეფერენდუმი რესპუბლიკის მომავალი პოლიტიკური მოწყობის შესახებ და მისი შედეგების მიხედვით წარიმართოს მოლაპარაკება თბილისთან". მან დააზუსტა, რომ „საქმე უნდა ეხებოდეს, უწინარეს ყოვლისა, საქართველოსთან ფედერაციული ხელშეკრულების ხელმოწერას, ისეთი ხელშეკრულებისა, როგორსაც მოაწერა ხელი რუსეთმა მის შემადგენლობაში შემავალ ფედერაციის სუბიექტებთან".

იტარ-საკდისის კორესპონდენტის კითხვას, რა როლს მიაკუთვნებს აფხაზეთის ხელმძღვანელობა საერთაშორისო ორგანიზაციებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში, ანრი ჯერგენიამ უპასუხა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელები კრიტიკულად ეკიდებიან რეგიონის სამშვიდობო პროცესებში როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ისე ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილეობას, რომლებიც, როგორც მან თქვა, ყველა საკითხს წყვეტენ საქართველოს სასარგებლოდ იმის წყალობით, რომ ამ ორგანიზაციებში ედუარდ შევარდნაძეს კარგი კავშირურთიერთობა აქვს.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ვითარება აზერბაიჯანში

აზერბაიჯანის ეროვნული კრების დეპუტატთა კომისიის დასკვნით პოლიტიკური პასუხისმგებლობა ტრაგედიისათვის, რომელიც განჯაში მოხდა, ეკისრებათ უშუალოდ აზერბაიჯანის პრეზიდენტს აბულფაზ ელჩიბეის, ექსპრემიერს პანახ ჰუსეინოვს და პარლამენტის ყოფილ მეთაურს ისა გამბაროვს. აგრეთვე სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირებს. ეს გამოაცხადეს გუშინ რესპუბლიკის ეროვნული კრების სხდომაზე. როგორც აღნიშნავენ, დეპუტატთა საგამოძიებო კომისიას აქვს მასალები, რათა აღძრას სისხლის სამართლის საქმე ყოფილი პრემიერ-მინისტრის პანახ ჰუსეინოვის, თავდაცვის მინისტრის დადაშ რზაევის, გენერალური პროკურორის იხტიარ შირინოვის, შინაგანი ჯარების სარდლის ფახმინ ჰაჯიევის მიმართ განჯის მოვლენებში მონაწილეობის გამო.

ვიქტორ ჩერნომირდინი გერმანიაში

მთავრდება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვიქტორ ჩერნომირდინის ვიზიტი. გუშინ იგი ბერლინს იწვია. მინისტრს თან ახლავან ეკონომიკის მინისტრი ლობოვი და პრივატიზაციის საქმეთა მინისტრი ჩუბაისი. ბერლინის მმართველი ბურგომისტრის ებერხარდ დიპგენის თანხლებით მან დაათვალიერა ქალაქის ცენტრი, მოედანი ბრანდენბურგის კარიბჭესთან. ვიქტორ ჩერნომირდინმა განაცხადა, რომ დედამიწაზე არ არსებობს სხვა ასეთი ადგილი, სადაც ესოდენ ნათლად იგრძნობოდეს ცვლილებები, რომლებიც ევროპის კონტინენტზე უკანასკნელი წლების მანძილზე მოხდა, როცა ისტორიას ჩაბარდა იდეოლოგიური და პოლიტიკური დაპირისპირება, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს ჰყოფდა. გუშინ რუსეთის პრემიერ-მინისტრი შეხვდა საქმიანი წრეების წარმომადგენლებს და მთელ რიგ სხვა მოღვაწეებს. კერძოდ ბრანდენბურგის მხარის პრემიერ-მინისტრს მანფრედ შტოლპეს, მოინახულა მანქანათმშენებლი ქარხანა ლუდვიგს ფილდეში. ჩერნომირდინი შეხვდა აგრეთვე დასავლეთის ჯგუფის ჯარების სარდლობას ვიუნსდორფში.

გამოითქვა შეშფოთება

გაეროს უშიშროების საბჭომ დიდი შეშფოთება გამოთქვა უკანასკნელი ცნობების გამო, რომლებიც ეხება საომარ მოქმედებას გაეროს მიერ დაცულ ხორვატიის რაიონებში. უშიშროების საბჭო ამასთან დაკავშირებით მოითხოვს საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტას. ეს განცხადება გააკეთა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ტომას რიჩარდსონმა (დიდი ბრიტანეთი) ხუთშაბათს გამართულ საბჭოს სხდომაზე. განცხადებაში ნათქვამია, რომ ხორვატიის მიერ დაგეგმილი ცალმხრივი მოქმედება — გახსნას 18 ივლისს ხიდი მასლენიცას დასახლებული პუნქტისა და ზემუნიკის აეროპორტის მახლობლად (როცა არ არსებობს შეთანხმება მხარეთა შორის), საფრთხეს შეუქმნის უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიზნებს, გადაწყდეს პრობლემები მხოლოდ მოლაპარაკების გზით. საბჭომ მოუწოდა ხორვატიის მთავრობას თავი შეიკავოს ამგვარი მოქმედებიდან.

უნდა შეიქმნას კოლეგიური ხელმძღვანელობა

ისრაელთან მოლაპარაკებაზე პალესტინის დელეგაციის მეთაურმა ჰეიდარ აბდელ აშ-შაფიმ ხუთშაბათს განაცხადა, რომ საჭიროა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ფარგლებში კოლეგიური ხელმძღვანელობის შექმნა. კერძოდ, მან თქვა: „თუ ჩვენ ვერ შევძლებთ იმას, რომ მივიღოთ ერთობლივი გადაწყვეტილებანი და შევქმნათ კოლეგიური ხელმძღვანელობა, მაშინ დაიწყება განხეთქილების პროცესი". „მე არ შემიძლია გაჩუმებული ვიყო, — თქვა მან, — როცა ირგვლივ მესმის აშკარა განცხადებები მოლაპარაკების განგრძობის წინააღმდეგ. როცა აცხადებენ, რომ ეს მოლაპარაკება ეწინააღმდეგება ჩვენს ეროვნულ ინტერესებს". მან თქვა აგრეთვე, რომ მოხდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის „ბიუროკრატიზაცია", რამაც უზომოდ გაზარდა ფინანსური ხარჯები, და დასძინა, რომ ამჟამად პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ მკვეთრად უნდა შეკვეცოს ბიუჯეტი, რომ პალესტინელებმა უნდა განაგრძონ სამშვიდობო მოლაპარაკება, ყურად იღონ არაბული ქვეყნების პოზიცია, რომლებიც აგრეთვე მოლაპარაკების პროცესში არიან ჩართული.

შეხვედრა სახელმწიფო მდივანთან

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი უორენ კრისტოფერი შეხვდა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ვაჰან ფაფაზიანს. განიხილეს ორმხრივი ურთიერთობის საკითხები, მთიან ყარაბაღში შეიარაღებული კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პერსპექტივები, რასაც საგანგებო ყურადღება დაეთმო. ეს იყო უორენ კრისტოფერის პირველი შეხვედრა სომხეთის საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელთან. ჟურნალისტებთან გამართულ მოკლე საუბარში შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობა აქვთ სომხეთთან, მაგრამ, როგორც მან თქვა, ძალზე შეშფოთებული არიან იქ შექმნილი სიტუაციით. კრისტოფერმა დასძინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აპირებს ითანამშრომლოს სომხეთთან მისი სასურსათო და სხვა პრობლემების გადაწყვეტაში, განსაკუთრებით ზამთრის დაწყების წინ. მოგვიანებით სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მაიკლ მაკკერიმ ჟურნალისტებს უთხრა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში მონაწილე მხარეთა თანამშრომლობას ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მინსკის ჯგუფის მუშაობაში მშვიდობიანი მოწესრიგების მისაღწევად. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა კერძოდ თქვა: „ამერიკის შეერთებული შტატები ძალზე შეშფოთებულია იმის გამო, რომ ფერხდება ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების განხორციელება. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მიერ სამშვიდობო პროცესის სრული მხარდაჭერა მთიანი ყარაბაღის მოწესრიგებაში შეესაბამება ყველა მხარის ინტერესებს. ჩვენ მოვუწოდებთ მთიანი ყარაბაღის სომხებს, რაც შეიძლება მალე დაადასტურონ მინსკის ჯგუფის წინადადებების მიღება". ასეთი განცხადება მოჰყვა მთიანი ყარაბაღის საკითხზე ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მინსკის კონფერენციის მოსამზადებელი ჯგუფის მეთაურის იტალიელი დიპლომატის მარიო რაფაელის ფაქტობრივად უშედეგო ვიზიტებს ბაქოში, ერევანსა და სტეფანაკერტში. მთიანი ყარაბაღის ხელმძღვანელობამ მარიო რაფაელის სთხოვა ერთი თვით გადაედოთ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის გეგმის განხორციელება, მაშინ, როცა კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარემ მოიწონა ეს გეგმა, აგრეთვე რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და თურქეთის ინიციატივა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის.

რეფერენდუმები ესტონეთში

გუშინ ესტონეთის ჩრდილო-ეთ-აღმოსავლეთის ქალაქ ნარვაში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობს რუსულენოვანი მოსახლეობა (97 პროცენტზე მეტი), დაიწყო რეფერენდუმი, რომელიც ადგილობრივმა საბჭომ სხდომაზე დანიშნა და რომელიც ესტონეთის ფარგლებში ავტონომიის შექმნას ითვალისწინებს. მოქალაქეებმა უნდა გასცენ პასუხი შეკითხვას: „გსურთ თუ არა თქვენ, ნარვა გახდეს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია ესტონეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში". მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარება გამოიწვია რესპუბლიკაში მიღებულმა უცხოელების შესახებ კანონმა, რომელიც ესტონეთის რუსულენოვანმა მოსახლეობამ მათი უფლებების შელახვად და დამცირებად მიიჩნია. ასეთივე რეფერენდუმი ქვეყნის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ჩატარდება აგრეთვე დღეს ქალაქ სილლამეში.

არ შევლენ მინისტრთა კაბინეტში

კამბოჯის კოალიციური მთავრობის დროებითმა თანათავმჯდომარეებმა ნოროდომ რანარიტმა და ხუნსენმა განაცხადეს, რომ „წითელი ქხმერები" არ შევლენ მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში. რომ ამ ეტაპზე კამბოჯის ხელმძღვანელობა დასაშვებად მიიჩნევს პოლპოტელების საქმიანობას ახალ ადმინისტრაციაში მხოლოდ მრჩევლების დონეზე, რომლებიც არ შედიან სახელმწიფო აპარატში.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

გზადაგზა ნაპოვნი სტრიქონები

განცხადება ლიფტების სამმართველოს

შალვა (ახლობლობაში ნოდარ) ხიდაშელი ლიფტში გაიჭედა!.. მცირე წვრილება ჰქონდა შალვას. ახლობლებმა სამოცი წლის შესრულება მიულოცეს — შეუძლია კაცობა, ოჯახი, მარჯვენა დი, როდესაც, რამდენიმე საათის შემდეგ, მასპინძელმა ლიფტით ჩააცილა სტუმრები, სახლში ასვლისას, სწორედ თავის სართულზე, უსამძიმოდ მოჭრიალე ლიფტი ერთი შეჯანჯღარდა, აძაგძაგდა და მორჩა — კარი აღარ გაიღო. ჰყვირის, თან ღილაკებს აწვალებს შალვა, არაფერი გამოსდის...

შეგროვდნენ ლიფტთან მეზობლები, არიგებენ შალვას: აბა, ზედა ღილაკს დააჭირეო, აბა, ქვედასო... ამხნევებენ: ცოტაც და ხელოსანი მოვაო...

სად არის ხელოსანი! ღამით კი არა, დღისით ძლივს იპოვი! არადა, იძახობა უქმის იუბილარს, უკვე სამშველიც მოქმედებს...

მეზობლის ბიჭმა — მიმიშვით ერთიო....

გაიწ-გამოიწია ხალხი, შეუჩხუჩუნა მოკაუჭებული მავთული ბიჭმა ლიფტს, იწვალა კარგა ხანს და, წარმოიდგინეთ, ლიფტის კარი გაიღო.

გამოვიდა შალვა — გასავათებული, ოფლში გაღვრილი, მაინც — ღიმილიანი: — ოხ, მე ამის დედა ვატირეო!.. წამოდით მეზობლებო, მალარიჩი დავლიოთო!..

კაპასობენ ქალები: — მეტი აღარ შეიძლებაო, მაინცდამაინც ვიღაც უნდა იმსხვერპლოს ამ ლიფტმაო!.. ხვალვე კოლექტიურ წერილს მივიტანთ რედაქციაში, გავიგოთ, რაც ვუთმინეთ ლიფტების სამმართველოსო!..

მეორე დღეს რედაქციაში მართლაც მოვიდნენ იმ კორპუსის (დიღმის მასივის III კვ. II კორპუსი) მცხოვრებნი. აღშფოთებული ყვებოდნენ „საცოდავი შალვას" თავგადასავალს და ბოლოს განცხადება დაგვიტოვეს, რომელიც ყოველ მიზეზგარეშე უნდა დავბეჭდოთო.

ჩვენც, ცხადია, ვაკმაყოფილებთ მოქალაქეთა თხოვნას (განცხადების სტილი დაცულია)

ქ. თბილისის ლიფტების სამმართველოს უფროსს მ. ბუზბერიძეს

საქართველოში ომია და შეიძლება იფიქროთ, რა დროს ლიფტების მუშაობაზე ჩივილია, მაგრამ სხვა გამოსავალი არა გვაქვს. ჩვენი კორპუსის ლიფტების მდგომარეობა (განსაკუთრებით პირველი სადარბაზოსი) მთელი თქვენი სამმართველოსთვის ცნობილია. ვინ არ შეგაწუხეთ.... თქვენმა მოადგილემ (ალდიაშვილი უნდა იყოს) ერთი-ორჯერ ძაან ხელი შეგვიწყო — ახალი მოტორი დააყენებია, მაგრამ, თუ საფუძვლიანად არ გარემონტდა ლიფტები, ისე არაფერი ეშველება. სასწრაფო ზომებია მისაღები, თორემ, ერთ დღეს, შეიძლება დიდი უბედურება დატრიალდეს... აი, გუშინაც გაიჩხირა ლიფტში ერთი მეზობელი და, გულშეწუხებული, ძლივს გამოვიყვანეთ....

გვერდით კორპუსში მელიფტე ქალები სხედან და თვალყურს ადევნებენ ლიფტების მუშაობას, მაგრამ, როგორც ამბობენ, ჩვენი კორპუსი მათი საქმე არ ყოფილა და დიდი ხვეწნა-მუდარით და დამადლებით ხანდახან გვემსახურებიან. პრობლემად არის გამხდარი ჩვენს კორპუსზე ერთი ლიფტების ხელოსნის გაპიროვნებაც. გაგვიმხილეთ ბატონო: თუ არ შეგვიძლიათ, მაშინ ჩვენ თვითონ, თვეში ერთხელ, ფულს შევაგროვებთ და გადავუხდით ხელოსანს.... რამდენჯერმე დაგირეკეთ, შეგაწუხეთ, მაგრამ თქვენი დაპირებებიდან არაფერი გამოვიდა. განა არ ვიცით, რომ ლიფტების ნაწილები აღარ იშოვება, რომ, მარტო ჩვენი კორპუსი არ არის ამ დღეში, მაგრამ, რაღაც მონდომებას მაინც ვგრძნობდეთ თქვენგან! ისედაც ნერვები აქვს ხალხს დაწყვეტილი და, აბა, როგორი საქმეა, ყოველდღე თექვსმეტსართულიან კორპუსში ფეხით ასვლა-ჩამოსვლა.

დიდი იმედით გწერთ ამ წერილს, იქნებ დაფიქრდეთ და რაღაცა მოიმოქმედოთ გასაცოდავებული ხალხისათვის.

დიღმის მასივის III კვ. II კორპუსის მცხოვრებნი. სულ 75 ხელმოწერა.

საინტერესოა, რა რეაგირება მოჰყვება ლიფტების სამმართველოში ამ წერილს. იქნებ გაუწყრეთ ღმერთი და მართლაც შეაკეთონ ლიფტები, მელიფტე ქალებიც დანიშნონ და ხელოსანიც. ვნახოთ, როგორც იტყვიან— ალილო და ხვალეო...

გაჭირვებამ დედოფალთან დამაწვინა...

თბილისურ პურის რიგებში კარგა ხანია, დამკვიდრდა „ხალხიდან გამოსული", ხალხის რჩეული წესრიგის დამცველი, პურის მანქანა რომ მოვა, რია-რია რომ ატყდება, ათასჯერ დაწყობილი რიგი, ერთიანად რომ იშლება და დიდ-პატარა მაღაზიის კარს ეძგერება — აქაოდა, უპუროდ არ დავრჩეო, აი, მაშინ ვინმე (უმეტესად ქალი) ხმამაღლა შეიხვეწება, რომელიმე წარმოსადეგ მამაკაცს: — მიდი ერთი, თუ კაცი ხარ, ჩადექი კარებში და ურიგოდ ნურავის გაუშვებ, თორემ, ვისაც ძალ-ღონე არ აქვს, დავრჩებით უპუროდ!....

აბა, წარმოიდგინეთ, რა თავგანწირვა და რისკია დღეს პურის მაღაზიის კარებში ჩადგომა, მავედრებელი, ბრაზიანი, გაავებული, მაჭინებელი თვალების ყურება („მე რატომ არ მიშვებ... „მე რატომ არ მიშვებ..." ჯიკავ-ჯიკავი, ყელასთან და ჭინებამდე მისული ყვირილი — „დაიწვით ყკან...", „რიგი დაიცავით....", „ხალხი კი არა, მხეცები ხართ!..")

მაგრამ ზოგი მაინც კისრულობს ამ საქმეს, დგას პურის მაღაზიის კარებში და, ჩვენ თვითონ გვინახავს, ზოგჯერ წესრიგს შეურაცხყოფის ფასადაც კი ამყარებს, ხალხსაც ეხმარება და მაღაზიის მუშაკებსაც. მას რიგში მდგომნი ენდობიან და ზოგჯერ თვალს ხუჭავენ იმაზე, თუ „წესრიგის დამცველი" თავის ახლო მეზობელს ან მოკეთეს ურიგოდ შეუშვებს მაღაზიაში.

...დგას თედო (სახელს ხელად ვიგებთ რიგში მდგომნი) კარებში 40-45 წლის ათლეტური აღნაგობის მამაკაცი — მოუღალავად აწესრიგებს იქაურობას, გადამდებია მისი სიმშვიდე, რიგში მდგომნი ერთმანეთს აცლიან მაღაზიაში შესვლას, პურის აღებას და მალულად აპარებენ თვალს თედოსკენ („არ წახვიდე თუ ძმა ხარ. გვიშველე ცოტა ხანს...").

— იქნებ, ერთი ცალი პური გადმომაწოდოთ. ვერ დავდგები მაგისთვის რიგში!...

ხმა გვერდიდან მოესმა თედოს, ხმა — მომხიბლავიო, რომ იტყვიან, ისეთი.

— აი, ორმოცდაათკუპონიანი!..

მოიხედა თედომ, დგას ქალი — პირმშვენიერი, ჩალისფერი თმა კოხტად დაუხვევია თავზე, და ველარსად მალავს მაღალი ყელის მიმზიდველობას, შინაურს რომ გაუღიმებენ, ისე უღიმის თედოს, ბიჭოს, რაღაცნაირად ათვალიერებს კიდეც....

— აბა, ესინჯავ ერთი, თუ არ გამლახეს!....

— თქვენ ვინ რას გეტყვით....

რა იქნა, დაარღვია წესრიგი თედომ და პური ფიცხლად გადააწოდა მომლოდინეს— სანდომიანს, მიმზიდველს. წავიდა ტანის რხევით და, რა დასამალია, საფიქრალი დაუტოვა თედოს.

მეორე დღეს ღიმილიანი სალამი შეაგებეს ერთმანეთს. „ახლავე, ახლავეო..." გაიხმაურა ქალს თედო და ისევ გადააწოდა პური.

ვაა, ეს რა ხდება — მესამე დღეს უკვე აღრიანად დადგა მაღაზიის კარებთან „წესრიგის დამცველი", როგორც იქნა ჩამოდგა პურის მანქანაც „აბა, ერთმანეთს ვცეთ პატივი!"... გასძახა რიგს თედომ და თან იქაურობა მოათვალიერა. აი, ისიც — ღიმილდაუშრეტელი.

ცოტა ხანში უთქმელად გამოუტანა ქალს პური თედომ. შემთხვევით არ მითქვამს „გამოუტანა", რადგან თავისთვისაც აიღო, „აბა, მიხედეთ ერთმანეთსო" — ჩაულაპარაკა ხალხს და წამში აღმოჩნდა დედოფალივით ქალთან პურებახუტებული.

ხალხი ხედავს (ერთ სიტყვას არ ვიგონებ), „წესრიგის დამცველი" მაღაზიის კართან დადგება თუ არა, მალევე გამოჩნდება მშვენიერი ქალიც. აიღებს პურებს თედო, „აბა, ახლა შენ შემცვალეო" — იტყვის რომელიმე მამაკაცს და...

...და მიუყვებიან ორნი ჭადრების ხეივანს ღიმილ-ღიმილით, მუსაიფ-მუსაიფით... საით, რა ჩვენი საქმეა....

ვილენ მარდალეიშვილი.

ახალი გაზეთი
„მეობა" ერის სამსახურში

გამოვიდა საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიის გაზეთი „მეობა".

„გაზეთი, რომელიც დღეს საქართველოს საზოგადოებრივ პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა, თავისი მნიშვნელობით სცილდება რიგითი პოლიტიკური პარტიის ორგანოს ფარგლებს, მას შეუძლია და მოვალეცაა მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი როლიც ითამაშოს ქართული თეორიული და პოლიტიკური აზრის განვითარების თანამედროვე ეტაპზე"... „გაზეთმა ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული იდეოლოგიის საფუძველზე ქართველთა გაერთიანებას, საქართველოს დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას", — ასე აქვს ჩამოყალიბებული „მეობას" თავისი ფუნქციები ზოგადად პუბლიკაციაში „გაზეთი „მეობა" და ქართული სინამდვილე". გზა დაულოცოთ კოლეგებს.

ნინო ლეკაშვილი.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

სიმღერებით სავსე სახლი

„შვიდფერი ყვავილის" მუსიკალური სურნელება

— **მომღერალთა** ოჯახს ეძებთ?

— მარგველაშვილებს კითხულობთ? აგერ, წმინდა წყლის დასახლებაში ყველა მიგასწავლით.

მარგველაშვილებს დღეს გორში კი არა, მთელ საქართველოში იცნობენ. ოჯახის თავს გივი მარგველაშვილს და მის მეუღლეს ცინარი ხუციშვილს სიმღერის სიყვარული იმთავითვე დაჰყვათ და ეს ღვთით მომადლებული ნიჭი თავიანთ ხუთ შვილსაც უხვად დაანათლეს.

საკონცერტო აფიშა იუწყება: გორის სახელმწიფო თეატრში გაიმართება მარგველაშვილების საოჯახო მომღერალთა ანსამბლის — „შვიდფერი ყვავილის" საქველმოქმედო კონცერტი.

და, აი, სცენაზეა მშვენიერი „შვიდფერი ყვავილი" — ცინარი, გივი, შორენა, დიანა, ნანა, მანანა და გიორგი მარგველაშვილები. სრულდება ქართული ხალხური სიმღერები, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. ანსამბლის წევრები ჩინებულად ფლობენ ქართულ ხალხურ ინსტრუმენტებს.

სალამური, ჩონგური, აკორდეონი, ჩანგი, ფანდური, დიპლიპიტო, დაირა და წკრიალა ხმები — რა არის კიდევ საჭირო იმისათვის, რომ სიმღერამ მოგხიბლოს და მოგნუსხოს?!

ცინარი და გიორგი გორის მეხუთე საშუალო სკოლის პედაგოგები არიან. სკოლასა და ოჯახს, თქმა არ უნდა, ბევრი დრო მიაქვს, მაგრამ როცა საქმე ბავშვების აღზრდას — სიმღერასა და პოეზიას ეხება, თავისუფალ დროს ყოველთვის პოულობენ.

ცინარი ხუციშვილი ლექსებსაც წერს და თუკი სპონსორი გამოჩნდება, ხუთი შვილის დედა მკითხველის წინაშე თავისი ლექსების პირველი კრებულითაც წარდგება.

სპონსორთან და სპონსორობასთან ერთად ბარემ აქვე საბაზრო ეკონომიკაც ვახსენოთ და შევეკითხოთ ოჯახის უფროსს — როგორ გააქვს თავი პედაგოგების შვიდსულიან ოჯახს დღევანდელ პირობებში?

— ვშრომობთ, ვსწავლობთ, ვასწავლით, — ამბობს გივი, — ჩვენს საოჯახო ანსამბლს, როგორც რესპუბლიკური კონკურსების ლაურეატს, ხშირად იწვევენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, რადიოში, ტელევიზიაში.

ბუნებრივია, დღეს ასეთი ანსამბლის სიცოცხლისუნარიანობა გარკვეულწილად დაფინანსების წყაროზეა დამოკიდებული, მაგრამ ვიდრე ჩვენს გვერდით ქველი ადამიანები, მეცენატი კომერსანტები არიან, ამ წყაროს რა დააშრობს?

ქალბატონი ცინარი იგონებს: „ამას წინათ გორის ფეიქართა კულტურისა და ტექნიკის სასახლის სცენაზე კონცერტის მსვლელობის დროს, პატარა გიორგის ცეკვის დროს — დახეთ უბედურებას! — ფეხსაცმელზე ლანჩა აძვრა, რის წყალობით დაასრულა ცეკვა. ბიჭმა არ იცოდა, რომ მშვენიერი საჩუქარი ელოდა.

კონცერტს ცნობილი ფირმა „ორბი-92"-ის წარმომადგენლები თამაზ გოგინაშვილი, ნოდარ ანანიაშვილი და გენო ტლაშაძე ესწრებოდნენ. „ორბი" იმითაც არის ცნობილი, რომ მატერიალურ დახმარებას უწევს ნაკლებად უზრუნველყოფილ ოჯახებს, ხელმოკლე ადამიანებს, ობლებს, ნიჭიერ, იმედისმომცემ ბავშვებს.

მეორე დღეს გიორგი მარგველაშვილს „ორბის" სახელით ყველა ბავშვისთვის საოცნებო ახალთახალი ამერიკული „ბოტასები" აჩუქეს.

მარგველაშვილების მრავალშვილიან მომღერალთა ოჯახს ყურადღებას არ აკლებენ ქალაქისა და რაიონის გამგეობა, განათლების განყოფილება. რად ღირს თუნდაც ის, რომ გორის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უმაღლესი კოლეჯის რექტორმა ანზორ კაპანაძემ პირველკურსელი შორენა მარგველაშვილი სწავლის ქირისაგან გაათავისუფლა!

...მარგველაშვილებს მართლაც იოლად მივაგენი. მთელი ოჯახი შინ დამხვდა. ახალ რეპერტუარზე მუშაობდნენ. თელავიდან მოწვევა მოუვიდათ — კახეთში გასამგზავრებლად ემზადებოდნენ.

გურამ ვაშაკიძე.

• • •

სურათზე: „შვიდფერი ყვავილი" — მარგველაშვილების საოჯახო ანსამბლი.

სოსო მაისურაძის ფოტო.

გვექნება საქართველოს სპორტული ენციკლოპედია

სპორტი ძალაა, ურომლისოდაც არ არსებობს სილამაზე, შრომა, ბრძოლა, სიყვარული, ერთგულება.

მის გარეშე არ არსებობს ერის და სამშობლოს ძლიერება. იგი მისი ძლიერების და სახელის მოპოვების ერთ-ერთი დაუშრეტელი წყარო და მძლავრი სამჭედლოა.

ყოველი ახალი თაობა ცვლის ძველს, იგონებს და აგრძელებს სპორტულ ტრადიციებს. დავიწყებას არ უნდა მიეცეს არც ერთი სახელი, არც ერთი სპორტული გამარჯვება, არც ერთი ღირსეული დამარცხებაც. კი! თუ გამარჯვება ყოველთვის აღგვაფრთოვანებს, დამარცხება იძულებულს გვხდის, ჩავფიქრდეთ, და ჯეროვანი დასკვნა გამოვიტანოთ.

ამ მიზნის მისაღწევად დიდ როლს შეასრულებს სპორტული ენციკლოპედია.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის კომიტეტმა მისი თავმჯდომარის ბატონ კახი ასათიანის უშუალო ინიციატივით და მხარდაჭერით გამოსცა ბრძანება „საქართველოს სპორტული ენციკლოპედიის შესახებ".

გადაწყვეტილია 1994-1995 წლებში გამოიცეს ასეთი ენციკლოპედია.

შეიქმნა სარედაქციო კოლეგია: ფილიპე მახარაძე (რედაქტორი), შოთა ახვლედიანი (რედაქტორის მოადგილე), გარუნ აკოფოვი, ოთარ გელაშვილი (მდივანი), თენგიზ გიორგაძე, ნოდარ გუგუშვილი, შოთა ვადაჭკორია, ვახტანგ ბალავაძე, ალექსანდრე სარჩიმელიძე, ნუგზარ ებრალიძე, ზურაბ მგრელიშვილი, ვლადიმერ კანკავა, ავთანდილ ციბაძე, ემზარ ზაზაძე, ზაქრო თელია.

სარედაქციო კოლეგიის საერთო ხელმძღვანელობა დაევალა საქართველოს რესპუბლიკის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ ჯანო ბაგრატიონს.

ნება მომეცით, თქვენი გაზეთის საშუალებით, გულწრფელად ვთხოვოთ ყველა სპორტსმენს, ყველა ვეტერანს, სპორტის მუშაკებსა და სპეციალისტებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, სპორტული ფედერაციების პრეზიდენტებს, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებს, შრომით კოლექტივებს, სამინისტროებსა და უწყებებს, ბანკებს, კომერციული სტრუქტურების ხელმძღვანელებს, ცალკეულ მოქალაქეებს, ყველას, ვისაც უყვარს ქართული სპორტი, — არ მოგვაკლონ მხარდაჭერა და დღევანდელ მძიმე, დუხჭირ ეკონომიკურ მდგომარეობაშიც კი, გამონახონ შეძლებისდაგვარად, დახმარების ყველა საშუალება. ვისაც გაქვთ საინტერესო რამ, დოკუმენტი, ფოტო — გთხოვთ მოგვაწოდოთ!

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, 49, საქართველოს სპორტკომიტეტი, (სპორტული ენციკლოპედია). ანგარიში 000141007 მფო 521017 საქართველოს ბინსოცბანკის საოპერაციო სამმართველო.

თქვენი დახმარებით გაკეთდება დიდი საშვილიშვილო საქმე. ჩვენ გვექნება ჩვენი სპორტული ენციკლოპედია. — ქართული სპორტის ისტორიის დაუშრეტელი ცოდნის წყარო.

ფილიპე მახარაძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

უჩვენებს თბილისი

შაბათი
17 ივლისი

10.05 ბასტი-ბუბუს აერობიკა; 10.10 მულტიპლიკაციური ფილმი; 10.20 მხატვრული ფილმი „მოზარდები"; 12.00 **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა; 12.10 **დრონი** — სატელევიზიო პროგრამა; 15.10 დოკუმენტური ფილმი; 15.50 მუსიკალური ფოსტა; 17.00 **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა; 17.20 სპა; 17.50 ეკონომიკა და პოლიტიკა; 18.35 კინომოზაიკა; 19.20 ნოტა ბენე; 19.55 რეკლამა; 20.00 **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა; 20.40 პულსი; 21.15 ნინო ანანიაშვილი; 21.45 დოკუმენტური ფილმი; 22.00 **ვესტნიკი** —საინფორმაციო პროგრამა; 22.15 ილუზიონი; 23.45 **ქვეშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

კვირა
18 ივლისი

10.05 ბასტი-ბუბუს აერობიკა; 10.10 მხატვრული ფილმი; 11.30 ინსტრუმენტული მუსიკის კონცერტი. 12.00 **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა; 12.10 საკვირაო გამოფენა; 12.20 ბათათურები; 12.45 ლურჯი აფთიაქი (გამეორებით); 13.15 საკვირაო გამოფენა; 13.25 ახალგაზრდების შემოქმედება — შალვა და დავით მუქერიები; 14.10 საკვირაო გამოფენა; 14.15 სიტყვა საქართველოზე; 15.15 სტუდია „ალფა" — სალვადორი; 16.20 ეთერშია ქალაქის ჯანმრთელობის ცენტრი — ჩვენ და ჩვენი ქალაქი; 16.40 ბასტი-ბუბუს კლიპმიქსი; 17.00 **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა; 17.15 გლობუსი; 18.05 დოკუმენტური ფილმი; 18.25 — 15.00; 19.10 მერიდიანი — საერთაშორისო მიმოხილვა; 19.40 ანარეკლი; 20.20 პატარა ამბები დიდ თემებზე; 20.55 რეკლამა; 21.00 **მოამბე** — საინფორმაციო პროგრამა; 22.00 — სალამო მშვიდობისა! 23.00 **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა; 23.15 სალამო მშვიდობისა! (გაგრძელება); 24.00 **ქვეშის საათი** —საინფორმაციო პროგრამა.

ორშაბათი
19 ივლისი

7.25 — ბასტი-ბუბუს აერობიკა, 7.30 — **„ალიონი"** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევი — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა; 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი. 18.30 — განცხადებები. 18.35 — ანძა — ტელემარკეტინგი. 18.45 — თაობა. 19.10 — რამპა. 19.15 — ბიზნესკურიერი. 19.50 — საქმიანი ქრონიკა. 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — ვინ ხარ შენ? 21.30 — კამერული მუსიკის კონცერტი. 22.00— **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — მხატვრული ფილმი. 23.45 — **ქვეშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი...

ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო...

ამჟამად ვანო ოქროწონაშვილს სრულიად შემთხვევით თვითმფრინავში გადავაწყდი. კარგა ხანია არ მენახა და, სიმართლე გითხრათ, გამიხარდა. შევამჩნიე, რომ ბიზნესმენი უფრო მდიდრულად და ელეგანტურად გამოიყურებოდა. მალე ჩვენ შორის გულღია, შინაურული საუბარი გაიბა.

— კარგია, რომ შეგხვდით, ჩაილაპარაკა ვანომ, ახალ საქმეს მოვკიდე ხელი და მინდა თქვენც იცოდეთ.

— **ნუთუ ბიზნესი მიატოვეთ?**

— არა, პირიქით, უფრო დიდ ბიზნესში ჩავერთე — თურქეთში გადავედი სამოღვაწეოდ.

— **საქართველო დატოვეთ?**

— ქვეყანა რა შუაშია, საქმე აღარ გამოდის. აბა, გაიხედეთ, ვინც კი ნამდვილი ბიზნესმენი იყო, საქართველოდან ყველა წამოვიდა.

— **ვერ დაგეთანხმებით, საქართველოში სახელმწიფო და ხალხი გალატაკდა, თორემ ბიზნესმენები სავსე ჯიბეებით დაქროდნენ.**

— ეგენი ბიზნესმენები კი არა, „ვალუტჩიკები" არიან — ბირჟებსა და ბაზრებში მოკალათებულან და ვალუტით თამაშობენ. თამაში ჩემი ხელობა არ არის. ნაღდმა ბიზნესმენმა ნაღდი საქმე უნდა აკეთოს.

— **რა გადაგიწყვეტიათ, არ მეტყვით?**

— თურქეთში ქართული ფირმა გავხსენი.

— **ფირმების მეტი რა აქვთ იქაურ ბიზნესმენებს, თქვენ რაღა უნდა აკეთოთ?**

— ალღო და მოხერხება იყოს, თორემ საკეთებელს რა გამოლევს? აი, თუნდაც ამდენი ხე-ტყე რომ გადის საქართველოდან, რატომ არ შეიძლება...

— **ღმერთო ჩემო, ესე იგი თქვენ აპირებთ...**

— იმ ხე-ტყის შესყიდვას, გადამუშავებას და გაყიდვას. როგორ ფიქრობთ, ცოტა ფული გაკეთდება?

— **უეჭველი, კი ბატონო, მაგრამ საკუთარ სინდისს რაღას უშვრებით?**

— ადრეც გითხარით და ახლაც მინდა გავიმეორო: ბიზნესს თავისი შეუვალი კანონები აქვს. — სადაც ფული კეთდება, იქ სინდისს არაფერი ეკითხება. ეგეც არ იყოს, განა უფრო ზნეობრივი არ იქნება, საქართველოდან გატანილ ქონებას თურქის ნაცვლად ქართველი ბიზნესმენი? ხომ გაგიგიათ ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო...

— **მორალს თავი გავანებოთ, არც სხვა მხრივ გამოგივათ საქმე. როგორც ვიცი, მთავრობა ისეთი კანონის მიღებას აპირებს, სულ მალე თურქეთის მხარეს ნაქურდალი ხე-ტყე კი არა, ნაფოტიც აღარ გადავარდება.**

— არ დაიჯეროთ. საქართველოში კანონს არავინ ასრულებს და რაღა ბრაკონიერები და მებაჟეები გაბრიყვდებიან? მერწმუნეთ, ჩემ საქმეს წყალი არ გაუვა.

არ იფიქროთ, მარტო სახემდმო ვფიქრობდე. იმ დიდი მოგებიდან, რასაც საქართველოს ხე-ტყიდან მივიღებ, თავის წილს არავის დავაკლებ. კანონით დადგენილი ვალუტის რაოდენობას სახელმწიფოს ბიუჯეტში შევიტან, ნაწილს ფირმის ინტერესებისთვის გამოვიყენებ, ნაწილსაც ქვრივ-ობლებსა და ომში დაღუპულთა ოჯახებს დავეხმარები.

— **ასეც უნდა იყოს, ახლა ბევრი ბიზნესმენი იწყებს ქველმოქმედებას.**

— გააჩნია ვის ხარჯზე. ზოგი ბიზნესმენი თუ საწარმოს დირექტორი თვალთმაქცობს, შემოსავლების დამალვით ბიუჯეტს კუთვნილ თანხებს აკლებს (ზოგიც ძმაბიჭების დახმარებით სულაც განთავისუფლებულია გადასახადებისგან), მერე იმ მორჩენილი თუ მოპარული თანხიდან დიდ ნაწილს ჯიბეში იდებს, მცირედს კი ქველმოქმედებას ახმარს, თანაც იქადიმება, აბა შემომხედეთ, რა ვაჟკაცი ვარო.

მე ის კაცი არა ვარ, სახელმწიფოს ხარჯზე თავი მოვიწონო. იცოდით, რასაც ქველმოქმედებისთვის გავიმეტებ, მას მხოლოდ საკუთარი ჯიბიდან გავიღებ.

— **მადლობთ, მაგრამ არც თქვენ გამოიყურებით მთლად ანგელოზად. როგორ გგონიათ, ბატონო ვანო, თქვენს მიერ ბიუჯეტში შეტანილი თანხები აანაზღაურებს ტყეების განადგურებით საქართველოსთვის მიყენებულ ზარალს?**

— ეს მეც მშვენივრად ვიცი. თქვენ უბრალოდ ვერ გამიგეთ, ბატონო ოთარ, მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ დღევანდელ ეტაპზე, როცა ხე-ტყე მაინც გადის საქართველოდან, უმჯობესია ამით უცხო კი არა, თვით ქართველმა იხეიროს.

— **მაგრამ, რისი იმედი გაქვთ შემდგომ ეტაპზე?**

— ისევ ჩემი თავის და ბიზნესის. თუ კარგად წავიდა საქმე (და დარწმუნებული ვარ, რომ კარგად წავა), დადგება დრო, როცა ხე-ტყით მოვაჭრე თურქები კონკურენციას ველარ გამიწევენ, ასე ვთქვათ, „ჩამბარდებიან". რა დღესაც მონოპოლიას ჩავიგდებ ხელში, იმ დღიდან საქართველოდან ხე-ტყის გატანაც შეჩერდება.

— **როგორ თუ შეჩერდება?**

— აღარ ვიყიდი და ისე. აბა, მითხარით, რომელი ჭკუათმყოფელი გაკაფავს ტყეს, თუ იცის, რომ ვერ გაყიდის?

— **ამას მოფიქრება არ უნდოდა?**

— ასეა, ბატონო, იმას, რასაც ხშირად მთავრობის აკრძალვებით ვერ მიაღწევ, გონივრულად მოფიქრებული ბიზნესის მეშვეობით გააკეთებ.

— **აღარაფერი მაქვს სათქმელი, გარდა იმისა, რომ გკითხოთ: რა გზას დაადგებით თქვენი პროგრამის რეალიზაციის შემდეგ? ნუთუ ისევ თბილისში დაბრუნდებით?**

— რატომაც არა. დავბრუნდები და დედაქალაქში დავიწყებ მოღვაწეობას.

— **ვერ მიგიხვდით, რომელ დედაქალაქში?**

— ევროპა-აზიის დედაქალაქში, კაცო, რომელიც საქართველოზე გადის და უცხოელების ეროვნული იქაურ ბიზნესმენებს ოქრო-ვერცხლით ავავსებ. მე კაი ადამიანი შუა ბორტში, ვთქვათ ფოთში, დავჯდები, ევროპიდან აზიაში გადავუშვებ ტვირთს. აქედან კიდევ ევროპაში და იმდენ ფულს გავაკეთებ, მთელ საქართველოს შევინახავ. კომუნისტებს ღმერთი რომ არ სწამდათ, იმიტომ სჯიდა, თორემ ჩვენი გეოპოლიტიკური ქვეყნის პატრონი ბიზნესმენი ასეთ დედაქალაქში მუქთადაც რომ ჩამოჯდეს, დარწმუნებული ვარ შემოსავალიც ექნება, ამიჯიც და საერთაშორისო აღიარებაც.

—**მე მეტს აღარ შეგაწუხებთ, ბატონო ვანო. ღმერთმა თქვენც მოგიმართოთ ხელი და თქვენს საქმესაც.**

ოთარ ხუციშვილი.

[illegible]

ნოდარ ბადალაშვილი

საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლას შესწირა თავი კიდევ ერთმა ქართველმა ვაჟკაცმა. საქართველოს შეიარაღებული ძალების მანგლისის ბატალიონის მეთაურმა ნოდარ არშაკის ძე ბადალაშვილმა.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ინჟინერ-მექანიზატორის სპეციალობით დაიწყე მუშაობა თეთრიწყაროს „სოფლტექნიკაში" — ალგეთის, და მანგლისის სახელმწიფო მეურნეობებში, მაგრამ დასჭირდა თუ არა მამულს, მაშინვე ზვარაკად მიიტანე შენი ლამაზი სიცოცხლე საქართველოს ბედნიერების სამსხვერპლოზე, ჩათვალე, რომ იქ უფრო საჭირო იყავი. ამიტომაც 1992 წლიდან მანგლისის ეროვნული გვარდიის რიგებში შეხვედი, სადაც ჯერ ასეულს, შემდეგ კი ბატალიონს მეთაურობდი.

სამშობლოსათვის გიძგერდა გული და შენი სიცოცხლეც მის ბედნიერებას შესწირე. რამდენი მიზანი დაგრჩა განუხორციელებელი, რამდენი სათქმელი...

დატოვე მოხუცი დედ-მამა, ძაძებით შემოსილი მეუღლე და ორი მცირეწლოვანი ვაჟი, მათ მთელი სიცოცხლე საამაყოდ ეყოლებათ თავისი გმირი მამა.

დრო ყველაფრის მკურნალიაო, ვაი, რომ მწუხარებით გულმოკლულ შენს ახლობლებს ეს სიტყვები ვერ გაანუგეშებს.

ჩვენო ნოდარ, ყველა ვილოცებთ შენი სულის საცხონებლად და კიდევ იმისათვის, რომ ფუჭად მაინც არ დაღვრილიყოს აფხაზეთში ქართულ საქმეს შეწირულთა სისხლი.

კვირას უკანასკნელ გზაზე გაცილებთ და ველარასოდეს ვიხილავთ შენს ლამაზსა და ხევდიან სახეს.

მშვიდობით, ძმაო! მსუბუქი ყოფილიყოს შენს მკერდზე საქართველოს მიწა.

შენი მეგობრები.

თამაზ წაბრია



კიდევ ერთი ახალგაზრდა სიცოცხლე გამოაკლდა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებს. ტრაგიკულად დაიღუპა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე თამაზ დავითის ძე წაბრია.

თამაზ წაბრია დაიბადა 1951 წელს. პროკურატურის ორგანოებში მუშაობა დაიწყო 1973 წელს, სადაც მან თავი გამოიჩინა, როგორც კვალიფიციურმა, პრინციპულმა, აქტიურმა და უმწიკვლო საგამოძიებო საპროკურორო მუშაკმა.

იგი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი უბრალოებით, სისპეტაკითა და გულისხმიერებით. ულალატო იყო მინდობილი საქმის მიმართ. იმ საქმისა, რომელსაც ბოლო პერიოდში საკმაოდ ხშირად და წარმატებით უთავსებდა ბრძოლის წინა ხაზზე ყოფნას.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ თამაზ წაბრიას სახით ღირსეული თანამშრომელი დაკარგა.

უდროოდ წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მოქალაქე, კეთილშობილი პიროვნება და ერთგული მეგობარი. მისი ხსოვნა მარადჟამს დარჩება ახლობლების, თანამშრომლებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ნატიფი შამათი

რუბრიკას უძღვებიან შოთა ინწკირველი და ვლადიმერ კალანდაძე

კარიბჭე

შეიძლება მტკიცება, რომ მე-3 და მე-6 ჰორიზონტალები პოზიციის კარიბჭეა და მათზე ფორპოსტების შექმნა დასასრულის დასაწყისია. ამ მოსაზრების დასტურია ოსტატ თამაზ კიკიანისა და დიდოსტატ გენადი ზაიჩიკის პარტია, რომელიც გათამაშდა საქართველოს ჩემპიონატში.

ზაიჩიკი-კიკიანი. ძველინდური. თბილისი, 1985 წელი. 1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 კg7 4. e4 d6 5. მf3 0—0 6. კe2 e5 7. 0—0 მc6 8. კe3 (უფრო პოპულარულია 8. d5) 8 ...მg4 9. კg5 f6 10. კc1 ed4 11. მd4 f5 12. მc6 bc6 13. ef5 gf5 14. კf4 ეb8 15. ლd2 მe5 16. ეfe1 c5 17. ეad1 კb7 18. b3 ლd7 19. კh5?! (სჯობდა 19. მd5±) 19. ...მg6 20. კg5?! (პრინციპული მომენტია. ცხადია, დიდოსტატმა მშვენივრად იცის ბლოკერის მნიშვნელობა, მაგრამ ისიც უდავოა, რომ მან სათანადოდ ვერ შეაფასა განთავისუფლებული f პაიკის პერსპექტივა. ახლაც სჯობდა 20. მd5!) 20. ...f4! 21. კg6 ლg4! (21. ...hg 22. f3 ლf5 23. კh4) 22. მd5 (სჯობდა 22. f3 ლg5±. თუ 22. ...კf3, მაშინ 23. კe4±) 22. ...f3! 23. g3 (f3-ზე, თეთრი მეფის პოზიციის გულში სოლივით ჩარჭობილმა პაიკმა შეარყია, მოწყვლადი გახადა იგი: დაასუსტა თეთრი უჯრები, აბრკოლებს მეფის დაცვას, ქმნის საშამათო მუქარების შესაძლებლობას. თუ 23. კh7, მაშინ 23. ...მფh7 24. g3 კd5 25. cd ეf5!) 23. ...hg6 24. ეe7 ლh3 25. მe3 კd4 26. ლc2 ეf5 27. კf4 ეc8! 28. ეd2 მფf8 29. კd6 cd6 30. ეh7 ეh5.



ზაიჩიკი დანებდა.

ამ თემაზე გთავაზობთ კიდევ ერთი პარტიას, გათამაშებულს ოზურგეთის რაიონის ჭაბუკთა ჩემპიონატში. მეტოქეები მეხუთეთანრიგოსნები ვართ.

გრინევი-ინწკირველი. მეფის გამბიტი. ოზურგეთი, 1946 წელი. მარტი. 1. e4 e5 2. f4 კc5 3. მf3 მc6 4. კc4 მf6 5. c3 d5 6. fe5 dc4 7. ef6 ლf6 8. b3 ამ შესაძლებელ ვარიანტში, უკვე მეხუთე სვლაზე გათვალისწინებული მქონდა d3 უჯრის დაპყრობა. ამ უჯრის სისუსტე კი დროებითია, მყისიერია. თეთრები, რაღაც ერთ სვლაში მოიცილებენ რა c4 პაიკს, d4 სვლით კარდინალურად შეცვლიან სიტუაციას დაფაზე. ამიტომ წინასწარ ყველაფერი ზუსტად უნდა ყოფილიყო გათვლილი. 5. ...d5 ფაქტობრივად კონკრეტული თამაშის დასაწყისია. ამრიგად, მიტელშპილის სტრატეგიის კონტური უკვე დებიუტში მოიხაზა. თუ ეს გეგმა განხორციელდა, მაშინ თეთრები დაიღუპებიან. 8. ...კg4! (ნიშნები მაშინდელია) 9. bc4 მe5 10. ეf1 მd3 11. მფe2 0—0—0. მე-3 ჰორიზონტალზე შეჭრილმა მხედარმა გამოიწვია თეთრი ძალების პარალიზება. **სისუსტეები იქმნებიან პაიკებით, მაგრამ ამ სისუსტეთა გავლენა ფიგურათა მდგომარეობით განისაზღვრება.** ბლოკირებული d2 პაიკი (კიკიანთან f2) კიდევ უფრო სულთამხუთავს ხდის d3 მხედარს. 12. h3 ეhe8! 13. ლc2 ეe4 14. მფd1 კf3 15. gf3 ლf3! გრინევი დანებდა შამათის გარდუვალობის გამო: 16. ეf3 ეe1X.



თეთრების განუვითარებელი ლაზიერის ფრთა (და ცხადია შამათი) შავების წარმატებული სტრატეგიის თვალსაჩინოებაა.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშტარიას 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66484